პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

დღიური

— საქალაქო არჩევნები პოლონეთში.—რეპრესიები მემარცხენე მუშების მიმართ.
— შედგენილია საბჭოთა კავშირის დელეგაცია ლატვიასთან მოსალაპარაკებლათ.
— დიდი გრიგალი ამერიკაში. დაიღუპა 200 კაცი, დაჭრილია 1.000.
— ლონდონში გაიხსნა ინგლისის კოლონიალური კონფერენცია.
— სამხედრო ჰაეროპლანების დაღუპვა მეცის ახლოს.

ხუთშაბათი, 12 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 105 (1850)

მუშათა დაწინაურება სახელმწიფო აპარატში

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება, ბიუროკრატიზმის მოსპობა, მართველობის მასასთან დაახლოვება წარმოადგენენ ჩვენს მიმდინარე პრაქტიკულ ამოცანებს. ამ საკითხების გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ ერთი ხასიათის ზომებით. ერთ და იმავე დროს უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა სხვადასხვა მხრივ. მაგალითად, არ არის საკმარისი მარტო აპარატის რაციონალიზაცია. ამასთან ერთად უნდა ტარდებოდეს აპარატის შემადგენლობის ნაწილობრივათ შეცვლა და განახლება. ჩვენი საბჭოთა აპარატი უნდა იქნეს შედგენილი დაბალ საფეხურიდან მაღლამდე ისეთ პირებისაგან, რომელნიც არა მარტო მექანიკურათ შეასრულებენ თავის მოვალეობას, არამედ თავის შეგნებით ახლო არიან იმ საერთო საქმესთან, რომლის ნაწილს ისინი აკეთებენ. რაც უნდა მუყაითი, კარგი შემსრულებელი და დავალებული საქმის კარგი მცოდნე არ იყვეს მომუშავე, თუ მას ვერ დაუკავშირებია თავის სამუშაო საერთო საქმესთან, ის სოციალისტურ მშენებლობაში ნაკლებად გამოსადეგი ელემენტი იქნება.

სახელმწიფო აპარატის პერსონალურ შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხის გადაჭრაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს აპარატში მუშების დაწინაურებამ. აქამდი თუმცა დაწინაურება ხდებოდა, მაგრამ მას არ ქონდა სისტემატიური ხასიათი და ის ფართოდ არ ტარდებოდა. დაწინაურების ყველა შესაძლებლობა მთლიანათ არ იყო გამოყენებული. სახელმწიფო აპარატის მუშაობის გართულებამაც შეაფერხა მუშათა დაწინაურების საქმე. თვით დაწინაურებაც ისე იყო დაყენებული, რომ ვერ იძლეოდა სათანადო შედეგებს.

საკავშირო კომ. პარ. ც. კომიტეტის უკანასკნელი დადგენილება იძლევა დაწინაურების საქმის ფართოთ დაყენების საშუალებას. ამ დადგენილებით უმთავრესი როლი დაწინაურების საქმეში ენიჭება პროფესიონალურ კავშირებს, პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელობით.

დაწინაურების საქმეს არ შეიძლება მიეცეს დაჰკვრელი კამპანიის ხასიათი. ის უნდა გადაიქცეს სისტემატიურ მუშაობათ და პროფკავშირების საშუალებით საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ყველა დარგებში თანდათანობით ჩაბმული უნდა იქნეს მუშების აქტიური ნაწილი.

სახელმწიფო აპარატში მუშათა დაწინაურება თუმცა პროფეს. კავშირების პირდაპირი მოვალეობა არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვით სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა არ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა. ამ საქმეში კავშირებისადმი დახმარების გაწევის გარდა, ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულება უნდა ეცადოს ჩაბას თავის აპარატში დაწინაურებულთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. ზოგიერთ შემთხვევებში აქამდი ადგილი ქონდა წინააღმდეგობას და სხვა და სხვა მოტივებით დაწინაურებულთა მიღებაზე უარის თქმას. ზოგან წამოყენებულთა მიღებას ხვდებოდენ როგორც არა სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელ ზომას. იშვიათი იყო შემთხვევები, როცა თვით წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი მოინდომებდა რაიმე თანამდებობაზე დაწინაურებულთა მიღებას, ამ მხრივ საჭირო იყო ერთგვარი ძალდატანება.

მოკლე დროის განმავლობაში უნდა იქნეს გამომუშავებული იმ თანამდებობათა სია სხვადასხვა საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში, რომელნიც უნდა იქნენ დაკავებული დაწინაურებულთა მიერ. ნაწილობრივათ ამ თანამდებობებზე წამოყენებული უნდა იქნენ მუშები ახლავე და ნაწილობრივათ ასეთების განთავისუფლების შემდეგ. თანამდებობათა შემუშავებული სიის გარდა, ყოველ კერძო შემთხვევაში, როცა ესა თუ ის თანამდებობა თავისუფლდება, სათანადო პროფკავშირი დაწესებულების ხელმძღვანელთან ერთად უნდა ცდილობდეს განთავისუფლებულ თანამდებობაზე მუშის წამოყენებას. საერთოთ, სადაც კი შესაძლებელი იქნება, უნდა იქნეს მიღებული ზომები დაწინაურებულთა დასანიშნავად

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით დაწინაურებულ მუშების სათანადო შერჩევას. აქ საჭიროა საკითხისადმი დაკვირვებით მიდგომა. შეუფერებელ კანდიდატის დაწინაურება ძალიან ავნებს საერთოთ დაწინაურების საქმეს. შერჩევისადმი ფორმალური და ზერელე მიდგომა პირდაპირ დაუშვებელია. კანდიდატურის შერჩევის დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დაწინაურება ხდება მხოლოდ და მხოლოდ აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამიტომ ერთათ ერთი მოტივი დაწინაურების დროს უნდა იყოს მხოლოდ ის, თუ როგორ გამოდგება ესა თუ ის კანდიდატი ამ თანამდებობისათვის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანდიდატის მომზადება, უნარიანობა და მიდრეკილება. კანდიდატურის მხოლოდ ყოველ მხრივ შეფასების შემდეგ უნდა წყდებოდეს საბოლოვოდ დაწინაურების საკითხი.

დაწინაურება უნდა ხდებოდეს მუშების აქტიურ ნაწილისაგან. ამ მიზნით კავშირებმა უნდა შეისწავლონ მუშების ის აქტივი, რომელიც თავს იჩენს პროფესიონალურ მუშაობის ჩატარების დროს. განსაკუთრებით საყურადღებოა საწარმოო თათბირები. ის მუშა, რომელიც თათბირებზე სხვა და სხვა სამეურნეო საკითხების გარჩევის დროს აქტივობას და საღ მიდგომას იჩენს, საუკეთესო კანდიდატი იქნება დაწინაურებისათვის. დაწინაურება უნდა ხდებოდეს როგორც პარტიის წევრების, ისე უპარტიოების. ცენ. კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უპარტიო მუშების დაწინაურება უფრო მეტათ უნდა ხდებოდეს, ვიდრე ამას აქამდე ჰქონდა ადგილი.

დაწინაურება უნდა ხდებოდეს მუშათა მასის მონაწილეობით. დასაწინაურებელი კანდიდატურა, როგორც წესი, უნდა დაისვას მუშათა საერთო კრებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შერჩევა შეიძლება არ იქნეს სათანადო და მუშების მასაც ასეთი წესით დაწინაურებულს ალმაცერად დაუწყებს ყურებას. რაც მეტი საზოგადოებრივი ხასიათი მიეცემა დაწინაურებას, მით უფრო მეტ დადებით შედეგს მოიტანს ის. დაწინაურება უნდა ხდებოდეს მასის მიერ. დაწინაურებულმა შემდეგში არ უნდა გასწყვიტოს კავშირი მასასთან, რომელმაც ის წამოაყენა.

დაწინაურებულთა სამუშაოზე გამოყენების საკითხიც ფრიად საყურადღებო არის. თუ დაწინაურებული სწორათ არ იქნა გამოყენებული, თუ ის ისეთ პირობებში არ იქნა ჩაყენებული, რომ შესძლოს უნარიანობის და ინიციატივის გამოჩენა, დაწინაურება დადებითი შედეგების მაგივრათ მოიტანს უარყოფითს. დაწინაურებულ მუშების სათანადოთ გამოყენებისათვის საჭირო არის მთელი რიგი ზომები. უპირველეს ყოვლისა, დაწესებულებაში დაწინაურებული მუშა უნდა იქნეს ჩაყენებული მუშაობის ისეთ პირობებში, რომ ის არ გრძნობდეს თავის თავს უცხოთ. საჭიროა მისდამი ფრთხილი მოპყრობა და დახმარება. რაც უნდა ადვილი არ იყოს დავალებული საქმე, მუშისათვის პირველ ხანებში, სინამდი ის შეეჩვეოდეს, ძნელი შესასრულებელი იქნება. ადვილათ შესაძლებელია პირველ ხანში დაწინაურებულმა ვერ გამოიჩინეს მუშაობის შესაფერი უნარი. ეს სრულიათ ბუნებრივია და ამიტომ დასკვნის გამოტანა პირველი პერიოდის მუშაობიდან, რომ დაწინაურებული უვარგისია ამ საქმისათვის, დაუშვებელია.

რთულ საქმეზე წამოყენებულ მუშას უნდა მიეცეს საშუალება შეისწავლოს ეს დარგი. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც ინდივიდუალური სწავლების წესით, ისე სპეციალური კურსების მოწყობით. შესწავლის საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვთ დაწესებულების სხვა თანამშრომლებს და თვით ხელმძღვანელს. დაწინაურებული მათი დახმარებით ჩქარა გაერკვევა დავალებულ საქმეში და შესძლებს დამოუკიდებელ მუშაობას.

თვით დაწინაურებული არ უნდა დაკმაყოფილდეს მით, რომ ის წამოაყენეს პასუხისმგებელ სამუშაოზე. ზოგი სრულებით არ ცდილობს შეისწავლოს დავალებული საქმე და კმაყოფილდება იმ ცოდნით, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აძლევს მას. დაწინაურებულმა ენერგიულათ უნდა მოკიდოს ხელი საქმის ყოველმხრივათ შესწავლას.

დაწინაურებულის სამუშაოზე არა სათანადოთ გამოყენება სრულიად უკარგავს ფასს დაწინაურების იდეას. თვით დაწინაურებული მუშა, აქტიური მომუშავე თავის წარმოებაში წამოყენებამდე, ხდება პასიური, კარგავს ძალას და თავის თავს ზედმეტ მუშაკად სთვლის დაწესებულებაში. ის მზათ არის დაუბრუნდეს დაზგას. ასეთ შემთხვევებს ქონდა ადგილი. რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა დაწინაურებულ მუშის მიზანშეწონილ გამოყენებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საბჭოთა ყრილობების პრაქტიკულ წინადადებათა განხორციელება

განვლილ სამაზრო ყრილობებზე და სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე მთავრობის საქმიანობა ზედმიწევნით და ყოველმხრივ იქნა განხილული.

მთავრობის საქმიანობის განხილვაში მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის მრავალი საუკეთესო წარმომადგენელი. როგორც სამაზრო, ისე რესპუბლიკანურ ყრილობებზე, მთავრობის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს თავისი აზრები და შენიშვნები გამოთქვეს ათეულმა ორატორებმა. ყველა გამოსვლებს ახასიათებდა საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხებისადმი უაღრესად სერიოზული და საქმიანი მიდგომა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მუშურ-გლეხურ მასების მნიშვნელოვან კულტურულ და პოლიტიკურ ზრდას.

მთავრობის საანგარიშო მოხსენების მასიური განხილვის შედეგად რესპუბლიკის მშრომელმა მოსახლეობამ სავსებით მოიწონა მისი მუშაობა და აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგებში. ამასთანავე ერთად, რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის სრულიად საქ. საბჭოთა მეოთხე ყრილობამ მთავრობას მისცა ძირითადი დირექტივები შემდგომი მუშაობისათვის.

სახელმწიფოს შენება უნდა მიდიოდეს იმ გზით, რომელიც დასახულია საბჭოთა მეოთხე ყრილობის მიერ მთავრობისათვის მიცემულ დირექტივებში.

საბჭოთა სამაზრო ყრილობები მთავრობის საანგარიშო მოხსენების განხილვის შემდეგ აყენებდენ კონკრეტიულ წინადადებებს ამა თუ იმ საკითხში.

მართალია, ზოგიერთი სამაზრო ყრილობები დაკმაყოფილდენ მხოლოდ მთავრობის მუშაობის დადასტურებით, და არ სცნეს საჭიროდ შეეტანათ რეზოლიუციაში თავისი წინადადებები. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ არა ყველა რეზოლიუციებში, რომლებიც საბჭოთა ყრილობების მიერ გამოტანილ იქნენ, ჰპოვეს გამოხატულება ყველა იმ საკითხებმა, რაც წამოყენებულ იქნა მოხსენების განხილვის დროს. სამაზრო ყრილობების მიერ მიღებულ რეზოლიუციებს აქვთ კიდევ ერთი ნაკლი. სახელდობრ, ყრილობები ზოგიერთ შემთხვევებში აყენებენ წინადადებებს, რომელთა განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს ეხლანდელ მატერიალურ მდგომარეობაში. ასეთი წინადადებები არის მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებათა იმ კოლოსალური ზრდის შედეგი, რომელიც გამოწვეულია მასების პოლიტიკური და კულტურული განვითარებით ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების ნიადაგზე.

საერთოდ კი სამაზრო ყრილობებმა მოგვცეს მეტად მიზანშეწონილი წინადადებები, რომლებიც ჩვენ უნდა დაწვრილებით და ზედმიწევნით შევისწავლოთ მათი ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობის თვალსაზრისით. თავისთავად ცხადია, რომ ეს წინადადებები უნდა შეუფარდოთ და შეუთანხმოთ იმ დირექტივებს, რომლებიც სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობამ მისცა მთავრობას.

წარსული წლის საბჭოთა სამაზრო ყრილობებმაც წამოაყენეს წინადადებები მთავრობის მოხსენების განხილვის შედეგათ, მაგრამ ეს წინადადებები არ ყოფილა გამოყენებული. ეს კვლავ აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენი ამოცანაა, რომ საბჭოთა სამაზრო ყრილობების არც ერთი საქმიანი, მიზანშეწონილი წინადადება არ დარჩეს უშედეგოთ.

საბჭოთა ყრილობების მიერ მოცემული წინადადებები შეიძლება დაყოფილ იქნას 2 ჯგუფად.

პირველი ჯგუფი — ეს არის წინადადებები, რომლებიც ეხებიან რესპუბლიკანურ მნიშვნელობის და მასშტაბის საკითხებს. მეორე ჯგუფი — წინადადებები ამა თუ იმ ღონისძიებების გატარების შესახებ რომელიმე მაზრაში ან რაიონში.

მაგალითად, პირველ ჯგუფს შეადგენენ ისეთი წინადადებები, როგორიცაა ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ცენტრსა და ადგილებს შორის კავშირის გაუმჯობესება, საბჭოთა აპარატის გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან, სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტის მიწოდების საკითხები, მიწათმოწყობის საკითხები, კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელობა, ტყის მცველთა შტატის გადიდება, კორექტივების შეტანა დეკრეტში სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ და სხვადასხვა.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ისეთი წინადადებები, როგორიცაა ამა თუ იმ ქარხნის აგება მაზრაში, გზის გაყვანა, მუშაობის დაჩქარება, სარწყავი არხის მოსაწყობად, ხილის საჩვენებელ სანერგის აგება, ღონისძიებები ფილოქსერას წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა მეურნეობის გადაცემა მაზრისათვის და სხვ.

ადგილებს პასუხი უნდა მიეცეს მათ მიერ წამოყენებულ წინადადებაზე.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყრილობების წინადადებებში აღძრულ საკითხების წინასწარ დამუშავების სწორ ორგანიზაციას და ამ საკითხების მომზადებას საქართველოს ცაკში და სახ. კომისართა საბჭოში განსახილველად. ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სათანადო სახ. კომისარიატებმა და სხვა ცენტრალურ ორგანოებმა და სათანადო სამაზრო აღმასკომებმა.

შ. მათიკაშვილი.

ადგილობრივი მრეწველობის შესახებ

ადგილობრივი მრეწველობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მეტად დიდ როლს თამაშობს, რასაც მოწმობს მრავალი ციფრი, კერძოდ, საქონლის პროდუქციის შეფარდება მსხვილ და წვრილ ინდუსტრიაში.

გამოანგარიშების თანახმად ომამდე მსხვილი მრეწველობის საქონლის პროდუქცია შეადგენდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 73 პროცენტს, წვრილი სასოფლო მრეწველობის პროდუქცია—20 პროცენტს და ქალაქის წვრილი მრეწველობის პროდუქცია—7 პროცენტს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ადგილობრივ ინდუსტრიას ეკუთვნის მსხვილ წარმოებათა დიდი რაოდენობა, აშკარა გახდება, რამდენად დიდია ადგილობრივი მრეწველობის ხვედრი წონა.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში ადგილობრივი ინდუსტრიის შესახებ ნათქვამია, რომ უკანასკნელი იძლევა მთელი დაგეგმილი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის 30 პროცენტს და სავსებით გასაგებია, ვინაიდან ჩვენს მეურნეობაში საერთოდ აღდგენილია ომის წინანდელი დონე და კიდევ უფრო მეტად ომის წინანდელი პროპორცია.

თვით ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მრეწველობა მთელი სახელმწიფო სამრეწველო პროდუქციის ერთ მესამედს ამზადებს, მოწმობს ადგილობრივი ინდუსტრიის ხვედრი წონის სიდიდეს და მოითხოვს ჩვენგან მეტ ყურადღებას მისდამი.

მაგრამ არა მარტო და არა იმდენად, რიცხვობრივ მხარეშია საქმე.

იმ დროს, როცა კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქონლის ნაკლებობა, საწარმოო ნამუშევარის რაოდენობა, ე. ი. საქმის რიცხვობრივი მხარე, დიდ როლს თამაშობს. მაგრამ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი მრეწველობა ამზადებს უმეტესად ისეთ ნაწარმოებებს, რომელზედაც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ადგილობრივ ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ წვრილ წარმოებაში და შინამრეწველობაში არის ისეთი დარგები, რომელთაც თითქმის ადგილი არ აქვს მსხვილ ინდუსტრიაში. მრეწველობის ერთ ერთი, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დარგი— საკვები პროდუქტების წარმოება—თითქმის ადგილობრივ მრეწველობას შეადგენს.

ფეხსაცმელების ბაზარს ყველაზე მეტი რაოდენობით აკმაყოფილებს ადგილობრივ წარმოებების და ხელოსნების პროდუქცია.

ქეჩის ჩექმები, ფურგუნები, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ლითონის დიდძალი ნაწარმოები, ხის ჭურჭელი მეურნეობისათვის, ჭურჭელი თევზის სარეწაოებისათვის, გამზადებული ტანისამოსი, საპონი; თიხის და მუშეულის ნაწარმოები—ყოველივე ეს მზადდება უმეტესად ადგილობრივ წარმოებებში.

კერძოდ, წვრილმა ინდუსტრიამ 1925—26 წელს მოგვცა საერთო სამრეწველო პროდუქციის 55 პროცენტი საკვები პროდუქციის დარგში, 66 პროცენტი ტანისამოსისა და ტუალეტის დამზადებაში და 79 პროცენტი ტყავისა და ფეხსაცმელების წარმოების დარგში.

ეს ციფრები არ საჭიროებენ განმარტებას.

ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელობა ძალიან დიდია. აღვნიშნოთ აგრეთვე ამ უკანასკნელის საწარმოო კავშირი მსხვილ ინდუსტრიასთან, რომელიც არის წვრილ წარმოებათა პროდუქტების მთავარი დამკვეთი, რამდენადაც ეს პროდუქტები მისთვის წარმოადგენენ ნახევრად ფაბრიკატს.

სასოფლო მეურნეობისათვის კი ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდა ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გასაღების ზრდას; უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნედლეულს ის ამუშავებს მეტი რაოდენობით, ვინემ საერთო საკავშირო მრეწველობა, ისეთი დარგების გამოკლებით, როგორიც არის ბამბეულის წარმოება.

ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ადგილობრივ ინდუსტრიას; უნდა ითქვას, რომ ასეთ დახმარებას ის უკანასკნელ დრომდე მოკლებული იყო.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებამ, რომელიც დღეს ქვეყნდება, ბოლო უნდა მოუღოს ისეთ მდგომარეობას, რომ ადგილობრივ მრეწველობა თითქმის სავსებით თავის ძალების ანაბარად არის მიტოვებული და ამიტომ მას არ ძალუძს არსებულ საშუალებებისა და ძალების მიხედვით განვითარება.

სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ „არა საკმაოდ და არა თავის დროზე ხდება, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დამზადებელ, ისე უცხოეთიდან შემოზიდულ ზოგიერთ ნედლეულის მოწოდება,—(ლითონი, ნედლეული ტყავი, ზეთის თესლი და სხვ.)“ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მოითხოვს ზომების მიღებას იმისათვის, რომ უფრო სისრულით ხდებოდეს ადგილობრივი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის აღრიცხვა, ნედლეულით დაკმაყოფილება და აგრეთვე მისი უფრო თანაზომიერათ განაწილება. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ უფრო სწორად იქნეს შესრულებული ხელშეკრულებები ადგილობრივ მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია დადგენილების ის მუხლი, რომელშიაც აღმასკომებს ეკრძალებათ თანხების სესხება ადგილობრივ სამრეწველო ფონდებიდან არა საწარმოო მოთხოვნილებათათვის.

ამრიგად ადგილობრივი მრეწველობისათვის იქმნება გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები.

ჩვენ აღვნიშნავთ ადგილობრივი მრეწველობის დიდ მნიშვნელობას, ვაქცევთ მას ყურადღებას და ვეხმარებით, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ადგილობრივ მრეწველობას უნდა წავუყენოთ მთელი რიგი მოთხოვნილებებისა, როგორც ამას სჩადის სახალხო კომისართა საბჭო თავის დადგენილებაში.

პირველყოვლისა საჭიროა დაძლეულ იქნეს ის სტიქიური თვითგანვითარება, რომლის მოწამენი ჩვენ ვიყავით უკანასკნელ დრომდე.

ადგილობრივი სამრეწველო ორგანოები მუშაობდენ თავის ნება-სურვილის მიხედვით. ისინი ანგარიშს არ უწევდენ საერთო სამრეწველო და სამეურნეო გეგმებს იწყებდენ ახალი შენობების აგებას და არ შეჰქონდათ ეს საერთო გეგმაში.

სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს „ადგილობრივ მრეწველობის გეგმიანი ხელმძღვანელობის გაძლიერებას და გაძლიერებულ კონტროლს გეგმების შესრულებაზე“.

დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როცა საგრძნობი თანხების დაბანდება ხდება უგეგმო მშენებლობაში; ამას კი ბოლო მოეღება.

ადგილობრივ მრეწველობას ევალება გააძლიეროს ადგილობრივ სათბობ მასალის და ნედლეულის დამზადება. მას უნდა ახსოვდეს, რომ სათბობი მასალის და ნედლეულის საკითხის სასურველად გადაჭრა პირველ ყოვლისა მას შეუძლია.

თანხებიც ადგილობრივად უნდა იქნეს გამონახული, ვინაიდან საერთო-სახელმწიფოებრივ ბიუჯეტს საშუალება აქვს გაიღოს თანხები უკიდურეს, მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში და ისიც ძალიან განსაზღვრული რაოდენობით საკავშირო მნიშვნელობის მქონე კაპიტალურ მშენებლობისათვის და ყველაზე უფრო ჩამორჩენილ განაპირა მხარეების, რესპუბლიკების და ოლქების საჭიროებისათვის.

ადგილობრივი ორგანოები საბრუნავ საშუალებების გამოძებნის დროს ხშირად მიდიოდენ ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით, ადიდებდენ რა ფასს ადგილობრივ სამრეწველო პროდუქციაზე.

სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა სისტემატიურად მტკიცე ფასები დააწესონ ადგილობრივ სამრეწველო პროდუქციაზე.

ეს საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ მაკრატელის ფართოდ გაშლა, რომლის ზედა პირი არის ადგილობრივი პროდუქციის ფასი, ხოლო ქვედა პირი—საერთო საკავშირო პროდუქციის ფასი. ადგილობრივი ინდუსტრიის ნორმალური განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ გვექნა მისი მიზანშეწონილი ორგანიზაციული ფორმები; სახალხო კომისართა საბჭო სახავს ადგილობრივი მრეწველობის მართვა-გამგეობის სისტემის გამარტივებისა და მოწესრიგების გზებს.

აღდგენის პროცესი საერთოდ დამთავრებულია, როგორც ცენტრებში, ისე ადგილებზე.

მთელი მრეწველობის წინაშე დგას დიდი მნიშვნელობის მქონე ამოცანები ძველის რეკონსტრუქციისა და ახლის შექმნის შესახებ.

ადგილობრივ ინდუსტრიას შეუძლია ამ ამოცანების გადაჭრა მხოლოდ მაშინ, თუ ის ზედმიწევნით შეისწავლის თავის რაიონს; გამოიყენებს ადგილობრივ საშუალებებს და მჭიდროდ დაუკავშირდება ბაზარს. ამ შემთხვევაში, რაციონალურ ორგანიზაციულ ფორმების არსებობისას, ის შესძლებს არა თუ რიცხვობრივად განვითარებას; არამედ ადგილობრივ მოსახლეობის სიმპატიების მოპოვებას იაფ და კარგ ნაწარმოების დამზადების გზით.

ასეთ პირობებში ინდუსტრია თან გაიყოლებს სოფლის მეურნეობას სოციალისტური მშენებლობის გზით.

მოსკოვი, 11 მაისი.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

გლეხური მეურნეობა წინედ და ეხლა

სასოფლო მეურნეობაში (ისე როგორც მრეწველობაშიც) ჩვენ საერთოდ უკან დავტოვეთ ომის წინანდელი დონე და ფეხი შევსდგით ფართე რეკონსტრუქციის ხანაში. მიწად-სარგებლობის გაუმჯობესება, ტეხნიკურ კულტურათა განვითარება, შერჩეულ თესლეულის ხმარება, მინერალურ სასუქის გამოყენება, თანამედროვე მანქანების გავრცელება, ჯიშიანი საქონლის მოშენება, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდება, გლეხის შრომის გაადვილება და სხ., ასეთია ამ რეკონსტრუქციის უმთავრესი მომენტები. ამასთან, რაც ხაზგასასმელია, სოფლის მეურნეობის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების დროს ძველი მდგომარეობისაგან ძირეულად განირჩევა თავისი სოციალური შინაარსით და მიზნებით. ამაზე „პრავდა“-ში სამართლიანად წერს ამხ. ა. სვიდერსკი:

„ძველ დროს სოფლის მეურნეობის პროგრესი გამოიხატებოდა მსხვილი კერძო მეურნეობის პროგრესში, რომელიც ხდებოდა მრავალ მილიონ გლეხურ მეურნეობათა დაქცევითების პირობებში. ამჟამად კი საქმე ეხება წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა პროგრესს.

განა ლაპარაკია საჭირო, რომ ორივე პროგრესს შორის უდიდესი განსხვავება არსებობს? განა მტკიცება უნდა, რომ დაქუცმაცებულ და ჩამორჩენილ გლეხურ მეურნეობის პროგრესი ნიშნავს ადამიანთა უამრავ მასების ზიარებას ეკონომიურ და სხვა ყოველგვარ კულტურისადმი, მასების, რომელთა გავლენით სოფლის ძველი სამეურნეო წყობილება არ შეიძლება არ დაინგრეს და მის ნანგრევებზე ახალი მსოფლიო არ წარმოიშვას“.

ამხ. სვიდერსკი აღნიშნავს იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ეწევა მიწადმოწყობის, გლეხურ მეურნეობათა ინტენსიფიკაციის დარგში, და ასკვნის:

„ყველა ამ ღონისძიებებს მიზნად აქვთ დასახული სოფლის ღარიბ-საშუალო ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება.სხვა სიტყვებით რო ვთქვათ, პროგრესი სოფლის მეურნეობაში ეხება სოფლის მოსახლეობის სამეურნეო მხრით ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ჯგუფებს.

არასოდეს და არსად მსოფლიოში ხალხის ფართო მასებს, ამასთან თავის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ [illegible] სახით, არ შეუქმნიათ ნამდვილი სახალხო მოძრაობა მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხების გარშემო. ასეთი ხასიათის სახალხო მოძრაობა შეიძლებოდა აღმოცენებული და განვითარებულიყო მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება თვით მშრომელებს ეკუთვნით“.

მშრომელი სოფელი სამეურნეო (და, მაშასადამე, კულტურული) აღორძინების მკვიდრ გზაზეა შემდგარი. იშლება მისი შემოქმედებითი ენერგია, ფართე გასაქანს აძლევს და ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა ხელისუფლება. ეს სამეურნეო აღმშენებლობა, რაც მთავარია, თანდათან ექცევა სოციალისტურ კალაპოტში; სოფლის მეურნეობის მაღალ ფორმებზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი კოლექტივიზაციის, კოოპერაციის გზით. გლეხურ მეურნეობის კოოპერატიული გაერთიანება—აი რა უზრუნველყოფს მის ინტენსიფიკაციას და გლეხობის კეთილდღეობის აწევას. აქეთკენ უნდა იქნას წარმართული ჩვენი საქმიანობა.

უცხოეთის პრესა

ვანდერველდეს გაცრუებული იმედები და ახალი ილიუზიები

გერმანელ მენშევიკების გაზეთის, „ფორვერტს“-ის საპირველმაისო ნომერში მოთავსებულია ვანდერველდეს, კაუცკის და სამიოდე სხვა რენეგატის წერილები, სადაც ისინი „ბჭობენ“ „ქვეყნის ამბებზე“. ვანდერველდე (ისე როგორც კაუცკიც) ვერ არის მაინც და მაინც კარგ გუნებაზე. დიდ იმედებს ამყარებდენ (და ახლაც ამყარებენ) მენშევიკები ერთა ლიგაზე, განიარაღების კონფერენციაზე და აი გამოდის ერთი მათი ოქროპირი, ბელგიის მეფის საგარეო საქმეთა მინისტრი, და აღიარებს:

„ერთა ლიგა ფრიად სუსტია და ინტერესთა წინააღმდეგობა იქ ფრიად ძლიერია, რომ მან რამე გააკეთოს. ხოლო ეგრედ წოდებულ განიარაღების კონფერენციაზე უფრო იმის შესახებ ფიქრობენ, რომ რაიმე საბაბი გამონახონ განიარაღების თავიდან ასაცილებლად, ვინემ იმის შესახებ, რომ საშუალება გამოძებნონ განიარაღების რამოდენიმედ შესამცირებლად მაინც. თუ გაუკეთებთ ბალანსს ამ წლის პირველ თვეებს უნდა ვაღიაროთ, რომ ცოტა გვაქვს მიზეზი სიხარულს მივეცეთ“.

მიუხედავად ამისა ავტორი „გულწრფელად აღიარებს“ (მისი სიტყვებია), რომ ომის საფრთხე არ არსებობს „ყოველ შემთხვევაში ევროპაში“. რით ასაბუთებს ამ აზრს ავტორი? იმით, რომ ასე ფიქრობს ჩეხიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მასარიკიო. და მოჰყავს მასარიკის სიტყვები. მას სადღაც უთქვამს, რომ ორმოციოდე წელიწადი გაივლის სანამ ომი იქნებოდეს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანობის ფაქტორები გაიმარჯვებენ ომისაზეო. ასე ლაპარაკობს მასარიკი მიყრუებული სოფლის „მკითხავივით“. სწორედ ამას ეყრდნობა „მეცნიერი“ ვანდერველდე და სწერს:

„როდესაც ასეთი სიტყვები გესმის ისეთი კაცისაგან, როგორიც არის მასარიკი—ეს ღირსია ყურადღების“-ო.

არ იყო არაფერი რეალური მენშევიკების ილიუზიებში ერთა ლიგის შესახებ გარდა იმისა, რომ ისინი რეალურად ატყუებდენ თავიანთ მიმდევარ მუშებს ამ „პატიოსანი“ დაწესებულების ნამდვილ დანიშნულების შესახებ. როგორც ვანდერველდე თვით აღიარებს ახლა, ლიგის ეს იმედები დაჭკნენ. მაგიერათ მეორე ინტერნაციონალის ბელადი უჯერის ჩეხელ „მკითხავს“ და ავრცელებს ახალ ილიუზიებს შესაძლებელი ომის შესახებ.

სხვათა შორის ამით ემსახურებიან მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეები ბურჟუაზიას.

ხანკოუს რევოლიუციონური ჯარები პეკინისაკენ მიიწევენ

სუნ-იატ-სენის შვილი ნაციონალური რევოლიუციის უახლოესი ამოცანების შესახებ

„ჩან-კაი-შის ძალაუფლება თავისთავად ისპობა.--იმპერიალისტები ვერ შეაჩერებენ რევოლიუციას“

ამხ. ლეპსესა და ხინჩუკის გამოსვლა ჟენევის კონფერენციის ქვეკომისიებში

ხანკოუს რევოლიუციონური ჯარების წინსვლა

სუნ-ფო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

ხანკოუ, 10 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს ნაციონ. მთავრობის გზათა მინისტრმა **სუნ-ფომ** (სუნ-იატ-სენის შვილმა) ასე დაახასიათა პოლიტიკური მდგომარეობა:

სუნ-ფო
(სუნ-იატ-სენის შვილი) ხანკოუს ნაციონალური მთავრობის გზათა მიმოსვლის მინისტრი.

—:—

„ჩან-კაი-შის საქმე გათავებულია. მისი მდგომარეობა უიმედოა. ჩვენ არ ვფიქრობთ დაუყოვნებლივ თავს დავესხათ მას, ვინაიდან მისი ძალა-უფლება თავისთავად ეცემა. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ბრძოლა მუკდენის წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამი თვის შემდეგ ჩვენ პეკინში ვიქნებით. პეკინის დაკავების შემდეგ ადვილი იქნება კანტონის, ფუ-ძიანის, ჩჟე-ძიანის და შანხაის უკანვე დაბრუნება.

სუნ-ფო შეეხო იმ საფრთხეს, რომელიც მოსალოდნელია იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან, და განაცხადა:

„ჩინეთის ნაციონალური რევოლიუცია თავისი განვითარებით ისე შორს წავიდა, რომ მას იმპერიალისტების შიში არ შეიძლება ექნეს. რევოლიუციის ჩაქრობა შეუძლებელია და იმპერიალისტებს არ ძალუძთ მისი განადგურება. როცა აღსდგება 350 მილიონი ჩინელი გლეხი და აჯანყება მიიღებს გლეხური რევოლიუციის ფორმას, არავითარ ძალას მსოფლიოში არ შეეძლება ამ გიგანტური მოძრაობის ჩაქრობა“.

კომპარტიისა და გომინდანის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ სუნ-ფომ განაცხადა:

„ნამდვილად მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. **გომინდანი და კომპარტია იბრძვიან ერთ და იმავე მტრების წინააღმდეგ და მიდიან ერთი მიზნისაკენ.** სუნ-იატ-სენის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთი განვითარდება სოციალისტური გზით, ის გვერდს აუხვევს კაპიტალისტურ განვითარებას. ამჟამად **ჩინეთის ნაციონალური რევოლიუცია წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის არა თუ თანასწორ უფლებიან, არამედ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს**“. (ადს).

„ნაციონალური სირცხვილის“ დღე შანხაიში.

შანხაი, 10 მაისი. „ნაციონალური სირცხვილის“ დღე (შანხაის მუშების დახვრეტის წლის თავი) უფრო გაცხოველებით ჩატარდა, ვიდრე საპირველმაისო დღესასწაული, მაგრამ ფართე მასებს მაინც არ მიუღიათ მონაწილეობა. მიუხედავად სამხედრო სარდლობის განკარგულებისა, რომ სავაჭროებსა, ფაბრიკებსა და სკოლებში მუშაობა შეწყვეტილიყო, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20.000 კაცმა ზოგიერთმა ფაბრიკებმა არ შესწყვიტეს მუშაობა და დემონსტრაციაზე გაგზავნეს მხოლოდ კავშირის მიერ დანიშნული თითო-ოროლა წარმომადგენელი. კომუნისტების გამოსვლის თავიდან ასაცილებლად ფაბრიკებში დადიოდენ პოლიციის აგენტები. საფრანგეთის კონცესიისა და საერთაშორისო უბნის ხელისუფლებამ გააძლიერა პოლიციის რაზმები და დაკეტა გასავალი გზები ქალაქის ჩინურ ნაწილში. ქალაქის ჩინურ ნაწილში გამოკიდებულია ანტი-იაპონური პლაკატები პრეზიდენტ იუან-ში-კაის სურათით, რომელიც მუქარის ქვეშ იღებდა იაპონიის მოთხოვნილებებს. სხვა პლაკატებზე წარწერილი იყო:

„ძირს ინგლისისა და იაპონიის იმპერიალიზმი!“ მიტინგებზე გამოსული ორატორები აკრიტიკებდენ იაპონიის პოლიტიკას ჩინეთში და ილაშქრებოდენ ინგლისის წინააღმდეგ. (ადს).

სისხლი სწყურიათ

პეკინი, 10 მაისი. „პეკინ ენდ ტიანცზინ ტაიმსი“ თავის მოწინავეში ხაზს უსვამს, რომ რუსებმა დაიმსახურეს იგივე ბოლო, რაც წილად ხვდათ 20 დასჯილ ჩინელ კომუნისტს.

გაზეთები მოითხოვენ სასტიკი რეპრესიების მიღებას საბჭოთა კავშირის მოქალაქეების მიმართ. (ადს).

ბაი-ცზუ-ჩის შტაბის გადატანა ნანკინში

შანხაი, 10 მაისი. ბაი-ცზუ-ჩის შტაბი გადააქვთ ნანკინში. შანხაიში მოდიან გენერალი ჩჟოუ-ფინ-ში და იან-ხუ (ადს)

ნაციონალური ჯარები პეკინისაკენ მიიწევენ

ხანკოუ, 10 მაისი. ნაციონალური სააგენტო იტყობინება, რომ ხენანის პროვინციის ჩრდილოეთით მეტად მნიშვნელოვანი ამბები ვითარდება. მუკდენის არმიის ზოგიერთი ნაწილები ცდილობენ შეაჩერონ ნაციონალური ჯარების შეტევა პეკინისაკენ. ნაციონალური ჯარები მიდიან ჩრდილოეთისაკენ გასამაგრებლად და ემზადებიან შეტევისათვის ყველა ფრონტიდან.

ამჟამად ყოველგვარი მზადება ფართო შეტევისათვის დამთავრებულია. ფინ-იუი-სიანის ჯარები თავმოყრილი არიან შენსის და ხენანის პროვინციების საზღვართან და დაჩქარებით წინ მიიწევენ აღმოსავლეთით, ჩენ-ჩჟოუს მიმართულებით. შეტევა დაიწყო 8 მაისს. ფინ-იუი-სიანის პირველმა არმიამ სასტიკად დაამარცხა ლუ-ჩუნ-ხუს ჯარები, 10 საათის ბრძოლის შემდეგ დაიკავა ჩენ-ჩჟო და ამჟამად გაძლიერებული იერიში მიაქვს ლოი-იანზე (უდიდესი სტრატეგიული ცენტრია ხენანის დასავლეთით, უპეი-ფუს ყოფილი ბანაკი). ლოი-იან-ის დაკავება დაკისრებული აქვს ფინ-იუი-სიანის სამ ცალკე არმიას, რომლებიც შეტევას აწარმოებენ სამი მიმართულებით (ადს).

ჯორჯ სიუ-ჩენ
ხანკოუს რევოლიუციონური მთავრობის იუსტიციის მინისტრი, ცნობილი ჩინელი მეცნიერი და იურისტი. სუნ-იატ-სენის ახლო მეგობარი, ძველი რევოლიუციონერი.

—:—

შანხაელ ოკუპანტების თავხედობა

შანხაი, 10 მაისი. შანხაიში განვლილ კრიზისმა. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. საერთაშორისო უბნის მუნიციპალურმა საბჭომ ნება დართო ქუჩებში სიარული დღე-ღამის განმავლობაში. მაგრამ **სტრატეგიულ პუნქტებში მაინც დატოვებულია ბარიკადები, ეკლიანი მავთულები, ტანკები და ტყვიის მფრქვეველები.** მრავალი უცხოელი ეჭვობს, რომ შანხაი მიიღებს თავის ძველ, შორეული აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობას, ვინაიდან მრავალი ჩინელი მრეწველი, კომერსანტი და ხელოსანი სტოვებს ქალაქს. ჩინელი ბანკირები იხილავენ საკითხს ახალი საფინანსო ცენტრის დაარსების შესახებ ნინბოსა და უხუნში. **ქალაქში თავმოყრილ და უმოქმედოთ მყოფ სამხედრო ძალებს შორის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა შეტაკება საფრანგეთის საკონცესიო ტერიტორიაზე საჭირო გახდა კაფე-შანტანების დახურვა,** საგაზეთო ცნობების მიხედვით, **ფრანგი მეზღვაურები შეიარაღებული დადიან ქუჩებში და ეძებენ იტალიელ და ამერიკელ ჯარისკაცებს, რომ „გაუქვითონ“ უკანასკნელი ჩხუბის დროს მიღებული დამარცხება. ჩინური პრესა აღშფოთებას გამოსთქვამს ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცების მიერ ჩინელების სახლებში შეჭრისა და ძალადობის მოხდენის გამო. ყოფილა შემთხვევები, რომ ინგლისელ ჯარისკაცებს გაეუპატიურებიათ ჩინელი ქალები და სკოლის ჰასაკის ახალგაზრდა ქალები.** (ადს).

„მეგობრის ხმა“

შანხაი. 10 მაისი. გომინდანის მემარჯვენე ფრთის გაზეთები ესალმებიან ამხ. ოსინსკის გალაშქრებას ჟენევაში ინტერვენციის წინააღმდეგ. ოსინსკის გამოსვლას ისინი **უწოდებენ** „მეგობრის ხმას“. (ადს).

ლი-ტა-ჩაოს ბედს უმზადებენ

პეკინი, 10 მაისი. გაზეთ „ტან-ჩუნ-ბაო“-ს მოჰყავს ერთ-ერთი „დიდი“ პირის აზრი. ამ „პიროვნებას“ განუცხადებია, რომ დაპატიმრებულმა საბჭოთა მოქალაქეებმა უნდა გაიზიარონ ლი-ტა-ჩაოს ბედი.

გაზეთების ცნობით, ამერიკელ იურისტს, ფოკსს აუკრძალეს დამცველად გამოსვლა საბჭოთა მოქალაქეების გასამართლების დღეს. (ადს).



იმპერიალისტები ჩინეთში
ამერიკული ჯარები სამხედრო გემებიდან სატრანსპორტო გემ „დოლარით“ გადაჰყავთ შანხაიში

ჩინეთის კომპარტიის მესამე ყრილობა

ხანკოუ, 10 მაისი. 27 აპრილს უხანში გაიხსნა ჩინეთის კომპარტიის მე-5-ე ყრილობა. ამ ყრილობაზე ჩინეთის კომპარტია პირველად გამოვიდა, როგორც დიდი, ჭეშმარიტად მასიური ორგანიზაცია. პირველად ჩინეთის კომპარტიის ყრილობა იმართებოდა ლეგალურ პირობებში. პირველად ყრილობის გახსნას დაესწრო გომინდანის აღმასკომის დელეგაცია.

კომინტერნის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **როი**, რომელმაც აღნიშნა ჩინეთის ამბების უდიდესი მნიშვნელობა მთელი საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობისათვის.

სოუ ჩენმა, რომელიც გამოვიდა გომინდანის აღმასკომის სახელით, ხაზი გაუსვა მჭიდრო კავშირის აუცილებლობას ჩინეთის კომპარტიასა და გომინდანს შორის, და განაცხადა, რომ ეს კავშირი წარმოადგენს მუშების და გლეხების რევოლიუციონური ბლოკის პოლიტიკურ გამოხატულებას, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმისა და შინაური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

შემდეგ სოუ-ჩენმა აღნიშნა, რომ ჩან-კაი-შის ღალატის გამო განსაკუთრებით აუცილებელია ამ კავშირის განმტკიცება.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კომუნისტურ პარტიების მისალმებები. უცხოელ ამხანაგების გამოსვლას და საკავშირო კომპარტიის მისალმებას ყრილობა დიდი აღტაცებით და მქუხარე ოვაციებით შეხვდა.

დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა, როცა გამოჩნდა მუშათა გვარდიის შეიარაღებული რაზმი, რომელიც ჩამწკრივებული მოვიდა პრეზიდიუმის ტრიბუნასთან და მუშური გვარდიის ფორმა მიუძღვნა ამხ. როის და ცეკას გენერალურ მდივანს ჩენ-დუ-სიუს, რომლებიც არჩეული არიან მუშათა გვარდიის რაზმის საპატიო წევრებად. ორივე იქვე გამოეწყო ახალ ფორმაში. როიმ რაზმს მიმართა სიტყვით, რომელშიაც მუშათა გვარდიას უწოდა მომავალი წითელი არმიის პირველი უჯრედი. როის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა (ადს).

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია

ამხ. ხინჩუკისა და ლეპსეს გამოსვლა კომისიებში

ჟენევა, 10 მაისი. ქვეკომისიაში, რომელიც იხილავდა თავისუფალი ვაჭრობის საკითხს, საბჭოთა დელეგაციის წევრმა **ხინჩუკმა**, რეზოლიუციის განხილვამდე განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია შეუძლებლად სცნობს შეუერთდეს რეზოლიუციას იმდენად, რამდენადაც მასში არ არის გატარებული განსხვავება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის.

„ჩვენ შეგვიძლია, — განაცხადა ხინჩუკმა, — დაუშვათ რეზოლიუცია, რომელსაც საფუძვლად დაედება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია“.

ქვეკომისიის თავმჯდომარე გამოვიდა განმარტებით და აღნიშნა, **რომ რეზოლიუცია შეეხება ყველა სახელმწიფოებს, საბჭოთა კავშირს გარდა, რადგან ყველას ესმის განსხვავება ორივე სისტემას შორის.**

სამრეწველო კომისიის სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის წევრმა **ლეპსემ** აღნიშნა ყველგან არსებული ქრონიკული უმუშევრობა. რომელიც ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობას.

„კაპიტალისტური რაციონალიზაცია, —სთქვა ლეპსემ,—**იწვევს პროლეტარიატის ექსპლოატაციის გაძლიერებას და უკანასკნელის მატერიალური მდგომარეობის დაქვეითებას. საერთაშორისო კარტელების შექმნა ნიშნავს ფასების ახალ გადიდებას. მრეწველობის მიერ წარმოდგენილი ზომები გამოიწვევენ კრიზისის გაღრმავებას და მუშების გაძვალტყავებას. შექმნილ მდგომარეობიდან ერთად-ერთ გამოსავალს წარმოადგენს — მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების რაციონალიზაცია, 8 საათის სამუშაო დღის, მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოებზე 6 საათის სამუშაო დღის დაწესება, სამუშაო ხელფასის გადიდება და გაფიცვებისა და პროფმოძრაობის თავისუფლების აღიარება, თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას მუშები მიაღწევენ მთლიანობით და კლასიური ბრძოლით**“.

ჩემბერლენი საბჭოთა კავშირის ვალების შესახებ

ლონდონი, 10 მაისი. მუშათა პარტიის დეპუტატი ტეილორი, შეეკითხა ჩემბერლენს: გამოყენებული იქნება თუ არა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირიც — ინგლისის დელეგატების მიერ ვალებისა და სხვა სადაო საკითხების მოსაგვარებლათ საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის და მათ შორის ინგლისთანაც.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის დელეგატები არ წარმოადგენენ ინგლისის მთავრობას. (ადს).

კოლონიალური კონფერენცია

ლონდონი, 11 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლონდონში გაიხსნა კოლონიალური კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ინგლისის 24 კოლონია, პროტექტორატის ქვეშ მყოფი და სამანდატო ტერიტორიები. კონფერენცია გაიხსნა კოლონიათა მინისტრის ემერის მისასალმებელი სიტყვით. დელეგატებს შორის არიან 8 კოლონიის გუბერნატორები.

კონფერენციის პირველი აქტი წარმოადგენს მეფისადმი ერთგულების რეზოლიუციას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ლეპსის გამოსვლის გამო

ჟენევა, 11 მაისი. მრეწველობის ქვე-კომისიაში ჟუომ (საფრანგეთი) განაცხადა, რომ ლეპსის სიტყვა ატარებდა პროპაგანდის ხასიათს და იგი განსხვავდებოდა საბჭოთა დელეგატების მიერ წინეთ თქმული სიტყვებისაგან, სადაც ორატორები ლაპარაკობდენ შემარიგებელი ტონით.

პიუმ (ინგლისი) ლეპსეს კონკრეტული წინადადებები სცნო სერიოზულ და ყურადღების ღირს წინადადებებათ.—„მუშები—სთქვა პიუმ არ არიან რაციონალიზაციის წინააღმდეგნი, თუ იგი არ ტარდება მათ ხარჯზე. პიუმ წინადადება შეიტანა დაარსდეს მუდმივი ორგანო, რომელიც მუშებს გააცნობს მრეწველობაში შემოღებულ ცვლილებებს. ეს, მისი აზრით, ხელს შეუწყობს ახალი ტეხნიკური გაუმჯობესებებისადმი მუშებს შორის არსებულ უნდობლობის მოსპობას და კონფერენცია მომავლისათვის „დასტოვებს შესამჩნევ კვალს“ (ადს).

ჰუნგრეთის სოციალისტური პარტიის დაშლა

ვენა, 11 მაისი. ჰუნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც დაშლილათაა გამოცხადებული ჰუნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია. პოლიციამ ბეჭედი დაადო პარტიის შენობას (ადს).

სპეციალური ტრიბუნალი

შანხაი, 11 მაისი. შანხაიში დაარსებულია სპეციალური ტრიბუნალი, რომელსაც მინდობილი აქვს გაარჩიოს „კომუნისტ დამნაშავეების“ საქმეები (ადს).

ნანკინის მთავრობა, დაცემის მოლოდინში

შანხაი, 11 მაისი. „შანხაი ტაიმსი“ სწერს, რომ ხან-ჩოუში დარჩენ ბევრი კომუნისტები და მემარცხენე მუშები, რომლებიც ელიან ნანკინში ჩან-კაი-შის ჩამოგდებას, რომ შემდეგ თვითონ მოაწყონ გამოსვლები.

ბურჟუაზიულ წრეებს შორისაც თანდთან მატულობს უკმაყოფილება ნანკინის მთავრობისადმი მის მიერ დამატებით გადასახადების შემოღებისა და იძულებითი 10 მილ. დოლარის სესხის ჩატარების გამო (ადს).

ჯარისკაცებისადმი მოწოდებისათვის

პარიზი, 11 მაისი. გაზ. „ყაზარმამ“ რედაქტორი კომუნისტი რენოს და ქალ. იგრის მუნიციპალიტეტის წევრს კომუნისტ შდევენს ჯარისკაცებისადმი მიმართულ მოწოდებისათვის, რომ არ დაემორჩილონ თავიანთ უფროსებს—მიუსაჯეს: პირველს წელიწად ნახევრის ციხე და მეორეს 4 თვის, ხოლო ორივეს მიუსაჯეს ას ასი ფრანკი ჯარიმა (ადს).

კატასტროფა ჰაერში

ვარშავა, 11 მაისი. დაიმსხვრა ჰაეროპლანი რომელსაც მართავდა პოლკოვნიკი ზახპლატოვსკი (პოლონეთის საჰაერო ძალთა უფროსის მოადგილე). ავიატორი დაიღუპა. აეროპლანის ჩამოვარდნისას დაინგრა სახლი, რომელსაც აპარატი დაეცა (ადს).

პროვოკატორის დაჭრა

ვარშავა, 11 მაისი. გუშინ საღამოს, მუშათა უბანში ვოლიაში რევოლვერით დასჭრეს ვინმე ნოვიაროვსკი, რომელსაც ბრალდება პროვოკატორობა. გაზეთების ცნობით ნოვიაროვსკის შემწეობით ჩატარდა ამას წინეთ მასიური დაპატიმრებანი ყირარდოვოში (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობა ჩან-ძო-ლინის ციხეებში

პეკინი, 11 მაისი. დღეს, საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენლები დაშვებულ იქნენ პეკინში დაპატიმრებულ ბოროდინის ცოლის, მოროზოვის ქალის, ილიაშენკოს, სკატკინის, მაისკის და დემჩინსკის სანახავათ.

დაპატიმრებულებმა 1-ლ მაისს გამოაცხადეს შიმშილობა, იმის გამო, რომ ჩინელმა ხელისუფლებამ მათ უარი უთხრა შუამდგომლობაზე—დაეშვათ სანახავათ საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენლები. შიმშილობა პატიმრებმა შესწყვიტეს მხოლოდ დღეს. დაპატიმრებულები კარგათ გრძნობენ თავს (ადს).

ჩემბერლენი ელის თეთრ წიგნს

ლონდონი, 11 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: „პოლკოვნიკმა ხოლმა (კონსერვატორია) შეიტანა შემდეგი შეკითხვა დეპუტატთა პალატაში—ჩინეთის ხელისუფლების თავდასხმის დროს საბჭოთა წარმომადგენლობაზე პეკინში, ამოჩენილ იყო თუ არა იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ როგორ მოღვაწეობას ეწეოდენ ინგლისის ინტერესების საწინააღმდეგოთ საბჭოთა თანამდებობის პირები. თუ ახეთი დოკუმენტები ნაპოვნია, რა ზომების მიღება აქვს ამის გამო განზრახული ჩემბერლენს.

ჩემბერლენმა თავის პასუხში, აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია რაიმე საყურადღებო ცნობის მოცემა იმ დოკუმენტების ხასიათის შესახებ, რომელზედაც ლაპარაკობს ხოლმი, სანამ არ მიიღებს და არ გაეცნობა თეთრ წიგნს, რომელსაც გამოსაცემათ ამზადებს პეკინის მთავრობა (ადს).

ახალი ქარხანა

ლენინგრადი, 11 მაისი. დაიწყეს საბჭოთა კავშირში პირველი ახალი ქარხნის აგება, სადაც მადნიდან გადაამუშავებენ ზეთს, გაზს და ბენზინს. (ადს).

საველიევის ქალის მკვლელთა საქმე

ბაქო, 11 მაისი. აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმმა, 11 მაისის სხდომაზე განიხილა საველიევის ქალის გამაუპატიურებელთა და მკვლელების თხოვნა და დაადგინა: აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს დადგენილება მეჯიდა აბდულაევისა და აგამალის მიმართ, რომლებსაც მისჯილი აქვთ დახვრეტა, დამტკიცდეს, ხოლო იუსუფ კასიმოვს დახვრეტა შეეცვალოს ათი წლის თავისუფლების აღკვეთით და სასტიკი იზოლიაციით. (ადს).

მუშების დევნა პოლონეთში

ლიდსის მაზრაში

ვარშავა, 10 მაისი. პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ახალ დაპატიმრებების შესახებ ლიდსის მაზრაში. დაპატიმრებულთ ბრალს სდებენ „კომუნისტურ მუშაობაში“ (ადს).

მუშების დაპატიმრება

ვარშავა, 10 მაისი 9 მაისს რადომში, შიდლოვეცში და ოსტროვეცში შესდგა კომუნალური არჩევნები. სოციალისტებმა შეინარჩუნეს თავიანთი მანდატები მემარცხენე მუშათა სიების წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიების წყალობით. რადომში მემარცხენე მუშათა სია გაუქმებულ იქნა არჩევნების წინა დღეს. სიის მთავარი კანდიდატები დაპატიმრებული არიან. დაპატიმრებულია აგრეთვე 5 კაცი, რომელთაც ხელი მოაწერეს სიას. (ადს).

კომპარტიის წევრობისათვის

ვარშავა, 10 მაისი. ვილნოს საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბელორუსების საქმეზე, რომელთაც ბრალს სდებენ კომპარტიის წევრობაში. ბრალდებულთ მიუსაჯეს ციხე 2 წლიდან 1 ნახ. წლამდე. (ადს).

პოლიცია „მუშაობს“

ვარშავა, 10 მაისი. ვარშავაში შესდგა საპროტესტო მიტინგი პურის საცხობებში ღამით მუშაობის წინააღმდეგ. სოციალისტებმა ვერ მოახერხეს სიტყვის წარმოთქმა, მიუხედავათ იმისა, რომ შენობაში შეიჭრენ რევოლვერებით შეიარაღებული სოციალისტების რაზმელები. მიტინგის შემდეგ გაიმართა მსვლელობა წითელი დროშებით. პოლიციამ გარეკა მანიფესტაცია (ადს).

მოლაპარაკება ლატვიასთან

მოსკოვი, 11 მაისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ლატვიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დამდები საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა. საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შედიან: თავმჯდომარეთ—ვაჭრობის სახ. კომისარი ამხ. მიქოიანი, თავმჯდომარის მოადგილე—საკავშირო ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სერებროვსკი, წევრებად—საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. სტომიანიკოვი, ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. მანეცკი და გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. რუდი (ადს).



ზემგალი

ლატვიის ახლად არჩეული პრეზიდენტი.



ამხ. მონმუსო

საფრანგეთის რევოლიუციონერი, პროფკავშირების მდივანი, დატუსაღებული პუანკარეს მთავრობის მიერ.

ჩვეულებრივი უარი

სტოკჰოლმი, 11 მაისი. ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა წინადადება მისცა სოციალ - დემოკრატ-ახალგაზრდათა კავშირს, რომ მას ხელი შეეწყო საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის დელეგაციის შვეციაში მიწვევისათვის. სოც.-დემ. ახალგ. კავშირმა ამ წინადადებაზე უარყოფითი პასუხი გასცა. (ადს).

მორიგი თვალთმაქცობა

პარიზი, 10 მაისი. პარიზში შესდგა 10 ადგილობრივი რეფორმისტული პროფკავშირების კონფერენცია, რომელმაც დაადგინა უნიტარულ პროფკავშირებთან გაერთიანება.

კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე, რომ რეფორმისტული შრომის კონფედერაციის მომავალი ყრილობის გამო გამოვიდენ ყრილობის მოსამზადებელ კონფერენციებზე მოთხოვნილებით პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ (ადს).

მაროკოს და სირიის „ცოდვებისათვის“

პარიზი, 11 მაისი. პარიზის სააპელიაციო სამართლომ განიხილა მოქმედების კომიტეტის მსჯავრდადებულ წევრთა საჩივარი მათ მისჯილი ჰქონდათ სხვადასხვა სასჯელი მაროკოში და სირიაში წარმოებულ ომის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის. სასჯელი შეუმცირდათ: მონმუსოს, შატენიუს, ფერრარუს, ჟილბერუს, ტორრესს, კაშენს, მიდოლიუს, რეინოს და ბოჩოფუს 8 თვიდან ექვს თვემდე.

მათ მიმართ, რომლებიც არ გამოცხადდენ (სემარი, დორიო და სიუზანა ჟირო) დატოვებულია ძალაში პირველი ინსტანციის განაჩენი (13, 8 და 10 თვე). გარდა ამისა ყველა ბრალდებულები დაჯარიმებულ არიან საერთოდ 75.000 ფრანკით. (ადს).

საპირველმაისო დემონსტრაცია ვენაში

რომელიც მოაწყო ავსტრიის კომპარტიამ

მქარცველები

ერთმანეთს ქათინაურებს უძღვნიან

პარიზი, 11 მაისი. საფრანგეთ-რუმინეთის საზოგადოების მიერ რუმინეთის განთავისუფლების 50 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ ბანკეტს დაესწრენ მინისტრები მარენი და ლეიგი. პუანკარემ გამოგზავნა წერილი, რომელიც ლეიგმა წაიკითხა.

„ეხლა,—ნათქვამია წერილში,—ვწითლდებით სირცხვილისაგან, რომ თქვენ იმ ხანაში უნდა დაგეთმოთ ბესარაბია, როგორც სასყიდელი თქვენი თავისუფლებისათვის. მაგრამ ისტორია თითქმის ყოველთვის ასწორებს შეცდომებს. ევროპამ, რომელმაც დაუშვა პოლონეთის გაძარცვა, აღადგინა იგი. ევროპამ, რომელმაც ნება დართო, რომ ბესარაბია ჩამოგლიჯათ თქვენგან, დაგიბრუნათ იგი“

სხვადასხვა

ნუნგესერის ჰიდროფრინავის ბედი

პარიზი, 11 მაისი. საზღვაო მინისტრმა ლეიგმა განაცხადა, რომ შერბურგისა და ბრესტის სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებას მიეცა წინადადება, რომ გამოარკვიოს ნუნგესერის ჰიდროთვითმფრინავის ბედი· რომელიც ოკიანეს მიმართულებით აფრინდა და დღემდე არ დაბრუნებულა ნიუ-იორკში.

არაფერი იციან აგრეთვე ფრანგი მფრინავის სენტრომანის შესახებ, რომელიც ხუთ მაისს გაფრინდა აფრიკიდან ბრაზილიაში. (ადს).

ქარიშხალი

ნიუ-იორკი, 11 მაისი. შუა დასავლეთის და სამხრეთ შტატებს გადაუარა გრიგალმა. ყველაზე უფრო იაზარალდა მისური და არკანზასი. გრიგალმა იმსხვერპლა 200 კაცი და დაასახიჩრა 1.000-მდე კაცი. ზარალი დიდია. (ადს).

სამხედრო აეროპლანების დაღუპვა

პარიზი, 10 მაისი. მეცის მახლობლად ერთი მეორეს დაეჯახა ორი სამხედრო აეროპლანი. აეროპლანები დაიწვა. დაიღუპა ერთი ლეიტენანტი ერთი ადიუტანტი და ორი კაპრალი. (ადს).

მეხი ლონდონში

ლონდონი, 8 მაისი. ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს სახლს „ადელაიტ ხაუზს“ ექვს მაისს ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს დაეცა მეხი. სახლის მიშენებული ნაწილი დაინგრა და ჩაცვივნდა მდ. თემზაში. დანგრეულია ყველა ოუმელის მილები; კანალიზაცია დაზიანდა და წყალმა დაფარა ქუჩა, სუფოლკში მეხმა მოკლა მუშა. (ადს).

ჩერუტტი

იტალიის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

უცხოეთში

წინააღმდეგობანი გერმანიის ბურჟუაზიულ ბლოკის შიგნით

წინააღმდეგობანი გერმანიის ცალკე ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, რომლებიც მეტად აბრკოლებდენ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის შექმნას, ახლაც არ არის აღმოფხვრილი. ეს წინააღმდეგობანი განუწყვეტლივ იჩენენ თავს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყოველ ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულ საკითხში.

ამჟამად გერმანიის პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრშია კონკორდატის (ვატიკანთან—რომის პაპასთან—შეთანხმების) საკითხი. ამ საკითხს მეტად დიდი შინაურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არსებითად წარმოადგენს შკოლაზე გავლენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპს კლერიკალებისათვის. კონკორდატის დადება ვატიკანთან—ეს იქნებოდა კათოლიკური სამღვდელოების გავლენის არაჩვეულებრივი გაძლიერება გერმანიის დაბალ და, ნაწილობრივ, საშუალო სკოლაში.

კონკორდატის საკითხი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ცენტრის კათოლიკური პარტიისათვის, რომლის შესვლა ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობაში ნაწილობრივ გამოწვეულია იმ იმედით, რომ მთავრობაში მონაწილეობა შესაძლებლად გახდის კონკორდატის საკითხის დადებითად გადაჭრას. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ბურჟუაზიული ბლოკის „სულიერ მამას“ უწოდებენ პაპის ნუნცის (რომის პაპის დიპლომატიურ წარმომადგენელს)—პაჩელის. ეს აზრი არ არის გადაჭარბებული. თავის ვატიკანოფილურ პოლიტიკაში ცენტრის პარტია ეყრდნობა ნაციონალისტებს, რომლებიც აგრეთვე მტკიცედ არიან დაკავშირებული კათოლიკურ წრეებთან.

სახალხო პარტია ბურჟუაზიული ბლოკის შექმნის პირველივე დღიდანვე ამ „შავ-ცისფერ“ (ცენტრო-ნაციონალისტები) კავშირს უნდობლობით უცქერდა. სახალხო პარტია, რომელიც მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის პროტესტანტულ წრეებს ეყრდნობა, გამოდის კონკორდატის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის ხელმძღვანელის როლში. სახალხო პარტიის ერთ-ერთ კრებაზე შტრეზემანმა აშკარათ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით არასოდეს არ სცნობდა სასურველად კონკორდატის დადებას. შტრეზემანის აზრით, სახალხო პარტიამ უნდა ისარგებლოს ფართე წრეებში არსებულ კონკორდატის საწინააღმდეგო განწყობილებით და ამ მოძრაობის ხელმძღვანელობით შეიძინოს ერთგვარი პოლიტიკური კაპიტალი. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აცხადებს, რომ სახალხო პარტია საშკოლო პოლიტიკის საკითხში პირველობას სახელმწიფოს ანიჭებს და რომ ეს პრინციპი შეუთავსებელი კონკორდატის დადებასთან, რომელიც შეეხება შკოლის საკითხებსაც.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რა ნაბიჯებს გადასდგამს სახალხო პარტია „შავ-ცისფერ“ კავშირთან საბრძოლველად და გაუძლებს, თუ არა ბურჟუაზიული ბლოკის შენობა ამ ახალ გაბზარვას.

არც ნაციონალისტები რჩებიან უმოქმედოთ. შევიდენ რა მთავრობაში, რომელსაც ისინი თვლიან „მეტად“ „მემარცხენეთ“, ნაციონალისტები ფრთხილათ, მაგრამ დაჟინებით ცდილობენ საქმეს მობრუნებას მარჯვენივ და არასასურველ ხალხის მოცილებას მთავრობის შემადგენლობიდან.

ნაციონალისტების ამ მისწრაფებისათვის მეტად დამახასიათებელია მათ მიერ უკანასკნელ ხანებში პრესაში და საჯარო გამოსვლებში დაწყებული კამპანია, რომელსაც მიზნათ აქვს დაითანხმოს ცენტრის პარტია ვეიმარის კოალიციის (ს.-დ.—ცენტრი) ჩაფუშვაზე პრუსიაში. ნაციონალისტები თვლიან, რომ თუმცა ს.-დემოკრატებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით მუშათა მოძრაობის ჩაღრჩობაში და ბურჟუაზიის ძალაუფლების რესტავრაციაში, მაგრამ დროა ბოლო მოეღოს მათ პრეტენზიებს სახელმწიფო მართვა გამგეობაში მონაწილეობაზე („მავრმა შეასრულა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს“).

ეჭვს გარეშეა, რომ ცენტრის პარტია სოციალ-დემოკრატების გულისათვის არ აუშლება ნაციონალისტებს. მაგრამ ის მაინც თვლის, რომ მენშევიკების თანამშრომლობა ჯერ-ჯერობით საჭიროა ბურჟუაზიისათვის და რომ ს.-დემოკრატებთან აშკარა ბრძოლის დაწყების დრო ჯერ არ დამდგარა. ამის გამო, ცენტრის პარტიის მიერ უკანასკნელად გამოქვეყნებული ბიულეტენი დაუშვებლად თვლის თვით აზრს პრუსიის მთავრობის კოალიციის დაშლის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი განცხადება მხოლოდ მანევრია ცენტრის პარტიის მხრივ და რომ ადრე თუ გვიან სოციალ-დემოკრატები იძულებული შეიქმნებიან გამოეთხოვონ სამინისტრო პორტფელებს პრუსიაშიც. გერმანიის სახელმწიფო მანქანა ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ მიიწევს მარცხნივ.

ბ. ვ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

შაქრის ტრესტის აპარატი

მოსკოვი, 11 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისიამ, რომელმაც მოახდინა შაქრის ტრესტის ცენტრალური აპარატის გამოკვლევა, დაადგინა შემცირებულ იქნას სამსახურში 709 კაცი. ეს შემცირება გამოიწვევს 1.200.000 მან. მომჭირნეობას წელიწადში. (ადს).

ჯანსახკომების თათბირი

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს სემაშკოს თავმჯდომარეობით გაიხსნა ჯანსახკომების თათბირი. (ადს).

ვის ერგო ავიო-ლატარიის მოგებანი

მოსკოვი, 11 მაისი. ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებაში გამოცხადდა კომუნალური მეურნეობის მოანგარიშე კორშუნოვი, რომელმაც წარმოადგინა ბილეთი № 19789 სერია 50 რომლითაც ბილეთის პატრონმა მოიგო გადაფრენა მოსკოვ-პარიზი. კორშუნოვმა გამოსთქვა სურვილი საზღვარგარეთ მგზავრობისა.

საკამვოლო-სართავი ფაბრიკის მუშამ სუსლოვმა წარმოადგინა ბილეთი, რომლითაც მოიგო გადაფრენა მოსკოვი-ხარკოვი-მოსკოვი. (ადს).

პირველი თურქმენი ექიმი

ტაშკენტი, 11 მაისი. შუა-აზიის უნივერსიტეტი ამ დღეებში გამოუშვებს 30 კურსდამთავრებულ ექიმს. ერთი მათ შორის თურქმენია (ადს).

მუშათა კოოპერაციის თათბირი

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს დასრულდა მუშათა კოოპერაციის წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია, 2 ივნისისათვის უყოყმანოთ გაატარონ ფასების დაკლება 10 პროცენტით.

ხის დამმუშავებელთა კონგრესზე

მოსკოვი, 9 მაისი. ხის დამმუშავებელთა კავშირის ცეკამ მიიღო მიწვევა საფრანგეთის ხის დამმუშავებელთა კონგრესზე, რომელიც დანიშნულია ივნისში.

აეროსტატით გაფრენა

მოსკოვი, 11 მაისი. მიღებულია ცნობები, რომ 1-ლ მაისს აეროსტატი „ოსოავიახიმ ს. ს. რ. კ.“ გადაფრინდა ქალაქ კოლოგრივოზე (სევეროდვინსკის გუბერნიაშია).

ძვირფასი ბეწვეულის ქურქების დამზადება

მოსკოვი, 11 მაისი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით 1926-27 წლის პირველ ნახევარში, წინასწარი ვარაუდით დამზადებულ იქნა 30.500.000 მანეთის ძვირფასი ბეწვეულის ქურქები, რაც აჭარბებს შარშან ამავე ვადის დამზადებას 13 პროცენტით.

მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში შესამჩნევათ გაიზარდა აგრეთვე ძვირფასი ბეწვეულიანი ქურქების ექსპორტიც. სულ ექვსი თვის განმავლობაში გატანილ იქნა საზღვარგარეთ 36.000.000 მანეთის ქურქები, რაც შარშანდელზე მეტია 11 პროცენტით (ადს).

საქონლის ბირჟების თათბირი

მოსკოვი, 11 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიის წევრმა ამხ. იუროვსკიმ საქონლის ბირჟების თათბირზე განაცხადა:

1926 წლის სესხი 30 მილ. მან. მთლიანად არის დაბანდებული მოსახლეობის საშუალებათა ხარჯზე. 1927 წლის სესხის რეალიზაცია მთლიანად მოხდა ბანკების, სახელმწიფო დაზღვევის და სხვა საფინანსო ორგანოების გარეშე; რომელნიც ყოველთვის უწყობდნენ ხელს გამოშვებული სესხის რეალიზაციას. შემნახველი სალაროების ანაბართა ნაშთის გადიდება წარსულ წლის 1 ოქტომბრიდან შეადგენს 10 მილ. მან. ყოველთვიურად. კოლექტიურმა ხელის მოწერამ უკანასკნელ სესხზე მოგვცა 1.115.000 ხელის მომწერი. ეს უდიდესი მონაპოვარია. (ადს).

სად დაიბადა პუშკინი?

მოსკოვი, 11 მაისი. დღემდე პუშკინის დაბადების ადგილი ითვლებოდა ბაუმანის ქუჩის (ყოფ. ნემეცკაია) სახლის № 27. ეხლა ზედმიწევნითმა გამოკვლევამ გამოარკვია, რომ **პუშკინი დაიბადა იმავე ქუჩის სახლში № 10.** ამის გამო ექვს ივნისს, პოეტის დაბადების დღეს მოხდება მემორიალური ფიცრის (რომელიც მოთავსებულია სახლში № 27) საზეიმო გადატანა ახალ ადგილზე. მემორიალური ფიცრის გადატანის დროს გაიმართება პუშკინის დიდი დღესასწაულები, რისთვისაც მოეწყობა განსაკუთრებული კომიტეტი განათლების სახ. კომისარიატის, მოსკოვის საბჭოს და სხ. მრავალ კულტურულ ორგანიზაციების მონაწილეობით. (ადს).

საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა ყრილობა

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს გაიხსნა საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა მე-7 საკავშირო ყრილობა. **ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდენ ბელგიის და ფინეთის მოსამსახურეთა კავშირის დელეგაციები·** მისასალმებელი სიტყვა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს სახელით წარმოსთქვა ამხ. **ტომსკიმ**, რომელმაც განაცხადა:

„მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს უდიდესი აღმშენებლობა, რომელშიაც თვალსაჩინო როლს თამაშობს საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურენი. ჩვენ დღემდე არ გვაქვს იაფი, მუშათა კლასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სავსებით შეფარდებული სახელმწიფო აპარატი. ამ ამოცანის შესრულება—სახელმწიფო აპარატის ნამდვილად შეფარდება მუშათა მასის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, შეუძლებელია განხორციელდეს საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის აქტიური მონაწილეობის გარეშე. საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციაში“.

შემდეგ ამხ. ტომსკი ამბობს, რომ მოსამსახურეთა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების სისტემა მიზნად ისახავს ხელფასის მოგვარებას და მტკიცე შტატებისა და ჯამაგირების დაწესებას. სახელმწიფოებრივი მოწესრიგება მოსამსახურეებს აშორებს შტატების შემცირებას, პროტექციონიზმს და სხვა არასასურველ მოვლენებს.

ამხ. **რიკოვი**, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი და მხურვალე ტაშით შეხვდა, ყრილობას მიესალმა საკავშირო კომპარტიის (ბ) და მთავრობის სახელით. ამხ. რიკოვმა გააშუქა საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა როლი საბჭოთა და სავაჭრო აპარატში.

ბრიუსელის მოსამსახურეთა ორგანიზაციის მდივანი **ევერლინგი** მიესალმა ყრილობას და გადასცა ძმური სალამი ბელგიის მოსამსახურეთა სახელით. **„თქვენ აკეთებთ უდიდეს საქმეს**—სთქვა მან—**და ჩვენ დაგეხმარებით თქვენ პროლეტარიატის დიადი იდეალების განხორციელების საქმეში· ჩვენ ყოველთვის სულით და გულით თანაუგრძნობთ საბჭოთა კავშირის მშრომელთ“.**

ფინეთის სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე **ლააკსო** ყრილობას მიესალმა თავისი კავშირის სახელით და საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის დელეგატები მიიწვია ფინეთის მოსამსახურეთა ყრილობაზე, რომელიც 27 მაისს გაიხსნება. (ადს).

პირველი საბჭოთა ნავთსადენი

ბაქო, 11 მაისი. აზნეფტის მიერ ახალი ნავთსადენის აგების გამო აზნეფტის საქონლის სმმართველოს უფროსმა ამხ. **კორნეევმა** განაცხადა:

„სადგ. პუტას რაიონი, სადაც უნდა აიგოს ნავთსადენი, ცნობილ იქნა ისეთ ადგილად, რომელიც დიდ იმედებს იძლევა ნავთის ამოღების მხრივ. აზნეფტმა, მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით საჭიროდ სცნო, რომ პუტის სარეწაოები ათდიუიმიანი ნავთსადენით შეუერთდეს სადგ. ბიბი-ეიბათს. ახალი ნავთსადენის სიგრძე 16,5 კილომეტრს უდრის. ასეთი ნავთსადენის აგება პირველი შემთხვევაა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ· მუშაობა დამთავრდება 1 ივნისს. პუტის ნავთსადენი 3 მილ. ფ. ნავთს გადაქაჩავს თვეში· ნავთსადენის მილები უკვე დადგმულია. მალე დამთავრდება მანქანების დადგმა. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბერეკეის ნავთის წყაროები

ბაქო, 11 მაისი. ბაქოში ჩამოვიდა დაღესტნის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ხამურსკი**, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „აზნავთთან“ გამართულ მოლაპარაკებაში ბერეკეის ნავთის წყაროების ექსპლოატაციის შესახებ. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ამ რაიონში ნავთის ექსპლოატაციას აწარმოებდენ ნობელი და მანთაშევი. აქ იყო 50-დე ჭა, რომლებიც იძლეოდა 15 მილიონ ფუთ ნავთს წელიწადში. 1916 წელს შეჩერდა ამ რაიონის ექსპლოატაცია, ხოლო შემდეგ სავსებით მიტოვებულ იქნა. ბერეკეის რაიონის ექსპლოატაცია დაღესტანს უხსნის ფართე ეკონომიურ პერსპექტივებს. აზნავთი უკვე შეუდგა საცდელ ბურღვას და მოსამზადებელ საექსპლოატაციო მუშაობას (ადს).

„იუნკერსი“ თეირანიდან

ბაქო, 11 მაისი. ბაქოს აეროდრომზე დაეშვა თეირანიდან „იუნკერსი“—ორი უცხოელი მგზავრით (ადს).

სომხეთი

ახალი დუქნების აგება

ლენინაკანი, 11 მაისი. დუქნებზე დიდი მოთხოვნილების არსებობის გამო, კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ ბაზარში გააშენა 80 ახალი ხის დუქანი. ეს დუქნები შეღავათიან ფასებში იჯარით გადაეცა ვაჭრებს.

კირის ქარხნის აგება

ლენინაკანი, 11 მაისი. სოფ. ჯაჯურში შენდება დიდი კირის ქარხანა. ქარხანა დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

საავტობუსო მოძრაობა ერევანში

ერევანი, 11 მაისი. ქალაქში გაიხსნა საავტობუსო მოძრაობა. ჯერ-ჯერობით მოძრაობა სწარმოებს ერთ ხაზზე: სადგური—ლენინაკანის მოედანი-უნივერსიტეტი. კვირა-უქმე დღეობით ავტობუსები დადიან ჰიდრო სადგურზე, შაუმიანის ტბაზე, და სხვა ადგილებში ქალაქ გარედ.

საბავშვო სახლები

ერევანი, 11 მაისი. სომხეთის სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 20.000 მანეთი საბავშვო სახლებისათვის ინვენტარის შესაძენად. გარდა ამისა, ბავშვთა ახალშენს მიეცა ექვსი ათასი მან.

კომკავშირის სრულიად სომხეთის კონფერენცია

ერევანი, 11 მაისი. 10 მაისს, საღამოთი გაიხსნა ლენ. კომ. კავშ. სრულიად სომხეთის კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 150 დელეგატი.

საანგარიშო მოხსენებით ახ. ლ. კ. კ. ც. კ.-ს მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. **მარტიროსიანი**. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ცეკას მუშაობა მიმდინარეობდა სომხეთის ახ. ლ. კ. კ. მე-4 ყრილობისა და კომკავშირის საკავშირო მე-7 ყრილობის დირექტივების მიხედვით. დიდი მიღწევებია ფასების დაკლებისათვის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა არჩევნების დროს ორგანიზაციამ დაიჭირა პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა: სომხეთის საბჭოებში არჩეულია 1000-დე კომკავშირელი. აღმოფხვრილია ორგანიზაციაში არსებული ანტილენინური ვადახრა. კავშირი იზრდება: ამჟამად ის თავის რიგებში ითვლის 22.000 წევრს. სწარმოებს აქტიური მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის.

დღის წესრიგში დგას, აგრეთვე, სომხ. კომ. პარ. (ბ) მდივნის ამხ. **იოანესიანის** მოხსენებები: პოლიტიკური მომენტის, მასიური ეკონომიური მუშაობის და სასოფლო მეურნეობისა და კოოპერაციის ამაღლების შესახებ (ადს).

სამეცნიერო-მელიორატიული ინსტიტუტის დირექტორი

სომხეთში

ერევანი, 11 მაისი. ლენინგრადიდან ჩამოსულმა სამეცნიერო-მელიორატიული ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **რიზენკამპფმა** განაცხადა შემდეგი:

„ინსტიტუტმა იმ მიზნით გაგზავნა სომხეთში თავისი თანამშრომლები, რომ სამეცნიერო მუშაობა დაუკავშიროს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. როცა ადგილობრივ გავეცანით სომხეთის წყალთა სამმართველოს მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, ჩვენს წინ წამოიჭრენ შემდეგი ამოცანები: წყალის სისწრაფის გადიდება ბეტონითა და ქვიტკირით ამოშენებულ არხსა და გვირაბში; სარწყავი რეჟიმის რაციონალიზაცია არარატის დაბლობში; სათესი რაიონების გამაგრება და ზომების მიღება დასილვის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ჰიდრო მშენებლობათა, მაგალითად ერევნის ჰიდრო ელსადგურის დათვალიერება გვიმტკიცებს, რომ ისინი წარმოადგენენ საუკეთესო ლაბორატორიებს ჰიდრავლური გამოკვლევების მოსახდენად.

გამოკვლევების მოსახდენად ინსტიტუტი შუა ზაფხულში გზავნის თავის თანამშრომლებს. გარდა ამისა, ინსტიტუტი დაინტერესებულია მდინარე ზანგის, აბარანის და არაქსის მხარის თავისუფალი მიწების მორწყვის შესაძლებლობით და იმით, თუ რამდენად შეიძლება სევანის ტბის წყალის გამოყენება.

მოკლე ხანში მე მაქვს საშუალება სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დახმარებით შევკრიბო საჭირო ცნობები, რომლებსაც პირადათ დავამუშავებ ლენინგრადში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ სომხეთის წყაროების მიზანშეწონილი გამოყენების პირობებში მოხერხდება მდ. აბარანის, ზანგის და არაქსის მხარის თავისუფალი მიწების მორწყვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სავსებით არ იქნება გამოყენებული სევანის ტბა. ტბის ზედმეტი წყალი შეიძლება წავიდეს მუღანისა და მილის ველებში“.

დასასრულ პროფესორ რიზენკამპფმა აღნიშნა ის სიფრთხილე და გატაცება, როგორითაც მუშაობს სომხეთის წყალთა სამმართველოს ტეხნიკური პერსონალი (ადს).

პარტიული ცხოვრება

გონივრული დასვენების შესახებ

ბევრ ჩვენს პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს ერთი ნაკლი ახასიათებს. ესაა უყურადღებობა მასის კულტურულ მოთხოვნილებისადმი, კერძოთ თავისუფალ დროის მიზანშეწონილად გამოყენებისადმი.

რაღაა, რომ პარტიის და კომკავშირის ზოგიერთი წევრი უფრო მეტ მიზიდულობას გრძნობს ღვინის სარდაფებისადმი, ვიდრე ჩვენს კლუბებისადმი. აქ ყოველთვის მათ ვერ დავდებთ ბრალს. დანაშაულის დიდი ნაწილი უთუოდ ჩვენი კლუბების მუშაობის სისუსტეში იმალება. კლუბები მთავარ ყურადღებას და ენერგიას ანდომებენ პოლიტგანმანათლებელ მუშაობას. ეს საქმე თავისთავად მათი დანიშნულების ერთ მთავარ საგანს შეადგენს. მაგრამ მარტო პოლიტგანმანათლებელი მუშაობა არ კმარა.

საჭიროა სათანადო ყურადღება ეთმობოდეს გონივრულ დასვენების საკითხებსაც. რატომღაც მაგალითად ჩვენს პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს თუ ცოდვათ არა, მეორეხარისხოვან საქმეთ მიაჩნიათ ცეკვა-თამაშის, მარულას, ბურთობის, მომღერალ გუნდების, მეთევზეობის, ნადირობის და სხვა ამგვარ გასართობების ხელმძღვანელობა.

არაფერს ვამბობთ ისეთ გასართობებზე, როგორიცაა წარმოდგენების გამართვა, ლიტერატურულ საღამოს თუ დილის მოწყობა, ექსკურსიები, კინოსურათების დადგმა და სხვა.

რატომ არ შეიძლება, რომ კლუბებში ქალაქად ან ქოხ-სამკითხველოებში სოფლად მოეწყოს შეჯიბრი კარგ მოცეკვავის, კარგ მეჩონგურის, მეთარის, თუ გიტარაზე დამკვრელის, კარგ მომღერალის სახელწოდების მიღებაზე.

ეს საკითხები იშვიათად თუ დაუსვამთ ჩვენს კულტურულ-განმანათლებელ კომისიებს. პარტია და კომკავშირიც ნაკლებ ინიციატივას იჩენენ ამ მხრივ. ამავე დროს ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნისა და უპარტიო მასის მიზიდვისათვის, მოსახლეობის კულტურულ და პოლიტიკურ გათვითცნობიერებისათვის ასეთ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ეს არ უნდა დაივიწყოს პარტიისა და კომკავშირის უჯრედებმა, მით უფრო ეხლა, ზაფხულის თვეებში, როცა ისმება საკითხი კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის საზაფხულო გეგმის შედგენის შესახებ.

რ. დ—ნი.

საქართვ. ახ. ლენ. კომკავშირის მე-2 კონფერენცია

11 მაისის დილის სხდომა

დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. არუტიუნოვის მოხსენების გარშემო კავშირის მასიური კულტურული მუშაობის შესახებ.

კამათში გამოვიდენ: ამხ. **კუპრაძე, მუთაიშვილი, ბარსეგიანოვი, ჭანკვეტაძე, ტაბიძე, კიროკოზოვი, პლატოხოვი, მიხაიძე, მეხრიშვილი, გოლათურია, ლუკავა, ისაიანი და ბარდეინი.**

დიდი ინტერესი გამოიწვია ამხ. კუპრაძეს გამოსვლამ.

— ბევრი წერა და ლაპარაკი მოგვიხდა იმის შესახებ, რომ კომკავშირის მხატვრული ლიტერატურა ნაწილობრივ მოწყვეტილია კომკავშირისაგან, საკუთარ სტიქიისაგან. მის შემოქმედებაში ხშირად მთელი სიგრძე-სიგანით იჭრება ბოჰემა, მასში არ არის ახალგაზრდობის ნამდვილი ყოფა-ცხოვრება, არ არის სრული თანხმობა ჩვენს იდეებთან ლექსებსა და სიმღერებში. აქ ერთგვარი ბრალი მიუძღვის თვით კომკავშირსაც, რომელმაც ვერ შესძლო ისეთი ამხანაგური ატმოსფერის, ისეთი ამხანაგური თანაგრძნობის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი პოეტებისა და მწერლების შემოქმედების სწორ მიმართულებას.

ამჟამად მოხდა გარდატეხა. საჭიროა ხელი შეუწყოთ მის შემდგომ განვითარებას. კონფერენციაზე ჯერ კიდევ შეიძლება ლაპარაკი კომკავშირისათვის ჩვეული ენერგიის გრძნობითი მარაგის შესახებ. საჭიროა გვახსოვდეს,—ამბობს ამხ. კუპრაძე,—ახალგაზრდობის აზროვნების თავისებურებანი—გამოსახვითი ფორმების დიდი მოყვარულობა და სწრაფი შეთვისება. ახალგაზრდობის მრავალი გრძნობა, რომელსაც ბურჟუაზია იყენებდა თავის კლასიური ინტერესების სასარგებლოდ, ხელშეუხებელია კავშირის მიერ. მაგალითად, საჭიროა ჩაუნერგოთ ახალგაზრდობას პატრიოტიზმის გრძნობა საბჭოთა სოციალისტურ ქვეყნისადმი.

ბავშვთა მოძრაობის მორიგი ამოცანები

ამხ. ულენტის მოხსენება

იმ კრიზისის მიზეზი, რომელსაც პიონერთა ორგანიზაცია განიცდის,—ამბობს ამხ. ულენტი,—არის შეუფარდებლობა პიონერთა რაზმების მუშაობის ფორმასა, შინაარსსა და ბავშვების გაძლიერებულ მოთხოვნილებებს შორის. ბავშვები პროტესტს აცხადებდენ ტრაფარეტებისა, შაბლონის და მოწყენილობის წინააღმდეგ კოლექტივების მუშაობაში. ერთად-ერთი გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან არის მთელი პრაქტიკული მუშაობის შეფარდება ბავშვის მოთხოვნილებებისადმი: ბავშის თვითმოქმედების და შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ განვითარება მუშაობის შინაარსის გამოცოცხლება.

შემდეგ მომხსენებელი საჭიროდ სთვლის კონკრეტიულ დავალებათა მეთოდის შემოღებას; ამ დავალებათა შესრულების დროს ბავში მიიღებს მთელ რიგ ტეხნიკურ გამოცდილებას.

— საბავშო წარმოდგენების, კინო-სეანსების, თამაშის, სიმღერის, საბავშო მასიურ დღესასწაულების, საჭადრაკო შეჯიბრების, უკეთეს სურათების ხატვაზე წაქეზებით და სხვა საშუალებით უნდა განვითარებულ იქნეს ბავშვების თვითმოქმედება. ყველა დასახულ ამოცანების გატარების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნენ კულტურული ძალები: ექიმები, პედაგოგები, აგრონომები, რადიოს ხელმძღვანელები, პარტიულები და კომკავშირელები.

11 მაისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე, სანამ დაიწყებოდა კამათი ამხ. ულენტის მოხსენების გარშემო, წაკითხულ იქნა აზერბეიჯანის და სომხეთის კომკავშირის კონფერენციებიდან მიღებული მისასალმებელი დეპეშები.

კამათში გამოვიდენ: ამხ. გობეჩია, ვენაძე, ხელაძე, ბერიძე; ქარსამიძე; ჯიოევი, წიწვიაძე, გვალია, ჯავახიძე, სიხრულიძე, მიტაშვილი და ჯაია.

ამხ. **გობეჩიამ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დამოკიდებულება პიონერთა ორგანიზაციისადმი, როგორც ხელმძღვანელ კომიტეტების, ისე უჯრედების მხრივ წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რომელმაც შექმნა ეს კრიზისი.

— ჩვეულებრივ წინამძღოლებად გზავნიდენ იმ კომკავშირელებს, რომელთაც სამუშაოს ვერ უშოვნიდა უჯრედი და არ იცოდა რითი დაეტვირთა. ასეთი დამოკიდებულების გამო ორგანიზაცია დღევანდელ მდგომარეობამდე მივიდა. საჭიროა წინამძღოლებად შერჩეულ იქნენ თუნდაც მინიმალური პედაგოგიური ცოდნის მქონე ახალგაზრდები.

ამხ. **ჯამახიძე** ლაპარაკობს, რომ ახალგაზრდობის დაპყრობისათვის ბრძოლის გაძლიერების გამო, რაც უმეტესად ბავშვების მიზიდვის ხაზით ვითარდება, კომკავშირი კვლავ უაღრესი სერიოზული ყურადღებით უნდა მიუდგეს ბავშვთა შორის მუშაობის საკითხებს.

სამღვდელოებას—ლაპარაკობს ამხ. ჯავახიძე—„ახალი მეთოდებით“ მოაქვს იერიშები. ის ყოველ მხრივ ცდილობს მიიზიდოს ბავშვები. მაგალითად, ახალციხეში მღვდელი იწყებს ფრანგულ და გერმანულ ენების სწავლებას და კანფეტებსაც ურიგებს ბავშვებს.

დანარჩენი ამხანაგები თავის სიტყვებში აღნიშნავენ, რომ უკვე ხდება ერთგვარი გარდატეხა, ახალი შინაარსის შეტანა კოლექტივების მუშაობაში. ეწყობა რადიოს, ელექტრონის მოყვარულთა ჯგუფები და სხვ. ბავშვები იჩენენ თვითმოქმედებას. ეხლა საჭიროა მატერიალური დახმარება და კარგი ხელმძღვანელობა. პროფკავშირები—აღნიშნავენ დელეგატები—არ აქცევენ ყურადღებას პიონერთა მოძრაობას, არ უწევენ მას დახმარებას. საჭიროა კამპანიის ჩატარება, საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მიპყრობა ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობისაკენ.

მოძრავი პოლიტსკოლა ჩვენს თემში

(დიღომის თემი)

დიღომში—ა. წ. 5 აპრილიდან გაიხსნა ერთი მოძრავი პოლიტსკოლა. სკოლის მუშაობის საწარმოებლად თბილისის კომიტეტის საგ.-საპროპ. განყოფილებიდან გამოგზავნილ იქნა ხელმძღვანელი. აგრეთვე საჭირო ლიტერატურა და სამოსწავლო ნივთები მსმენელთათვის. პოლიტ-სკოლის, მსმენელთა სიმრავლის გამო დაიწილდა 2 ჯგუფად. სიმრავლის გარდა დიდი ყურადღება მიექცა—დანაწილებას ცოდნის მხრივ, რომ თვითეულ ჯგუფში მოქცეული იყვნენ თანასწორი ცოდნის ამხანაგები, მართლაც, პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ—სოფლის მასწავლებლები და გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის მოწაფენი. მეორე ჯგუფში კი გლეხები—მეურნეობიდან.

ორივე ჯგუფში მეცადინეობს 75 მსმენელი. მათ რიცხვში 25 ქალია. ქალთა სადელეგატო პუნქტების—აქტიური მუშაობის გამო, ქალები ჩაბმულ იქნენ პოლიტსკოლის მუშაობაში. ა[illegible] სანიშნავია, [illegible] რომ ქალები დიდ ინტერესს და [illegible] იჩენენ მეცადინეობის საქმეში. სკოლის შემადგენლობა პარტიულობის მიხედვით [illegible] კანდიდატი—20, კომკავშირელი—40, უპარტიო გლეხობა 15. ორივე ჯგუფში მეცადინეობა მიმდინარეობს კვირაში 4-ჯერ. პირველ ჯგუფში, რადგანაც ცოდნის მხრივ ის უფრო ძლიერია, მეცადინეობა მიმდინარეობს ლექციური სისტემით. მეორეში, რადგან საჭიროა მეტი ახსნა - განმარტება—მეცადინეობა მიმდინარეობს საუბრის მეთოდით. აღსანიშნავია ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა: ადგილობრივი გლეხობა დატვირთულია დღე და ღამით მუშაობით, მაგრამ ინტერესი ცოდნის შეძენისადმი ისე დიდია მას შემდეგ, რაც მოძრავმა სკოლამ მუშაობა დაიწყო, რომ მეცადინეობის გაცდენა იშვიათი მოვლენაა.

მომავალში, მიუხედავათ იმისა, რომ მეორე ჯგუფი უფრო სუსტია ცოდნით, ის მაინც უფრო მეტ შედეგებს მოგვცემს. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: პირველ ჯგუფში—მსმენელები პოლიტსკოლის მუშაობის გარეშეც დატვირთულნი არიან, ამიტომ მათ დრო არ აქვთ, მეტი მეცადინეობისა. მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფში დროის გამო დანაწილება ხდება ქვეჯგუფებად, ამუშავებენ თავთავიანთ თემებს, რის შემდეგაც მსმენელთა საერთო მეცადინეობაზე გამოდიან მოხსენებით.

სკოლის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს ყოველ ეჭვს გარეშე სკოლის ნაყოფიერად დამთავრება აღმოფხვრის სოფლად მუშაობის იმ ნაკლულევანებებს, რომელთაც აქვს ადგილი დღემდის მუშაობასთან ერთად.

ნ. ფუ—ძე.

ამხ. შალიკო კაჭკაჭაშვილის ხსოვნას

ქუთაისის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციამ დაკარგა ერთი ძველი და აქტიური კომკავშირელი—ამხ. შალიკო კაჭკაჭაშვილი.

ამხ. შალიკო კაჭკაჭაშვილი ეკუთვნოდა საუკეთესო და აქტიურ ამხანაგების რიცხვს. ის დაიბადა მუშის ოჯახში. პირველათ მიაბარეს ქუთაისის ერთ-ერთ პირველ დაწყებით სასწავლებელში. სამი წელი დაჰყო მან ამ სასწავლებელში, მაგრამ მატერიალურ ხელმოკლეობის გამო იგი მშობლებმა სასწავლებელს მოაწყვიტეს. ამის შემდეგ ამხ. შალიკო

შრომის ბირჟის საშუალებით ეწყობა ერთ-ერთ დაწესებულებაში კურიერათ.

1921 წელში ის შედის კომკავშირის ორგანიზაციაში. ამხ. შალიკო, როგორც მუშა, გაგზავნილ იქნა თბილისის ცენტრალურ მუფაკში, საიდანაც თავისი სურვილით გადადის სამხედრო სკოლაში. აქაც ოჯახური მდგომარეობა, აქაც ოჯახის ეკონომიური გაჭირვება და ის იძულებული ხდება მიატოვოს სწავლა და მიეშველოს ოჯახს. ამ მიზნით ამხ. შალიკო შედის სამსახურში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის შედის ა.-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, საიდანაც ერთ წლის სწავლის შემდეგ იმავე ოჯახურ მდგომარეობით სტოვებს სასწავლებელს ერთი წლით.

ამის შემდეგ ის მუშაობდა ჯერ ა. ლ. კ. კ. ქუთაისის მაზრკომში საარიცხვო განყოფილების გამგეთ. შემდეგ გადადის ჯარში ლექტორათ, სადაც უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა. ამხ. კაჭკაჭაშვილი გულმოდგინეთ ასრულებდა კავშირის ყველა დავალებებს. დღეს კი... აღარა გვყავს ის. მაგრამ მისი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენს გულში.

ალმანი.

ფასების დაკლებისათვის

თბილისის მაზრის კოოპერაცია და ფასების დაკლება

თბილისის მაზრა, რა თქმა უნდა, ჩვენი კოოპერატიული მუშაობისთვის საერთო მაჩვენებელი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში კოოპერაცია უფრო ნაკლებადაა ფეხმოკიდებული, ვინემ დასავლეთ საქართველოში. მაგრამ თბილისის მაზრა ყოველ შემთხვევაში მაჩვენებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ყველა პირობები აქვს თბილისის მაზრას, რომ მისი სოფლის მოსახლეობის კოოპერატიულად დარაზმვა სწრაფი ტემპით მიდიოდეს. ეს პირობებია: მძლავრი ეკონომიური ცენტრის (თბილისი) სიახლოვე და მაზრაში ისეთი ორგანიზაციების მუშაობა, როგორიცაა: თბილ. აღმასკომი, ცეკავშირი, სოფლის კავშირი, „მდელოსი“, „მწყემსი“ და სხვა. ამის მიუხედავათ თბილისის მაზრაში არ შეიძლება მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

უკანასკნელი ადმინისტრატიული გადაყოფის შემდეგ თბილისის მაზრაში მოეწყო 31 თემი. ამ თემთა შორის დანაწილებულია 363 დასახლებული პუნქტი (სოფელი), რომელთა საერთო მოსახლეობის რიცხვი უდრის თითქმის ას სამოც ათასს. ამ რიგად თითოეულ თემზე მოდის საშუალო რიცხვით 5.000 მცხოვრები. ეს რიცხვი სრულიად საკმარისია მაგარი მომხმარებელი კოოპერატივის მოსაწყობათ. მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება იქნებოდა, რომ თითო თემზე თითო კოოპერატივი მაინც გვქონდეს. სამწუხაროდ, ჩვენი სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. ოცდა თერთმეტ თემში მოქმედობს ჯერ - ჯერობით მხოლოდ თექვსმეტი მომხმარებელი კოოპერატივი. მაშასადამე, არამც თუ მინიმალური მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული, არამედ ერთი კოოპერატივი საშუალოდ ორ თემზე მოდის. თუ მივიღებთ მხედველობაში მაზრაში დასახლების ხასიათს (შეჯგუფებული მოსახლეობა), ტოპოგრაფიულ პირობებს (მთაგორიანობა), და ბოლოს აღნიშნულ პირობათა გამო მიმოსვლის სიძნელეს (უგზობა), ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რამდენი გარეგანი დამაბრკოლებელი გარემოება გადაეღობება წინ გლეხს, რომ ის გახდეს კოოპერაციის წევრი.

როგორც ვთქვი, თბილისის მაზრის სოფლის მოსახლეობა აღწევს 160 ათასამდე. აქედან კოოპერატივის წევრათ ითვლება მხოლოდ 13 ათასამდე, ესე იგი, მოსახლეობის მხოლოდ 8,12 პროც. ჩვენი პირობებისთვის და ჩვენი ამოცანებისთვის ეს ფრიად უმნიშვნელო პროცენტია. თუმცა გარდა წევრისა არა წევრებსაც აქვს საშუალება შეიძინოს საჭირო საქონელი კოოპერატივის საშუალებით, მაგრამ ჩვენი სოფლის სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება: პირიქით. ხშირი შემთხვევაა, რომ სხვადასხვა შეღავათის, პირობების გამო კერძო ვაჭართან მიდის, არამც თუ მოსახლეობის უმრავლესობა, არამედ კოოპერატივის წევრებიც კი. თუ ამ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ კოოპერაციის საშუალებით საქონელს იძენს სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 5 პროც.

პირველ ოქტომბრიდან 1926 წლისა პირველ აპრილამდე მიმდინარე წლისა კოოპერაციამ გაყიდა თბილისის მაზრის სოფლებში დაახლოებით 772 ათასი მანეთის საქონელი; მაშასადამე, თითოეული პუნქტის საშუალებით გაიყიდა 8.250 მანეთის საქონელი ხუთი თვის განმავლობაში, ესე იგი, თვეში საშუალოთ თითოეული კოოპერატივი ჰყიდდა დაახლოვებით ცხრა ათასი მანეთის საქონელს. ამ რიგად თბილისის მაზრის საშუალო კოოპერატივი ეკუთვნის თავისი ბრუნვის მიხედვით მესამე ჯგუფს (თვიური ბრუნვა — 5.000 მ. — 10.000 მან.-დე) და საერთოდ კი მათი მუშაობა სოფლად უნდა ჩაითვალოს საშუალოზე ნაკლებად, რადგან ძირითად კოოპერატივებისთვის არსებულ ნორმების მიხედვით ყველაზე უფრო მძლავრი (მეექვსე) ჯგუფის თვიური ბრუნვა 30.000 მანეთს უნდა აღემატებოდეს.

საინტერესოა, თუ რა ხასიათის საქონელს აწოდებს სოფლის მომხმარებელს ჩვენი კოოპერატივი. თანახმად ცეკავშირის ცნობებისა სოფლის კოოპერატივში საქონლის ასორტიმენტი ამნაირია:

1) შაქარი, 2) ჩაი, 3) თამბაქო, 4) ზეთი, 5) მარილი, 6) თევზეულობა, 7) რძე და რძის ნაწარმოები, 8) ფქვილი, 9) ფართალი, 10) ტყავეულობა და ტუფლების ნაწარმოები, 11) ნავთი, 12) ასანთი, 13) საპონი, 14) რკინეულობა, 15) მინა და ჭურჭელი და 16) სხვა წვრილმანი. როგორც სჩანს ასორტიმენტი შერჩეულია სოფლისთვის შესაფერისად, მხოლოდ რამდენად დაკმაყოფილებულია ამ საქონლით კოოპერატივი. ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ საქონლის საერთო ნაკლებობის გამო, ჩვენი სოფლის კოოპერატივიც საგრძნობ კრიზისს განიცდის, რაც ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია, რომ გლეხობა მიდის კერძო ვაჭართან, რომელსაც თითქმის მუდამ ყველაფერი აქვს.

თბილისის მაზრის 16 კოოპერატივს ხუთი თვის განმავლობაში გაყიდულ 772 ათასი მანეთის საქონლის გაყიდვაზე მოსვლია 87 ათასი მან. სავაჭრო ხარჯები, ესე იგი, 11,36 პროც.; ამ ჯგუფის კოოპერატივებისთვის ნორმად მიღებულია — 10.8 პროც. მაშასადამე სოფლის კოოპერატივს ჰქონია (0,56 პროც-ით) თუმცა პატარა, მაგრამ მაინც მეტი ზედნადები ხარჯები.

თანახმად ცენტრიდან მიცემული დირექტივისა სოფლის კოოპერატივმაც გაატარა შეძლების დაგვარად ფასების დაკლება. ცეკავშირის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით ეს დაკლება შეეხო ზოგიერთ პუნქტებში შემდეგ საქონელს: 1) ჩითს საშუალოთ — 6 პროც., 2) მალესკინს — 6 პროც.; 3) ძაფს — 6, 67 პროც.; 4) კალოშებს — 10 პროც.; 5) ნავთს — 20 პროც.; 6) შაქარს ფხვნილი — 5 პროც. და ხატებს — 8 პროც.; 7) მარილს — 12 პროც.; 8) ზეთს — 7 პროც. და 9) ფქვილს 1 ხარისხ.— 3,5 პროც. აქ შეფარდებულია საცალო ფასები პირველი იანვრის და პირველი აპრილისა ამ წლისა.

ცნობები, რა თქმა უნდა, სრული არ არის და არც შემოწმებული ადგილობრივათ. ამის გამო თბილისის აღმასკომის კომისიამ უკვე საგანგებოდ მიავლინა მაზრაში ორი სავაჭრო ინსპექტორი, რომელთაც მიცემული აქვს სათანადოთ შემუშავებული ინსტრუქცია ჩვენი სოფლის კოოპერატივის მუშაობის შესასწავლათ. შტატის და საშუალებათა სიმცირის გამო დაწყებული გამორკვევა შეეხება ჯერ-ჯერობით მხოლოდ მაზრის უმთავრეს და უახლოეს პუნქტებს, როგორიცაა: ასურეთი, თეთრი წყარო (ალბულაღი), მანგლისი, საგარეჯო, მარტყოფი და სართიჭალა; შემდეგ ეს გამოკვლევა გადატანილ იქნება მაზრის დანარჩენ ადგილებზე.

მ. გავაშელი.

კოოპერატივების ამოცანები

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა მიმართა წერილით ა.-კ. რესპუბლიკების კოოპერატიულ ცენტრებს, რომელშიაც დასახულია კოოპერატიული ორგანიზაციების შემდეგი ამოცანები ფასების დაკლების საქმეში.

კოოპერატიულმა ცენტრებმა თვითეულ სამომხმარებლო საზოგადოებას უნდა განუსაზღვრონ 1-ლ ივლისამდე საქონელზე ზედნადები ხარჯებისა და სხვა გასავალის ნორმები; გადასინჯულ უნდა იქნეს სამომხმარებლო საზოგადოებათა აპარატები და უნდა მოეწყონ ისინი ისე, რომ უფრო გაადვილდეს ფასების დაკლების გატარება; უნდა მოხდეს წვრილ სამომხმარებლო საზოგადოებათა გაერთიანება; გაუქმებულ უნდა იქნეს ყველა ისეთი კოოპერატიული წარმოებები, რომლებიც ვერ იძლევიან შემოსავალს და სხ.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სამომხმარებლო საზოგადოებაში არ ატარებენ ფასების დაკლების შესახებ გამოცემულ დირექტივებს,—დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ საზოგადოების წევრთა სასწრაფო კრება და უნდა მოახდინონ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

—:—

დანართი ხარჯების ნორმები

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა სამრეწველო საქონელზე დანართი ხარჯების შესამცირებელი ნორმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სამომხმარებლო ხასიათის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა.

აღნიშნული ნორმების ცხოვრებაში გატარების შემდეგ საქონლის გასასყიდი ფასები შემცირებულ იქნება შარშანდელთან შედარებით, საქართველოში—5.8 პროცენტით, აზერბეიჯანში—8 პროცენტით და სომხეთში—6,75 პროცენტით.

პატარა ფელეტონი

საპარლამენტო შეკითხვა

„ჩემბერლენი ემუქრება უხანს“..
(დეპეშებიდან).

„ინგლისს განზრახვა აქვს ძალით დაიკავოს ჩინელების ხელში გადასული კონცესიები ხანკოუში“...
(ჩემბერლენის მიერ ინგლისის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვიდან).

ჩემბერლენ-ჯან! ამბობენ თუ,
ემუქრები ისევ უხანს.
ზურგი გქავა? არ იცი, რომ
ზურგს უხანი ხიშტით უფხანს?!
კონცესია?.. ოჰ, ამ საქმეს
რაღაც ცუდი პირი უჩანს·
ვის უტოვებ, თუ კაცი ხარ,
საპატრონოდ სახლში „დუქანს“?

ხოზიკა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ცხენისწყალის ადიდება

ახალსენაკი, 11 მაისი. ადიდებულმა ცხენისწყალმა გაარღვია ჯებირები. თუ ნაპირები არ იქნა გამაგრებული, ნათესებს დაღუპვა მოელის.

სკოლის შენობის აგება

ახალ-სენაკი, 11 მაისი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ააგოს შენობა სასკოლო დაწესებულებებისათვის. (საბავშვო სახლი, ოთხწლედი, შვიდწლედი, და პედაგოგიური ტექნიკუმის ოთხი [illegible]. ახალი შენობა იქნება ორსართულიანი და დაჯდება სამოცი ათასი მან. ამ თანხის ნახევარი დაიფარება მოსახლეობის თვითდაბეგვრის ხარჯზე.

სოფლის რადიოფიკაცია

ახალ-სენაკი, 11 მაისი. პოლიტგანმა მაზრის 4 პუნქტში დადგა რადიო-მიმღებები. გლეხები განსაკუთრებული ინტერესით ესწრებიან ყოველ რადიო-გადაცემას. შენობები, რომლებშიაც დადგმულია მიმღებები, ყოველთვის სავსეა მსმენელებით. (ადს).

ჩაის აკრეფა

ოზურგეთი, 11 მაისი. გლეხების პლანტაციებზე უკვე დაიწყო ჩაის აკრეფა. მუშაობას ხელს უშლის წვიმები. ჩაის მოსავალი კარგია.

აჭარისტანი

ავტო-მიმოსვლა

ბათომი, 11 მაისი. „ზაკავტოპრომტორგ"-ის ბათომის განყოფილებამ მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა აგარაკებზე: მახინჯაური, მწვანე კონცხი და ბოტანიკური ბაღი. ამ ხაზზე იმუშავებს ოთხი ავტობუსი. ამ დღეებში გაიხსნა საავტომობილო მიმოსვლა ბათომს-ქედსა და ბათომ-ხულოს შორის.

თბომავალი „კალინინ"

ბათომი, 11 მაისი. ლენინგრადიდან ჰამბურგში გავლით ბათომში მოვიდა საბჭოთა ახალი თბომავალი „კალინინ".

ქალაქის ბაღი

ბათომი, 11 მაისი. პირველ მაისს გაიხსნა ბათომის ქალაქის ბაღი, რომელიც მდიდარია სუბტროპიკული ფლორის იშვიათი ეგზემპლიარებით. ბაღი დახურული იყო მთელი ზამთრის პერიოდის განმავლობაში და სწარმოებდა მისი აღდგენა. ყვავილნარის და როზარიუმების ტერიტორიას შემოვლებული აქვს ორი მეტრის სიმაღლის ღობე. გარდა ამისა, ჩატარებულია მუშაობა ჭაობიანი ადგილების ამოსაშრობად ბაღის მახლობლად.

წერილები

ერთად თუ ცალ-ცალკე

წინად აკეთის საზოგადოებაში შედიოდენ: სოფ. ზემო-აკეთი, ქვემო-აკეთი, გაგური, ჭანჭათი; ვანი და ზომლეთი; საზოგადოების ადმინისტრატიული და კულტურული დაწესებულებანი მოთავსებულნი იყვნენ აკეთისა და ჭანჭათის საზღვარზე. თუმცა ეს გარემოება ერთგვარ უხერხულობას ჰქმნიდა დაშორებული სოფლის—განსაკუთრებით ვანისა და ზომლეთის მცხოვრებლებისათვის, იმ მხრით, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას შორი მანძილიდან უხდებოდათ სასწავლებელში სიარული, მაგრამ არ გვახსოვს, რომ ამის შესახებ რომელიმე სოფელს უკმაყოფილება გამოეთქვას და მოეთხოვოს გამოყოფა აკეთის საზოგადოებიდან.

რევოლიუციის შემდეგ, მენშევიკების დროს, ჭანჭათელმა მენშევიკებმა, პირადი მოსაზრებით, სოფელი ჭანჭათი გამოჰყვეს აკეთის თემიდან და დაარსეს ჭანჭათის თემი; ძალაუნებურად ამ თემს შეუერთდა სოფ. ზომლეთი და ვანიც, რადგან აკეთისა და ამ სოფელს შორის მდებარეობს ჭანჭათი.

ამ გამოყოფამ ჩუმი უკმაყოფილება გამოიწვია თვით ჭანჭათის მცხოვრებლებშიაც, რადგან საგრძნობლად გაიზარდა ადმინისტრატიული დაწესებულების შესანახი ხარჯები; მაგრამ მენშევიკების შიშით ხმას ამოღებას ვერავინ ბედავდა.

შემდეგში, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ჭანჭათიდან ადმინისტრატიული დაწესებულებები გადაიტანეს სოფ. ზომლეთში, რადგან ეს სოფელი ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს, სოფ. ვანსა და ჭანჭათს შორის მდებარეობს.

ახლა კი ჭანჭათის ყველა მცხოვრებლებისათვის უფრო საგრძნობი გახდა ეს შეცდომა, რომელიც მათ მენშევიკების წყალობით დაუშვეს და რომელიც გამოიხატა ჭანჭათის გამოყოფაში აკეთის თემისაგან.

დაიწყო დიდი მოძრაობა კვლავ აკეთის თემთან შეერთების სასარგებლოდ, რომელსაც სათანადო ყურადღება მიაქცია პარტიულმა ორგანიზაციამ და ხელისუფლებამ და 1926 წლის სექტემბერში კვლავ შეერთდენ ზომლეთისა და აკეთის თემები.

და აი, ამ დროს, როდესაც ხალხი ასე თავდავიწყებით მუშაობდა საერთო საქმის წარმატებისათვის, მთელი თემის კეთილდღეობისათვის და მტკიცე საფუძველი ეყრებოდა ზემოაღნიშნულ სოფლების შეკავშირებას, ერთი ჯგუფი, პირადი ინტერესებით გატაცებული, მოქმედებდა ამ ერთობის ჩასაშლელად, აკეთის თემის გასაყოფად, ესე იგი ისეთისავე მდგომარეობის შესაქმნელად, როგორიც იყო მენშევიკების დროს. როგორც ირკვევა ამ ჯგუფს მოულწევია კიდეც მიზნისათვის—მოუხერხებიათ ზომლეთის თემის გამოყოფა.

ამ ამბავმა ძლიერ ცუდი გავლენა მოახდინა მცხოვრებლებზე განსაკუთრებით კი ჭანჭათელებზე, რადგან მათ გამოცდილებით იციან; რომ აღნიშნული ცალკე არსებობას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. პირიქით, ასეთი დაქუცმაცება დიდი საზარალოა მათთვის. ხალხი ერთხმად და გადაჭრით მოითხოვს, რომ აკეთის თემის მთლიანობა ხელუხლებელი დარჩეს. ვფიქრობთ, რომ ხალხის ის მოთხოვნილება სამართლიანია და მას უნდა მიექცეს ყურადღება ხელმძღვანელ ორგანოების მიერ.

მ. წ.

მეორე აბრეშუმის ქაფსახვევ ფაბრიკის აგება

(ხონი, ქუთ. მაზრა)

ხონისა და მის რაიონში სასოფლო მეურნეობის არც ერთ დარგს განვითარების ისეთი ნიადაგი არა აქვს, როგორც მეაბრეშუმეობას. აქ მოწეული პარკი განთქმულია თავისი ხარისხით.

მეაბრეშუმეობა, შედარებით წინა დროსთან, გაათკეცებულად გაძლიერდა, მას საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ფართედ გაშლის საშუალება. აშენდა მრავალი ფარდულები და ქარხნებიც კი. ქარხანაში ორ წყებად 200 ქალი მუშაობს. ქარხანამ იმედი გაამართლა იმ მხრივ, რომ მოგვცა საუკეთესო ხარისხის ძაფი, შედარებით სხვა კუთხის ძაფსალებ ქარხნებთან.

რადგან პირველ ქარხანამ კარგი შედეგი მოგვცა, ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ გადაწყვიტა ქ. ხონში მეორე ქარხნის აგება, რომელიც 152 ტაშ. იქნება, იმუშავებს ერთ წყებად ექვსასი ქალი და დაამუშავებს თითქმის ხონში დამზადებულ პარკს.

გადაწყვეტილებაც სისრულეში იქნა მოყვანილი. აპრილის პირველ რიცხვებში ქარხნის აგებას ჩაეყარა საფუძველი, გაკეთდა ფარდული, გაყვანილ იქნა ელსინათლის ხაზი, მიზიდულ იქნა, როგორც ხის, ისე ყველა სხვა სახის საჭირო მასალები. ეს დიდ აღფრთოვანებას იწვევს ხონისა და მის რაიონის გლეხებში. გლეხობა აწყდება ქარხნის ასაგებ ადგილას, ათვალიერებს მას, თავიანთი თვალით სურთ დაინახონ ეს დიდი მუშაობა. გლეხები ამბობენ, ჩვენ როგორც პირად შრომას, ისე სხვა დახმარებას არ დავიშურებთო. და მართლაც ისინი ცდილობენ გაორკეცებული მუშაობით დააჩქარონ აგება. დიდი და პატარა, ქალი, თუ კაცი ყველა ამ ქარხანაზე ლაპარაკობს.

ილ. ფალავა.

აგურის და კრამიტის ქარხანა

(რაჭა)

რაჭაში კრამიტის და აგურის ქარხანა არ არსებობდა, მაგრამ აქ ნაძვის ხეები ბევრი იყო და ნაძვის ყავარს ახურავდენ სახლებს. მაგრამ უბრალოდ მრავალი ნაძვი მოიჭრებოდა, ხშირად სახურავად არ გამოდგებოდა და ამრიგად უზომო ტყე ფუჭდებოდა. ამას უკვე ბოლო მოეღო. ქალაქ ონში დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა. უნდა ითქვას, რომ კარგათ წავიდა ამ ბანკის საქმე. ღარიბ გლეხობამ ფული მიიღო სესხად, აქედან და მასთან სას.-სამ. იარაღებიც. ამასთან გლეხობა შეეცადა, რომ გაეხსნა კრამიტის და აგურის ქარხანა და კიდევაც გახსნა ონში. გლეხობა გახარებულია იმით, რომ ღარიბ გლეხობას საშუალება აქვს, რომ შეიძინოს აქედან მათთვის საჭირო აგური, კრამიტი. კრამიტი ღირს ერთი ცალი 15 კაპ. და აგური კი 3 კაპ. კარგი იქნებოდა, რომ კრამიტი ცოტა გაიაფოს, რომ ღარიბ გლეხობასაც შეეძლოს მით სახლების გადახურვა.

ა. გოგეჭიშვილი.

დროზე მივხედოთ

(წერილი გორიდან)

ქ. გორიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს გორიჯვრის გოგირდის აბანო რომელიც განთქმულია მთელს გორის მაზრაში თავისი საუკეთესო თვისებებით.

ზაფხულობით აბანოში მოდიან სამკურნალოდ მრავალი გლეხები და მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც არა აქვთ შეძლება წყალტუბოზე და ახტალაში წასვლისა. აბანოთი სარგებლობს მეტ წილად ღარიბი მოსახლეობა.

წინათ აბანო გაცემული იყო იჯარით კერძო პირზე. ეხლა იგი იმყოფება გორის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების განკარგულებაში. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აბანო იმყოფება უნუგეშო მდგომარეობაში. არ არის მოწყობილი სათანადოთ და აუზების რიცხვიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, არ არის აგრეთვე ღამის გასათევი ბინები.

მოახლოვებულია ბანაობის სეზონი. მალე აბანოს მოაწყდება მრავალი ავათმყოფი. აბანოს მესვეურნი კი არ ღებულობენ არავითარ ზომებს მის მოსაწყობად.

საჭიროა დროზე მივხედოთ აბანოს, თორემ სეზონის დაწყებისას გვიან იქნება მისი მოწყობა და შეკეთება.

გორელი.

„წმინდა სამება"

(თავახის თემი, შორაპ. მაზ.).

ჩვენ თემში ეკლესიებს ბევრი მიწები ჰქონდა, მიწის კომისიამ ის ჩამოართვა და ღარიბებს გლეხობას მისცა. ეს არ მოსწონდათ „მორწმუნეებს" და დროს უცდიდნენ, რომ მოეწყოთ პროვოკაცია. მართლაც შესდგა „წმინდა სამება": ეკლესიის მსახური სამსონ ბრეგვაძე, ხარების ვაჭრები სიმონ სუთიძე და ტარასი თურქაძე, და მელიტონ ვაჭარაძე. ამ ყმაწვილებმა აამხედრეს მეზობლები და მთლათ გადაუთხარეს ღობე და გაშენებული „აკაცია" ხის ნარგავები სიმონ ბოჭორიშვილს და სხვებს, ვისაც ჰქონდა მიცემული საეკლესიო მიწა. იმედია ამ ვაჟბატონებს საბჭოთა ხელისუფლება საკადრის პასუხს მოსთხოვს.

ცოცხი.

მუშათა ცხოვრება

ბინების კრიზისის შესახებ

საერთო კრებებზე და თათბირებზე ბინის საკითხი, მუშის ყურადღების ცენტრშია. ხშირი შემთხვევაა, რომ ერთ პატარა ოთახში 7-8 სული ცხოვრობს. არის ისეთი მდგომარეობაც, რომ მუშის ოჯახი ორად, სამად არის გაყოფილი და ცალ-ცალკე არიან შეხიზნული ნაცნობ - ნათესავებთან. ისიც ხდება, რომ მუშა ქალაქის ერთ განაპირა უბანში ცხოვრობს და სამუშაო მეორე განაპირა უბანში აქვს. საქმე ის არის, რომ ვისაც ოთახი აქვს, ისიც ვერ ცხოვრობს მოსვენებით. სახლის პატრონები ყოველ მხრივ ავიწროვებენ მდგმურს, რომ რამენაირად აიძულონ მუშა დასცალოს ოთახი.

ბინის კრიზისი რასაკვირველია ახალი საქმე არ არის ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის პირველი დღიდან დაიწყო ეს კრიზისი, შესწყდა ახალი სახლების აგება და ძველის შეკეთება. მენშევიკების დროსაც არავინ აქცევდა სახლების შენებას ყურადღებას, აბა, ასეთი წვრილმანებისათვის მაშინ ვის ეცალა?! მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია მუშათა ბინების მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება. სახელმწიფოს ეკონომიურად გაძლიერებასთან ერთად იწყო მუშათა სახლების გაცხოველებული მშენებლობა. მაგრამ ამ ცოტა ხანში ბინის კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ჩვენი ქალაქები იზრდება, შენდება ახალი ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. ეს იწვევს მუშა ხელის შემატებას ქალაქისათვის, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ბინების კრიზისს.

რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ბინების კრიზისის შესამსუბუქებლად? პირველად ყოვლისა, მიზანშეწონილად უნდა დაიხარჯოს ის თანხები, რომელსაც მთავრობა იღებს მუშათა ბინების ასაშენებლად. არაა მიზანშეწონილი თითო სახლში თითო ბინის აშენება, ეს მეტ ხარჯს იწვევს, ვიდრე დიდი სახლის აგება, რომელშიაც რამოდენიმე ბინაა. ეს უთუოდ მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში. შემდეგ, როგორც ვიცით ბევრი ძველი სახლებია, რომლებსაც არც პატრონი აკეთებს, არც სხვა ვინმე აქცევს ყურადღებას. ეს სახლები ხშირად ცარიელია. საჭიროა, რომ ეს სახლები შეკეთდეს. რაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, და იქ მუშები ჩავაყენოთ. ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს ბინის კრიზისის შენელებას.

გარდა ამისა, გატარებული უნდა იქნეს შემჭიდროება, სადაც ეს მოსახერხებელია. საჭიროა ამ ზომების გატარება. ამ საქმეში ხელისუფლებას მუშათა მასებიც უნდა დაეხმარონ და ამით ჩვენ შევსძლებთ ბინების კრიზისის დაძლევას.

ა.—ძე.

ბინების სიმცირის გამო რკინისგზა ზარალობს

მიუხედავად მრავალ მითითებათა, საბინაო საკითხის დაძლევას რკინის გზაზე საშველი არ დაადგა. ყველამ კარგად იცის, თუ რა პირობებში უხდება თბილისელ რკინის გზელთა ერთ ჯგუფს ცხოვრება უბინობის გამო.

25 საქონლის რონოდა დღესაც რკინის გზელებს უკავია საცხოვრებლად, მაგრამ... განა ეს ცხოვრება არის?! ამას გარდა ეს რონოდები საგრძნობ თანხა უჯდება რკინის გზის მეურნეობას. თითო ასეთ რონოდის დღე-ღამის მოცდენის ასანაზღაურებლად კლიენტებს ახდევინებენ 4 მან. 50 კაპ., მაგრამ, როდესაც ჩვენი—სხვა, მეზობელ რკინის გზებისაგან ნასესხებ რონოდებს იჭერს, მას 10 მანეთსაც აღარ დააჯერებენ ხოლმე.

ის რონოდები კი, რომლებიც ხსენებულ მუშა-მოსამსახურეებს აქვთ დაკავებული საცხოვრებლად, თითქმის ყველა სხვა გზებისაა და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ზარალს აყენებს რკინის გზის სალაროს მათი უნაყოფოთ მოცდენა.

რომ ამ ზარალს ანგარიში უწევდეს რკინის გზათა გამგეობა, ჩვენ დარწმუნებული ვართ—ეს საკითხი ახლა კაი ხნის მოგვარებული იქნებოდა თუნდაც ახალი შენობის აგების საშუალებით.

სამწუხაროდ, საბინაო გასაჭირი მარტო თბილისში არ მძვინვარებს.

ამიერ-კავკასიის სადგურებზე თითქმის არსად საკმაო ბინა არაა, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ, შტატის გადიდებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და, მეორე მხრივ—საცხოვრებელ შენობათა გაფართოება-გამრავლებისათვის ჯეროვან ყურადღების მიუქცევლობით.

ასეთ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ სამსახურის ადგილიდან რამოდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით.

ერთი შეხედვით, აქ თითქმის საზიანო და საზარალო არაფერია, მაგრამ ასეთ მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად ეძლევა ე. წ. მიმოსვლის ფული, რაც საკმაო თანხას ადგენს.

მაგალითისთვის მოვიყვან სად. ვაზიანის უფროსის თანაშემწეს ამხ. ნიკოლოზ მანჯავიძეს, რომელსაც ვაზიანში საცხოვრებელი ბინა არა აქვს, და სამსახურში დადის სად. ავჭალიდან.

მანჯავიძეს გასული წლის 8 თვის მიმოსვლის ფული მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილების ბუხჰალტერიამ 260 მანეთამდე გამოუანგარიშა და გამოუწერა, მაგრამ ეს ციფრი ერთობ ეუცხოვა კონტროლს ამხ. ქიმერიძეს და არ შეათანხმა. აგერ რამოდენიმე თვეა ამის შესახებ ერთი კონა ქაღალდი მოგზაურობს სამმართველოს კაბინეტებში, ყველა ყოყმანობს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ეს ქაღალდები გამარჯვებით დაამთავრებენ თავიანთ „ექსკურსიას", რადგან ამხ. მანჯავიძე პირველი და უკანასკნელი არ არის. სხვები თუ ღებულობენ—მან რაღა დააშავა.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს ერთი მაგალითი. იმის გასათვალისწინებლად, თუ რა თანხას ადგენს უბინაობის გამო გაღებული მიმოსვლის ფულები.

დავასახელებდით კიდევ აურაცხელ ამხანაგებს, რომლებიც სისტემატიურად ღებულობენ მიმოსვლის გასამრჯელოს, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა და თანაც არაა საჭირო.

ნათქვამიდან ნათლად სჩანს—როგორი ყურადღების ღირსია საბინაო კრიზისი რკინის გზის მეურნეობის უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ, მაგრამ დღემდის ასეთ ყურადღებას ამ საკითხს თითქმის არავინ აქცევს.

კოლოლი.

რა გააკეთა ჩვენმა ადგილკომმა

(აღმასკომის პირველ სტამბაში)

გუშინ მოხდა ჩვენი სტამბის ადგილკომის გადარჩევა. რა გააკეთა ძველმა ადგილკომმა? უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ადგილკომს ფრიად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. სტამბა ახალი გახსნილია. გასაგებია ამიტომ ის სიძნელენი, რომელიც ადგილკომს გადაეღობა წინ. მიუხედავათ ამისა, მაინც საგრძნობი მიღწევები გვაქვს. ათი თვის განმავლობაში მოეწყო პატარა სამკითხველო, სასაუზმე ოთახი, შეძენილ იქნა პიანინო, რომლითაც მუშების შვილები სარგებლობენ, დაქირავებულია მუსიკის მასწავლებელი მუშების ბავშვთათვის, მოწყობილია აგრეთვე რადიო მიმღები ხმამადიდით და სხვ. ამასთანავე ერთად ადგილკომის საქმის წარმოება და კასაც სათანადოთ არის დაყენებული. ადგილკომის სხდომები ხდებოდა თავის დროზე და ყველა საქმეების განხილვა სათანადო ყურადღებით სწარმოებდა.

საკონფლიქტო კომისიის მუშაობაც მოგვარებული იყო. საკითხების 80 პროც. სწყდებოდა მუშების სასარგებლოდ.

ასე მუშაობდა ჩვენი ძველი ადგილკომი.

უსურვებთ ახალ არჩეულ ადგილკომს კვლავ განაგრძოს ენერგიული მუშაობა.

სტამბის მუშა.

საქმის გაჭიანურების ბრალია

ზეთისა და საპნის ქარხანაში თავი მოეყარათ საუზმის დროს მუშებს და ასე საუბრობდნენ:

— ბიჭო, ვანო, როდის უნდა მოგვცენ დამატებითი სპეც - ტანთსაცმელები?

— აბა რა ვიცი ძმაო, ჩვენ ჩვენი კი დაგვიმართა და... აკი ქარხკომმაც დაადგინა, საკონფ.-შემფასებელ კომისიამაც შეათანხმა, კოლხელშეკრულებაშიც სწერია, აიღონ და დაგვირიგონ, რას აჭიანურებენ?!.

— ეხ, ძმაო შენ რა იცი, ჩვენი ადმინისტრაცია სანამ სამი თვე არ გავა და ერთი ფუთი ქაღალდი არ დაიხარჯება, — არას მოგვცემს.

— როგორ?

— როგორ და როდესაც ქარხკომმა უთხრა ადმინისტრაციას მიეცით მუშებს სპეცტანთსაცმელი, ადმინისტრაციამ უპასუხა: სანამ სასამართლო არ გადასწყვეტს, მანამ არაფერს მოგცემთ. სასამართლოში საქმე ერთ სამ თვეს გაჭიანურდება, მანამ ახალი სპეცტანთსაცმელების დარიგების დროც მოვა და „იოლად" გამოგვიყვანებენ.

— მერე ამით ხომ კარგი არაფერი კეთდება. საქმე ჭიანურდება, მუშები ავათმყოფდებიან, დამზღვევ სალაროც ზარალდება. კაცო, ძილიანჯერ გამიგონია, არ ვარგა საქმის გაჭიანურება, ჯიუტობა, მარა ამას მაინც არ მოეღო ბოლო.

— ნეტავი როდის მოვა გონზე ჩვენი ქარხნის ადმინისტრაცია?

ვ. ხ.

მუშათა ქრონიკა

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ში

6 წლის თავი. 14 მაისს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ს უსრულდება არსებობის ექვსი წლის თავი.

ქარხნის პროდუქცია. აპრილის თვეში ქარხანამ დაამზადა თამბაქოს ტრესტის — ქარხნების საჭიროებისათვის, სხვადასხვა მარკის—**2.829.925** ცალი პაპიროსის კოლოფი. იმავე აპრილის თვეში ქარხნის კერძო შეკვეთების განყოფილებამ დაამზადა სარეალიზაციოდ, სახელმწიფო დაწესებულებისათვის, კოოპერატივებისათვის და კერძო პირებისათვის (საკანდიტროებისათვის) სხვადასხვა სახის — **29.450** ცალი კოლოფი.

სამქროების მოწყობა. ამავე ქარხნის ადმინისტრაცია უკვე შეუდგა სამქროების რაციონალურად მოწყობას, რაც გაადვილებს მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

ახალი სასადილო. ამავე ქარხანაში მუშებისათვის შენდება სასადილო, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება. სასადილოში მოთავსდება 300 კაცი.

— **„არაზინდო"-ში საფოსტო განყოფილების გახსნა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ა.-კ. კავშირის ოლქის სამმართველოს წინაშე, რათა უკანასკნელმა გახსნას სანატორიუმ „არაზინდო"-ში საფოსტო განყ.

— **კავშირის წევრთა რაოდენობა.** ხეზე მომუშავეთა კავშირში გაერთიანებულია 2.532 წევრი.

— **ბავშვთა ბაგეების მოსაწყობად.** საქართველოს ფოსტელ მუშაკთა პროფკავშირის ც. გ. აღძრა შუამდგომლობა ა.-კ. ფოსტა - ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს წინაშე, რათა უკანასკნელმა ბავშვთა ბაგეების მოსაწყობად გამონახოს შესაფერი ბინა.

ბამბის მეურნეობა ჩვენში

ბამბის თესვის კამპანია დაიწყო: მის თესვას შეუდგა მშრომელი გლეხობა ბორჩალოს დაცემულ ველზე, ყარაიაში, კახეთში; დასავლეთ საქართველოში ბამბის თესვას ხელს უშლის გამუდმებული წვიმები. მებამბეები წარსული წლით უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან ბამბის მცირე მოსავლის გამო მათ იზარალეს. მიმდინარე წლის ბამბის კამპანია უნდა ჩატარდეს დღევანდელი ლოზუნგით: ფასები დავაკლოთ ბამბას, ან მის წარმოებას. რამდენათ მოსახერხებელია ფასების დაკლება კურკიან ან გაწმენდილ ბამბაზე დღევანდელ მდგომარეობაში და რა პირობებში შევძლებთ მის შესრულებას? საკითხის გამოსარკვევათ ავიღებ ჩვენ მებამბეობას. ჩვენში მებამბეობას შედარებით პურეულობის მცენარეებთან ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ომის წინ (1910—1914 წ.) ბამბის მთელი მოსავალი შედარებით პურეულობის შემოსავალთან არ აღემატებოდა აღმოსავლ. საქართველოში 8,6 პროც. და დასავლეთ საქართველოში 3,5 პროც. დღეს ეს პროცენტი უფრო ნაკლებია. მაგრამ თუ მებამბეობას შევეხებით უფრო ფართე, საკავშირო მასშტაბით, დავინახავთ, რომ ძვირფას მცენარეებში ბამბას თავის ტექნიკური თვისებებით და პროდუქციის ღირებულებით პირველი ადგილი უჭირავს საფეიქრო მრეწველობაში. მაგალითისათვის ავიღოთ 1912 წ., როდესაც რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებში გადამუშავებული იყო 17,39 მილიონი ფუთი ბამბა, ხოლო მატყლი, სელი და სხვა ბოჭკოიანი მცენარეები კი 5.2 მილ. ფ. იმავ წელს 10 მილ. ფუთი ბამბა გადამუშავდა. საკუთარი პლანტაციების (თურქესთანის და ა.-კავკასიის), დანარჩენი შემოტანილ იქნა ამერიკიდან, ეგვიპტედან და სპარსეთიდან.

რუსეთს წინეთ და საბჭოთა კავშირს ეხლა თავის ბამბა არა დროს არა ჰყოფნიდა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი საკავშირო მთავრობის მიმართულება ყველა კუთხის მებამბეობის ფრონტზე: ხელი შეუწყოთ მებამბეობას რითაც კი შეგვიძლია, რომ თავიდან ავიცდინოთ უცხოეთის ბამბის იმპორტი. ჩვენი მებამბეობაც 1923 წ. შემდეგ ამ ლოზუნგის მიხედვით იდგამს ფეხებს და ვითარდება. მართლაც, 1923 წ. ჩვენში დაითესა 900 დეს., 1924 წ. 5.800 დეს., 1925 წ. 6.371 დეს. და 1926 წ. უკვე 7.018 დეს. მიმდინარე წელს განზრახული გვაქვს დავთესოთ: კახეთში—600 დეს., ბორჩალოში—4.000 დეს., ყარაიაში—1.400 დეს. და დასავლ. საქართველოში—2.000 დეს., სულ 8.000 დეს. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ წელს უფრო უკეთ არის დაყენებული მებამბეობის მომარაგება იაფი ფართლეულობით და ხორბლით, რომ ავანსები და თესლი ურიგდებათ დაუბრკოლებლივ,—არის ნიშნები, რომ აღნიშნული 8.000 დეს. ვერ დაითესოს სრულათ.

რა მიზეზები უშლის ხელს ჩვენ მებამბეობას, რომ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდეს ეს ძვირფასი ტექნიკური მცენარე? დღემდე დაბრკოლება ბევრი იყო: არხების სუსტი მუშაობა ყარაიაში და ბორჩალოში, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ნაკლებობა, კრედიტის საქმის მოუწყობლობა, მებამბეობაში მომუშავე ორგანიზაციების შეუთანხმებელი საქმიანობა (მაგალ. კოოპერაციის და საქბამბის) და ბევრი სხვა მიზეზი აბრკოლებდა ჩვენ მებამბეობის ნორმალურ განვითარებას. მაგრამ უმთავრესი, რაც უკმაყოფილებას ბადებდა გლეხობაში, ეს იყო კურკიან ბამბაზე მცირე ფასი. იმ დროს, როდესაც ფასების დაკლების კამპანიას ვატარებთ. მებამბეები, პირიქით, მოითხოვენ ბამბაზე ფასის მომატებას. რომ მდგომარეობას ახლო გავეცნოთ, დავინახავთ, რომ ჩვენს პირობებში ბამბაზე ფასის მომატებას აქტუალური მნიშვნელობა არა აქვს. მიიღებს გლეხი 4 მ. 80 კ. საშუალოთ 1 ფუთში (როგორც ეხლაა), თუ 5 მან., ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს მისთვის. ამავე დროს კი ისედაც ბამბის ნაწარმოების მაღალ ფასებს კიდევ დაემატება, ამიტომ საკითხს სულ სხვანაირათ უნდა მოუაროთ. საქმე ისაა. რომ ის გლეხი, რომელიც შესძლებს 40 ფ. კურკიანი ბამბა აიღოს 1 დესეტინიდან, არ ზარალობს და ცოტაოდენი კიდევაც გადარჩება მოგება. მხოლოთ ისეთი მოსავალი, როგორც იყო წარსულ წელს (საშუალოდ მთელ საქართველოში ა.-კ. მებამბ. კომიტეტის ცნობით იყო 18 ფ. კურკიანი ბამბა 1 დეს.!) ხდის საზარალოთ მებამბეობას და აქ ვერავითარი მაღალი ფასები ბამბაზე ვერ უშველის, ერთათ ერთი ხსნაა—**მოსავლის აწევა** და ჩვენს პირობებში ეს მოსახერხებელია. თუ კი ზემოთ მოხსენებული ნაკლი (არხების, კრედიტის, ინვენტარის და გლეხების მომარაგების საკითხებში) ბევრათ თუ ცოტათ დაძლეული იქნება, შეიძლება მოსავლის გადიდებაც დღის წესრიგში დავსვათ.

ა.-კავკ. საგეგმო კომისიის გამოკვლევით, 1 დეს. ბამბის დამუშავებას ესაჭიროება 116 მუშა დღე და 30 საქონლის დღე. რომ ვიანგარიშოთ 1 მ. 20 კ. მუშის დღიური და 80 კ. საქონლის ფასი დღეში, მივიღებთ ხარჯებს 163 მ. 20 კ. ამის გარდა არის ხარჯები (თესლის, დაზღვევის, მავნებლებთან ბრძოლა, სარწყ. არხების და სხ.), რომლებიც აღწევენ დესეტინაზე 20 მან., სულ 183 მ. 20 კ. საშუალო მოსავალი აღმ. საქართველოში უნდა მივიღოთ 30 ფ. კურკიანი ბამბა დესეტინაზე; ამრიგათ თვითღირებულება 1 ფ. უდრის 6 მ. 10 კ., საშუალო ფასი კი დაწესებულია 4 მან. 80 კ.! მაგრამ თუ გი მოახერხებს 45 ფ. აღებას, მაშინ თვით ღირებულება იქნება 1 ფ. ბამბისა მხოლოთ 4 მ. 80 კ.; რჩება მოგება თითო ფუთზე. ამის მიღწევა არც ისე ძნელია, როგორც შეიძლება გვეგონოს პირველი შეხედვით. ომის წინ საშუალო მოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში 48 ფ. უდრიდა, ზოგიერთი მებამბეები—მაგალითათ ბორჩალოში, ნოროვანის რაიონში, ეხლაც 1 დეს. საშუალოთ იღებენ ყოველწლივ 55 ფ. კურკიან ბამბას, ზოგჯერ 60—65-საც! სახალხო მამულებში (ყარაიაში, გეურ-არხში, უფლარში, აჯამეთში) საშუალოთ 60 ფ. ბამბა მოჰყავთ ყოველ წლივ.

თუ კი შევძლებთ საჭირო აგრი-კულტურულ მუშაობის ჩატარებას, სულ ადვილათ მივაღწევთ მოსავლის 50-60 პროც. გადიდებას. ეს აგრი-კულტურული ღონისძიებანი უმთავრესათ უნდა გამოიხატოს: 1) შერჩეული, ჯიშიანი თესლის მიწვდენით, მავნებლებთან ბრძოლის წესიერათ დაყენებით და აგროდახმარების ფართედ მოწყობით. ამჟამათ აღმოსავლ. საქართველოში საუკეთესო თვისებები გამოიჩინა ყარაიას კინგმა (ამერიკული ჯიშია), რომელიც უფრო ჩქარა მწიფდება სხვა ჯიშებთან შედარებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში. მოსავალსაც კარგს იძლევა. ამ ჯიშით წრეულს თითქმის 40 პროცენტამდე ნათესი გვექნება და ერთორ წლის შემდეგ უბრალო, ქარხნის შერეული თესლისაგან განვთავისუფლდებით. მავნებლეთან ბრძოლაც საუკეთესოთ არის დაყენებული, აპარატი მოწყობილია და საჭირო თანხებიც გადადებული, როგორც მავნებლებთან საბრძოლველად, აგრეთვე მავნებლების ბიოლოგიის შესწავლა-გამოკვლევისათვის.

უფრო ცუდ პირობებშია ჩაყენებული საცდელი საქმე მებამბეობაში და აგრო-დახმარება. საჭირო თანხები, რომ დიდი მასშტაბით ვაწარმოოთ ეს საქმე, არ მოიპოვება. ამჟამათ საცდელი სადგური ყარაიაში აწარმოებს სხვადასხვა ცდებს მებამბეობაში, უმთავრესათ კი არკვევს ჯიშების და სელექციის საკითხს., მაგრამ არავითარი კრედიტები მებამბეობის ორგანიზაციებიდან ამ საქმისთვის მიწსახკომს არ ეძლევა. აგროდახმარებაც, მართალია უფრო ფართედ არის დაყენებული ამ წელს, მაგრამ მაინც საკმარისი არ არის გადადებული კრედიტები. ჩვენში მიწის დამუშავება, ბამბის მოვლა ძალიან დაბალ საფეხურზე სდგას, შედეგათ ზემოთხსენებული მოსავალია. აგროდახმარების მიზანს შეადგენს გააცნოს გლეხებს მიწის დამუშავების და მოვლის რაციონალურ წესებს: დამუშავება მექანიკური, მწკრივათ თესვა, მიწის გაპატივება და სხ. ამისთვის ყველა რაიონებში არიან მოწვეულნი მცოდნე ინსტრუქტორები, რომლებიც, საჩვენებელ ნაკვეთების გამართვით გლეხების მიწებზე, აჩვენებენ გლეხებს დამუშავების წესებს. მთელ საქართველოში ასეთი ნაკვეთები მოწყობილია 120 ადგილას. ყოველ აგრონომთან მოეწყო აგრო-კაბინეტი და სას.სამ. იარაღების გასაქირავებელი პუნქტები. მაგრამ მოთხოვნილება დიდია იარაღებზე, და ყველა ვერ კმაყოფილდება. აგრეთვე პერსონალის სიმცირის გამო აგროდახმარება საჭირო მასშტაბით ვერ ხორციელდება.

მაგრამ მიღებული ზომები აგრიკულტურულ ფრონტზე მაინც სრულ იმედს გვაძლევს, რომ ფასების პრობლემა კურკიან ბამბაზე დაძლეული იქნება მოსავლის გადიდებით. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს გაწმენდილ ბამბის ფასებს. აქ საქმე გვაქვს ძალიან მაღალ ზედნადებ ხარჯებთან თუ ომის წინ ზედ-ნადები ხარჯები 1 ფ. გაწმენდილ ბამბაზე იყო 1 მ. 44 კ. წარსულ წელს იგი გამოიხატა 5 მ. 02 კ.! მიღებულია ზომები ზედნადები ხარჯების შესამცირებლათ: თუ მოვახერხეთ მათი გატარება ამ წელს, მაშინ ჩვენი მებამბეობის წინაშე სულ სხვა პერსპექტივები გადაიშლება, და ის მოახერხებს დღევანდელ მდგომარეობიდან გამოსვლას.

ი. ქურდიანი.

ბიუროკრატიზმის ერთი მიზეზთაგანი რკინის გზებზე

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელიც ქმნის ბიუროკრატიზმს რკინისგზაზე, არის ანგარიშიანობის დიდი რაოდენობა და ანგარიშის ფორმის სხვა და სხვაობა. ეს ფორმები, ბევრ შემთხვევაში ძველია. ზოგიერთი ამ ფორმათაგანი ამ ახლო ხანში იქნა შემოღებული, მაგრამ წარმოების სწრაფად ცვალებადობისა და ჩვენი საბჭოთა მეურნეობის სწრაფი განვითარების პირობებში ის სრულიად გამოუსადეგარი გახდა. მიუხედავად ამისა, ეს ფორმები მაინც არსებობენ, და ყოვლად გამოუსადეგარი ანგარიშის შედგენისათვის მაინც იხარჯება დიდი თანხები.

ამჟამად სწარმოებს ბრძოლა აგრეთვე ანგარიშიანობის ფორმების შემცირებისა და გამარტივებისათვის.

აუცილებელია ანგარიშის ფორმების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და შეძლების დაგვარად მათი გამარტივება. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის მთელი რკინისგზის ქსელში ამჟამად დაიწყო კამპანია და სწარმოებს მუშაობა ანგარიშიანობის ფორმების გამოსარკვევად. მაგალითად, ანგარიშიანობის გამოკვლევა ჯერ-ჯერობით ჩატარდა სამხრეთ და დონეცის რკ. გზების სამმართველოებში. გამოკვლევას ახდენს სატრანსპორტო მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ამ გამოკვლევათა შედეგები მეტად მნიშვნელოვანია.

ანგარიშიანობის ფორმების თითქმის 50 პროც. შემცირდება. ამის გამო რკ. გზის ხარჯები შემცირდება რამოდენიმე ასი ათას მანეთით. კერძოდ იგივე უნდა ითქვას ამიერ - კავკასიის რკინისგზების შესახებაც. სამმართველოს ყველა განყოფილებაში ანგარიშიანობის რიცხვი აღწევს 300-400-მდე.

ამ მიზნით გამოკვლევა დაიწყო ტრანსპორტის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან გამოყოფილია სპეციალური კომისია რკინისგზელთა კავშირის (ეკონომ. და საწარმოო თათბირები და გამგეობათა ხელის შემწყობი სექცია) და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გამოკვლევის ობიექტები: წევის, მოძრაობის და სალიანდაგო დარგები და აგრეთვე მათი განყოფილებები ხაზებზე: თბილისი, ბაქო, ლენინაკანი. გამოკვლევა შეეხება აგრეთვე სხვა დარგებსაც: კომერციულ განყოფილებას, შრომის მოწესრიგების ბიუროს, მატერიალურ დარგს და საფინანსო განყოფილებას.

იმდენად, რამდენადაც მათი ანგარიშიანობის წარმოება დაკავშირებულია წევის, მოძრაობის და სალიანდაგო განყოფილებებთან, გამოკვლეულ იქნება ანგარიშიანობა: ფინანსიური, მატერიალური, ტექნიკური და სტატისტიკური.

მუშაობა გამოკვლევისათვის უკვე დაიწყო და დაკვრითი წესით გაგრძელდება. წარმატება ამ მუშაობაში დამოკიდებულია იმაზედაც, თუ როგორი ყურადღებით მოეკიდებიან ამ საქმეს კავშირების ორგანიზაციები და როგორ დახმარებას გაუწევენ რკინისგზელთა მასები.

თვით მუშებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ანგარიშიანობის იმ ფორმების შემოღებაში, რომლის მეოხებითაც აღირიცხება მათი შრომის მიღწევები. აუცილებელია აპარატის გაუმჯობესებასთან ერთად გატარდეს ანგარიშიანობის გაუმჯობესება მათი გამარტივების მხრივ.

ევე.

ეკონომიურ საბჭოში

თამბაქოს ფასები

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა სპეციალური კომისიის აზრი სამეგრელოსა და ლაგოდეხის თამბაქოს ფასების გადასინჯვის შესახებ. კომისიამ მიზანშეუწონლად სცნო ეკონომიურ საბჭოს მიერ ა. წ. იანვრის 21-ს სამეგრელოს თამბაქოზე გამომუშავებული ფასის შეცვლა. კომისიის აზრით საჭიროა გაღებულ იქნეს გრძელვადიანი კრედიტი 50.000 მან. რაოდენობით 100 ფარდულის მოსაწყობად მომავალ წელში. გარდა ამისა საჭიროთ იქნა აღიარებული მიეცეს სამეგრელოს მეთამბაქოეობას მოკლევადიანი კრედიტი 165.000 მან. რაოდენობით საქართველოს თამბაქოს ტრესტისა და სას.-სამ. ბანკის ხაზით, დესეტინაზე 350 მან. ანგარიშით (ნავარაუდევია 500 დესეტინა სათესი არე).

რაც შეეხება ლაგოდეხის თამბაქოს ფასებს, კომისიამ საჭიროდ სცნო დატოვებულ იქნას ა.-კ. ეკონომიურ საბჭოს მიერ მიღებული ფასები. კომისიამ საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები, რათა ცენტრალურმა სას.-სამეურნეო ბანკმა გაუგრძელოს მეთამბაქოებს თანხების შეტანის ვადა თამბაქოს რეალიზაციამდე. „სოფლის კავშირს" დაევალა მიიღოს ზომები დარჩენილი 50.000 თ. თამბაქოს რეალიზაციისათვის „ტავსირიე"-ს და ლენინგრადის ტრესტის დახმარებით, საქართველოს თამბაქოს ტრესტსა და აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტს წინადადება მიეცათ გაუსწორონ ანგარიში გლეხებს ლაგოდეხის თამბაქოსათვის ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფასების მიხედვით. (ფუთზე 14 მან. 50 კაპ.).

საბიუჯეტო შენაკრების გამოანგარიშება

საბიუჯეტო შენაკრების გამოანგარიშების კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა სტატ. ცენტრ. სამმართველოს მმართველი ამხ. ა. რუხაძე. შენაკრების გამოანგარიშება დამთავრებული უნდა იქნეს ერთ კვირაში.

ტყის გაწმენდა

წინადადება მიეცა მიწათმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს განსაზღვრონ სატყეო კულტურისა და ტყის გაწმენდისათვის არსებული საპროცენტო ანარიცხის რაოდენობა, როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვიანი ჯიშებისათვის.

„საქართველოს აბრეშუმი"-ს და „შელკოტრესტის" ხელშეკრულება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს აბრეშუმსა" და „შელკოტრესტის" შორის ა. წ. აპრილის 8-ს მოსკოვში დადებული ხელშეკრულება „საქართველოს აბრეშუმისაგან" „შილკოტრესტის" მიერ 1927 წ. პარკის მოსავლის, აბრეშუმის თესლის და აბრეშუმის ნარჩენების შესყიდვის შესახებ, სულ 5.500.000 მან. რაოდენობისა.

რაც შეეხება 1928 წლის პარკის მოსავალს, იგი არავის არ მიეცემა, ვინაიდან მთელი მოსავალი გადამუშავებული იქნება საქართველოს აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებში.

1928 წლამდე საქ. მოთხოვნილება მშრალ პარკზე, ფაბრიკებისათვის და თესლებისათვის ნავარაუდევია 28.000 ფუთამდე.

პედაგოგიურ ინსტიტუტში

პედაგოგიურ პრაქტიკუმის სააღრიცხვო კონფერენცია

გუშინ 11 მაისს პედაგოგიურ ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა ამავე ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტთა მიერ ა. წ. აპრილში ჩატარებული პედაგოგიურ პრაქტიკუმის კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილი**, საკავშირო კომპარტიის ა. კ. საოლქო კომიტეტის კომისია, განათლების სახალხო კომისარიატის სასკოლო განათლების გამგე ამხ. **გ. გოგუაძე** და სხვა.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად გაგზავნილ პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი და მეორე კურსის სტუდენტთა მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

კონფერენცია გახსნა მესამე კურსის სტუდენტმა **კ. შეროზიამ**, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა პედაგოგიური პრაქტიკუმების მნიშვნელობა ახალ პედაგოგთა მომზადებისათვის. შემდეგ ორატორმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა გასულ წელს და აგრეთვე ა. წ. აპრილში ჩატარებულ პედაგოგიურ პრაქტიკუმებს.

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ და მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს სხვადასხვა რაიონში გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში სავარჯიშოდ გაგზავნილი ყოფილა ინსტიტუტის 25 სტუდენტი, რომელთაც ერთი თვე უმუშავიათ სკოლებში და ეხლა კონფერენციას უდგენენ თავიანთი მუშაობის ანგარიშს.

პირველ სხდომაზე მოხსენება გააკეთა სამ პრაქტიკანტმა.

ამხ. **მჭედლიძე** (მივლინებული იყო სოფ. ახმეტის გლეხური ახალგაზრდობის სკოლაში) გააცნო რა კონფერენციას სკოლის მუშაობა, აღნიშნა, რომ გლეხური ახალგაზრდობის სკოლას დიდი სიმპატია მოუპოვებია ადგილობრივ გლეხობაში. გლეხური ახალგაზრდობის სკოლა გახდა ნამდვილ კულტურულ კერად. რომელიც პრაქტიკულად უახლოვდება მეცნიერებას გლეხის ყოველ დღიურ ცხოვრებას და ქმნის ნიადაგს ჩვენი სოფლის მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდასაქმნელად.

სტ. ქუჩულორია (სოფ. მუხიანის გლეხ. ახალგაზრდობის სკოლა) აღნიშნავს, რომ მუხიანის სკოლას აქვს ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევები,—სკოლას აქვს საკუთარი ბაღი, ვენახი, საცდელი მინდვრები; სადაც თეორიულ ცოდნასთან ერთად მოწაფეები პრაქტიკულ მომზადებას ღებულობენ. სკოლის მუშაობაში ჩაბმულია ადგილობრივი გლეხობაც, რომელიც დიდი სიმპატიით უცქერის ამ ახალ მოვლენას სასკოლო ცხოვრებაში.

სტ. ბრეგვაძეც (პატარა ონის გლეხური ახალგაზრდობის სკოლა) აღნიშნავს, რომ პატარა ონის სკოლასაც აღებული აქვს სწორი სამაცადინო ხაზი იმ პროგრამის გასატარებლად, რომელსაც მას უყენებს გლეხური ახალგაზრდობის სკოლის პრინციპი. სკოლის მუშაობას აბრკოლებს ნივთიერი უსახსრობა.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

აჭარისწყალის

ჰიდრო-ელსადგური

თბილისში მიღებულია დეპეშა, რომ აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურზე უკვე დასრულდა დიდი გვირაბის გაყვანა. გვირაბის სიგრძე უდრის 235 საჟენს და მან უნდა შეაერთოს მდინ. აჭარისწყალზე გაკეთებული კაშხალი საგენერატორო სადგურთან.

გვირაბის გაყვანა დაწყებულ იქნა დაახლოვებით ერთი წლის წინეთ. მუშაობა დაიწყეს გვირაბის ორივე მხარედან და 10 მაისს ორივე მხარის განათხრები სწორად შეხვდა ერთი მეორეს. გვირაბში გაყვანილ იქნება სპეციალური ცემენტის კალაპოტი, რომლითაც საგენერატორო სადგურს ქვეშ დადგმულ ტურბინები მიიღებენ წყალს.

შავი ზღვის გზატკეცილი

შავიზღვის გზატკეცილის ჩრდილო უბანზე (სოხუმი-სოჩი) ზოგიერთ ხიდების კატასტროფიული მდგომარეობის გამო, დისტანციის უფროსმა საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წინაშე აღძრა საკითხი მიმდინარე წელს ხიდების შეკეთებისათვის დაუყოვნებლივ 25.000 მან. გაცემის შესახებ.

თუ თანხა თავის დროზე არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია უბნის დაკეტვა.

ვინაიდან გზატკეცილის სამხრეთ უბანი (სოხუმი-ენგური), რომელიც იმყოფება აფხაზეთის სახკომსაბჭოს განკარგულებაში, უკვე დაკეტილია საბარგო ავტომობილების მოძრაობისათვის, ჩრდილო უბნის დაკეტვის საკითხი განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს ატარებს.

ამის გამო საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველომ ა.-კ. ადგ. ტრანსპორტის სამმართველოს წარუდგინა მოსაზრება აღნიშნულ ხიდების შეკეთებისათვის აუცილებელ საშუალებების გაღების შესახებ.

ჩრდილო უბანზე მოძრაობის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, ა.-კ. ადგ. ტრანსპორტის სამმართველომ გადასდო საჭირო თანხა.

რაც შეეხება სამხრეთის უბანს, იქ არსებულ ძველი ხიდების კაპიტალურად შესაკეთებლად საქ. სამმართველომ გადასდო 16.000 მან. და განკარგულება გასცა მუშაობის დაწყების შესახებ.

საზაფხულო საძოვრები

მეცხვარეთა კოოპ. ამხ-ბა „მწყემსი"-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. გონაშვილის ცნობით, ცხვრების საზაფხულო საძოვრებზე გაგზავნის სეზონი უკვე დაიწყო. ნაწილი ცხვრებისა საზაფხულო საძოვრებზე უკვე ვარეკილია.

ვინაიდან წელს ჩვენი საძოვრების ტერიტორია ადგილობრივი საჭიროების გამო შემცირებულ იქნა 18.500 დესეტინით, მსგავსად გასული წლისა საჭირო გახდა საძოვრების აღება ოსმალეთში და სასომხეთში.

სასომხეთში უკვე აღებულია 7.000 დეს. საძოვარი და იქ ამჟამად სძოვს — 80.000 სული ცხვარი.

ოსმალეთში, თანახმად საკონვენციო ხელშეკრულებისა, სახელმწიფო საძოვრები უკვე აღებულია, მაგრამ იგი საკმარისი არ არის ჩვენ მეცხვარეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამისათვის საჭიროა კერძო საძოვრების აღებაც. ამ მიზნით გუშინ ოსმალეთში გემგზავრა „მწყემსი"-ს გამგეობის წევრი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას იქ კერძო საძოვრების მეპატრონეებთან.

წელს სულ განზრახულია 200.000 სული ცხვარის გადარეკვა ოსმალეთის ტერიტორიაზე.

მუშათა გამოგონებები

საქ. პროფკავშირთა საბჭომ შეიმუშავა დებულება წარმოებებთან მუშათა გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა დასაჯილდოვებლად სპეციალური ფონდების დაარსების შესახებ.

ამ დებულებით ყველა წარმოებებთან შექმნილი უნდა იქნეს სპეციალური ფონდები. ფონდში უნდა გადაირიცხოს 1926-27 წლის წლიური ხელფასის ერთი მეხუთმეტედი პროც. და იმ ეკონომიის ნაწილი, რომელსაც იძლევა მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლო წინადადებები—წლიურად.

ფონდიდან მიეცემა ჯილდო მუშა-მოსამსახურეებს გამოგონებისათვის და სასარგებლო წინადადებისათვის. პრემიის გაცემა სწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა მომუშავის ესა თუ ის წინადადება იძლევა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას, მავნებლობის მოსპობას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

მეაბრეშუმეობა

საქ. „აბრეშუმმა" მომხმარებელ საზოგადოებათა და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით მიმდინარე სეზონისათვის სენაკის მაზრაში დაარიგა აბრეშუმის თესლი. მთელს მაზრაში წელს სულ დარიგებულია 200 ათასი კოლოფი თესლი, რაც სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებას.

აპრილის დამლევისათვის დარიგებული იყო სულ 10 ათასი კოლოფი, ხოლო ამავე თვის შუა რიცხვებში—კიდევ 10 ათასი ცალი. თესლი მეაბრეშუმეებს ეძლევათ ნისიათ ორმანეთ ნახევრად თითო კოლოფი, რომლის ღირებულებაც გამოექვითებათ მოსავლის ჩაბარების დროს.

მიმდინარე სეზონისათვის ტრესტმა „საქართველოს აბრეშუმმა" ახალ სენაკსა და აბაშაში დასდგა აბრეშუმის პარკის ორი მექანიკური სახმობი, ხოლო აბაშაში აგებულია სპეციალური შენობა. აბრეშუმის თესლის შესანახად.

სესხი კოოპერაციას

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალა ა.-კ. საგეგმო კომისიას ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენელთა მონაწილეობით ხელ-ახლა განიხილოს საკითხი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ბანკების მიერ პროცენტის დარიცხვის შესახებ იმ სესხებზე, რომელიც ეძლევათ ძირითად კოოპერატიულ ორგანიზაციებს სასოფლო-მეურნეობის ყველა დარგების მიხედვით. ა.-კ. საგეგმო კომისიას, საკითხის განხილვის დროს, წინადადება ეძლევა იხელმძღვანელოს პროცენტების მაქსიმალური შემცირების პრინციპით.

ბაზარი

თბილისის მუშკოოპის სავაჭროებში: კილო საქონლის ხორცი ღირს 70 კაპ., ცხვრის—90 კ., პური გამომცხვარი თეთრი—21 კაპ., ყუბანის ფქვილი მე-2 ხარისხის—15 კაპ., ბრინჯი „რ"—36 კაპ., კართოფილი—7 კაპ., კომბოსტო—27 კაპ., ლობიო—11 კაპ., ხახვი (ძველი)—10 კაპ., კარაქი—2 მ. 80 კაპ., ერბო—2 მან. 40 კაპ., რძე—23 ნახ. კაპ. ლიტრა, კვერცხი—40 კაპ. ათეული, კილო საჭმელი ზეთი—57 კაპ., თევზი—კობრი—32 კაპ. კილო, შაქარი რაფინადი—72 კაპ. კილო, ფხვნილი შაქარი—62 კაპ. კილო, მარილი ფხვნილი—5 კაპ., ნავთი—7 კაპ. ლიტრა, სარეცხი საპონი (მარმარილო)—47 კაპ. კილო, ასანთი—14 კაპ. ათეული, თამბაქო „სახალხო"—5 მან. კილო, ჩითეული—38 კაპიკიდან და ზევით მეტრი, მაუდი—„მალესკინი"—2 მან. 43 კაპ. მეტრი.

ბაზარზე მოიპოვება ახალი ბოსტნეულიც. ფასები ხელმისაწვდომია.

კატასტროფა ქეთევანის ქუჩაზე

კომისიის შედგენა კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად დავითის მთის გეოლოგიური შესწავლა, — თუ აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელია მსგავსი კატასტროფების განმეორება, მიღებული იქნება გამაფრთხილებელი ზომები—დღეიდან დაიწყება მუშაობა კატასტროფის ადგილის სრულიად გასაწმენდად — გეოლოგი გაბუნია კატასტროფის შესაძლებელი მიზეზების შესახებ.

დაწვრილებითი ცნობები

კატასტროფას ადგილი ჰქონდა დავითის მთის ბოლოს ქეთევანის ქუჩის თავში (მეორე სამილიციო უბანი). წინათ კატასტროფის ადგილას მთის ფერდობზე შეუმჩნევიათ პატარა ნაპრალი, რომელიც უფრო და უფრო მატულობდა.

ასეთივე ნაპრალი გუშინ შემჩნეულ იქნა ფერდობის საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ.

სახლის ნანგრევებიდან დაღუპულთა გვამების ამოღება გაგრძელდა გუშინ დილამდე. დილას გვამები შემოწმებულ იქნა ექიმის მიერ და შემდეგ გადააგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავათმყოფოში.

კატასტროფის დროს დაღუპულთა გვარები მოყვანილი გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

თბილისის აღმასკომმა დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს კატასტროფის მიზეზები. კომისიაში შედიან სპეციალისტი - ინჟინერები, გეოლოგები, სახანძრო საქმის ინსპექტორი ამხ. ა. ბერიძე და სხვ. გადაწყვეტილია გასწმინდონ ნანგრევები და აიღონ ჩამონგრეული ნიადაგი.

ამასთანავე კომისია შეისწავლის დავითის მთის გეოლოგიურ პირობებს და თუ აღმოჩნდა, რომ კვლავ მოსალოდნელი იქნება მარცხი — მიღებული იქნება ზომები მთის ფერდობების გასამაგრებლად.

ნანგრევებიდან სხვადასხვა ნივთების ამოღების დროს გუშინ მილიციამ აღმოაჩინა 60 მან. ოქროს ფული და სამკაულები. ცოცხლად გადარჩენილების თქმით (ორი ცოცხალი გადარჩა, 14 დაიღუპა და ორიც დაშავდა) ნანგრევებს ქვეშ მოყოლილია საგრძნობი თანხა — ძველი ოქროს ფულით და 500 მანეთის ქაღალდის ფული. გადაწყვეტილია დღეიდან შეუდგენ საფუძვლიან გათხრებს და ამ საქმისთვის გამოიწვიონ ცეცხლისმქრობელი რაზმის თანამშრომლები და მესანგრეები.

დაღუპულთა უმრავლესობას, როგორც სჩანს, კატასტროფამ ძილის დროს მოუსწრო. გვამები საშინლათ დამახინჯებულნი აღმოჩნდა. ზოგს ტანი სრულებით გაჭყლეტილი აქვს. უმრავლესობას ზურგი აქვს გატეხილი, სჩანს ისინი პირველ ხანებში სცდილობდენ ნანგრევებიდან ამოსვლას და უჰაერობის გამო დაიღრჩვენ.

ჯერ კიდევ კატასტროფის ღამეს კატასტროფის ადგილზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. კატასტროფის ადგილზე გუშინ მთელი დღის განმავლობაში დიდძალი ხალხი მიდიოდა.



კატასტროფის დროს დაღუპულთა გვამები

კატასტროფის შესაძლებელი მიზეზები

დავითის მთის ფერდობის ჩამონგრევის გამო გეოლოგმა **გაბუნიამ** ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა კატასტროფის შესაძლებელი გეოლოგიური მიზეზების შესახებ:

— კატასტროფას არა აქვს ზვავის (მშრალი მეწყერი) ხასიათი, იგი წარმოადგენს ე. წ. მომენტალურ ჩამონგრევას. ზვავი ჩვეულებრივ ნელის მოძრაობით ვრცელდება ქვედა ფენებისაკენ, ისე რომ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს თავს უშველოს. აქ კი მოვლენას კატასტროფის ხასიათი ჰქონდა და მას მოჰყვა დიდი ხმაური. სახლი დაინგრა მთიდან ჩამოვარდნილი მასის დაჯახებისა და არა ნიადაგის მოწყვეტის გამო.

საზოგადოთ მთელი დავითის მთა შესდგება ე. წ. მესამე პერიოდის ქვიშნარისაგან, რომელსაც ხშირათ ურევია თიხის ნიადაგი. ეს ნიადაგი არ შეიძლება ჩაითვალოს მკვიდრ ნიადაგათ და მასზე სახლების აგება სახიფათოა. ამ მთაზე ნიადაგის ფენების მიმართულება ორგვარია — ერთი ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ და მეორე ჩრდილო დასავლეთისაკენ. ამგვარად მთის ფერდობის დაქანებაზე გაყოლებულია ფხვიერი ნიადაგისაგან შემდგარი ზურგი, რომელსაც ადვილათ უჯდება წყალი. მთის ამ ზურგზე გუშინ შემჩნეულ იქნა ორი ნაპრალი. ერთი მათგანი—უკვე მოწყვეტილია და მან გამოიწვია გუშინწინ მომხდარი კატასტროფა. მეორე ნაპრალი, რომელიც ზევით მდებარეობს უფრო საშიშია, თუ წინასწარ არ იქნა მიღებული შესაფერისი ზომები.

ელექტროფიკაცია

საქართველოში ამ ჟამად არსებულ ყველა ელექტრო-სადგურების (გარდა ზაჰესისა) სიძლავრე უდრის 11,500 ცხენის ძალას. აქედან თბილისში—6.800 ცხ. ძალა და პროვინციაში—4.700 ცხ. ძალა; ამაში შედის სოხუმის, გორის, ახალქალაქის და სხვა წვრილი ქალაქების ჰიდრო-სადგურები.

უკვე ამუშავდა ზაჰესი—18.000 ცხ. ძალის, ახლო ხანში ამუშავდება აბაშის სადგური—3.500 და აჭარის-წყალის სადგური—5000 ცხ. ძალა. შემდეგ მიდის ფოთის, ხონის და სხვა ქალაქების სადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 400 ცხ. ძალას. ყველა ამ ჰიდრო-სადგურების სიმძლავრე უდრის 26.000 ცხ. ძალას.

ზაჰესის სავსებით ამუშავების შემდეგ ზოგიერთი წვრილი სადგურები შეჩერებული იქნება და საქართველოში ელექტრო-ენერგიის რესურსები იქნება დაახლოვებით 30,000 ცხ. ძალა. აქედან 90 პროც. მოდის ჰიდრო-სადგურებზე.

აღნიშნული სადგურების გარდა აგებული იქნება რიონის ჰიდრო-ელექტრო სადგური—42.000 ცხ. ძალა, სოხუმის სადგური—2.000 ცხ. ძალა და ალაზნის სადგური—5.000 ცხ. ძალა.

ელექტროფიკაციის მთელი გეგმის განხორციელების შემდეგ საქართველოში 15 წლის შემდეგ იქნება 200.000 ცხ. ძალა, მთელს ამიერ-კავკასიაში კი—450.000 ცხ. ძალა.

რიონის სადგურის სიმძლავრის ერთი ნაწილი მოხმარდება ჭიათურის და ტყიბულის რაიონის, ქ. ქუთაისის და მისი მიდამოების ელექტროფიკაციას. საუღელტეხილო რკინისგზას პირველ ხანებში ენერგიას მიაწოდებს ზაჰესი, შემდეგ კი რიონის ჰიდრო-ელექტრო სადგური.

რკინისგზეზე

უბედური შემთხვევა

გუშინ წინ თბილისის მთავარ სახელოსნოს საქვაბე საამქროში, მუშაობის დროს გაუფრთხილებლობის გამო მანქანაში მოჰყვა ელექტრო-ტექნიკურ დარგის მონტიორი ამხ. **სულავა**, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ა.-კ. რკ. გზ. ბალანსი

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დაამტკიცა 1926 წ. 1 ოქტომბრის ბალანსი. გზის ძირითადი კაპიტალი 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის გამოიხატება—321.366.521 მან. 46 კაპეიკში.

გზის წლიური შემოსავალი მთელი წლის განმავლობაში უდრიდა—44.942.000 მანეთს.

57.000 უბილეთო მგზავრი

1925—26 წ. განმავლობაში ა.-კ. რკ. გზ. უბილეთო მგზავრობასთან მებრძოლ საკონტროლო განყოფილებების მიერ შედგენილი იყო 57.000 აქტი უბილეთო მგზავრებზე.

გამოკვლევა

ა.-კ. საგზაო კომიტეტის, საგზაო ჯანმრთელობის განყოფილების და დამზღვევი სალაროს განკარგულებით, საუბნო ექიმები და დამზღვევი სალაროები ამჟამად აწარმოებენ იმ რკინისგზელების მდგომარეობის გამოკვლევას, რომლებიც ცხოვრობენ რკინისგზის ხაზის დაშორებით.

გამოკვლევა დამთავრდება 25 მაისს.

საზაფხულო ექსკურსიები

საექსკურსიო საკითხის განსახილველად ა.-კ. პროფსაბჭო 14 მაისს იწვევს თათბირს. თათბირი დაწვრილებით განიხილავს ა.-კ. პროფკავშირების მიერ ექსკურსიების ჩატარების გეგმას. თათბირში, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის პროფსაბჭოთა წარმომადგენლებს გარდა, მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა ყველა პროფკავშირების კულტგანყოფილებათა წარმომადგენლები.

აგროდახმარება

საგაზაფხულო მუშაობის სეზონის დამდეგს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აგრონომებმა საქართველოს მაზრებში და მათ შორის გურიის სოფლებში განაახლეს აგროკულტურული მუშაობა.

მარტის განმავლობაში გურიის 10 სოფელში მოეწყო 30-მდე ლექცია საუბარი მეველეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის, მევენახეობა მეღვინეობის და მავნებლებთან ბრძოლის შესახებ.

ამ ლექცია საუბრებს დაესწრო 369 კაცი და 127 ქალი. გლეხების მიერ განსაკუთრებული ყურადღებით მოსმენილი იქნა ლექცია სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ. 3 სოფელში წაკითხულ იქნა ლექცია მევენახეობისა, მეღვინეობისა და ნიადაგის განოყიერების და აგრეთვე მებაღეობის შესახებ. ლექციას დაესწრო 350 გლეხი.

მსმენელებს უფასოდ დაურიგდათ 135 ბროშიურა მეურნეობის სხვადასხვა დარგების შესახებ. საცდელი მიზნით ახალი გუთნებით ყანები დაუხნეს 30 გლეხს. ამავე მიზნით საცხველი მანქანით სიმინდი დაუცხვეს 34 გლეხს.

ახალი ხიდი ქუთაისში

უკანასკნელ დრომდე ქ. ქუთაისში მდ. რიონზე აგებული იყო 3 ხიდი—სამივე ქალაქის ზედა ნაწილში, ქალაქის სამხრეთი უბანი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე უხიდობის გამო მოწყვეტილი იყო ქალაქის ცენტრალურ რაიონს. მისვლა-მოსვლა ცენტრალურ რაიონთან სწარმოებდა ბორანის საშუალებით,—რომელიც წყალდიდობის გამო, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ხშირად ვერ მუშაობდა. ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა მიმდინარე წელს იმ ადგილს, სადაც ეხლა ბორანია, ააგოს ახალი ხიდი. ამჟამად სწარმოებს ამ ადგილის წინასწარი კვლევა ძიება, რომლის დამთავრებისთანავე შედგენილ იქნება სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა. ჯერ-ჯერობით აგებულ იქნება ხიდი საქვეითო მიმოსვლისათვის, მომავალი წლისათვის კი დაიწყება მუშაობა კაპიტალური ხიდის ასაგებად საბორბლო მოძრაობისათვის.

13 მაისისათვის ქ. გორში მოწვეულია მუშკორების, გლეხკორების, ახკორების, სამხკორების, ქოხ-სამკითხველოების გამგეების და კედლის გაზეთების რედკოლეგიების

გაფართოებული სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები

1. საერთაშორისო მდგომარეობა. მომხ. ამხ. **მიხა ცხაკაია.**
2. მუშკორთა და გლეხთა მოძრაობის ამოცანები მომხ. ამხ. **მუშიშვილი.**
3. პროკურატურა და მუშკორთა და გლეხკ. მოძრაობა მომხ. ამხ. **ვარძიელი.**
4. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად და მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა **შუშანია და ნუცუბიძე.**
5. გაზეთ „ახალი სოფლის" რედაქციის მოხსენება.
6. მიმდინარე საკითხები.

კონფერენცია გაიხსნება მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღ. 6 საათ.

ქრონიკა

პროფ. კუკელ - კრაევსკი

ამ მოკლე ხანში თბილისში ჩამოვა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ ელექტრო სამმართველოს ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსი პროფ. **ს. ა. კუკელ - კრაევსკი**, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ არის მივლინებული ზემო - ავჭალის ჰიდროსადგურის საერთო დასათვალიერებლათ, მას დავალებული აქვს აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა რიონის ჰიდრო სადგურის ვარიანტის საკითხის გადაწყვეტაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თხოვნით **ს. ა. კუკელ კრაევსკი** თბილისში წაიკითხავს მოხსენებას „საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია და მისი პერსპექტივები“. მოხსენებაზე მიწვეული იქნებიან თბილისის ტეხნიკურ - ეკონომიური ფართო წრეები, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიების, ამიერ - კავკ. რკინისგზების, საინჟენერო - ტეხნიკური ძალების კავშირის, ტეხნიკური საზოგადოების სპეციალისტები და ელექტროფიკაციით ყველა დაინტერესებულნი.

მოხსენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია

თბილისში მიღებული ცნობებით, ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია ახლო მომავალში ჩამოვა საქართველოში. დელეგაციაში შედის 20 კაცი.

რადიო

მიმღებ რადიო-სადგურების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები დასრულდა 60 კაცმა, რომელთა უმრავლესობა დაიგზავნება მაზრებში სამუშაოთ. კურსები მოაწყო პოლიტ-განათლების მთავარ-სამმართველომ.

ამჟამად თბილისის გამოკლებით მთელ საქართველოში არსებობს 32 მიმღები რადიო-სადგური.

ხარჯების შემცირება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საფინგანის მიერ აღმასკომის განყოფილებებში ჩატარებული 10 პროცენტიანი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება 70,436 მანეთის რაოდენობით. პრეზიდიუმის დადგენილებით, საფინგანს დაევალა პრეზიდიუმის ორგბიუროსთან შეთანხმებით დამუშაოს საკითხი ახალი შემცირების შესახებ, ისე რომ ეს უკანასკნელი არ უნდა შეეხოს საამშენებლო და სოციალ-კულტურულ წამოწყებებს.

მტკვრის დონე

მტკვრის დონეს გუშინ ცვლილება არ განუცდია; ის აღწევდა 2 მეტრს და 44 სანტიმეტრს.

საქ. სამხედრო გზაზე

გუდაურამდე შეიძლება თავისუფალი მგზავრობა.

თბილისის აღმასკომში

◆ **საქციო საზ-ბა „მკერავი“-ს** მუშაობის შესასწავლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. თხილავას თავმჯდომარეობით.

◆ **აგურხანის** მუშაობის გასაძლიერებლად გასული წლის მოგებიდან დაეტოვათ 40.518 მანეთი.

◆ **ბილეთებზე** დღემდე არსებული საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნენ მუშათა და პროფესიონალური კლუბები და თეატრები.

◆ **საექიმო პუნქტებისათვის** შენობის შესაძენათ სოფ. ირაგში, აღმასკომმა გადასდო 150 მანეთი.

◆ **საგარეჯოს 9 წლედის** საჭიროებისათვის აღმასკომმა გამოყო და ამავე სკოლას უფასოთ გადასცა მიწის ნაკვეთი.

სახალხო განათლება

◆ **საბავშვო ბაღი.** ფოთის აღმასკომი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ხსნის მეორე საბავშვო ბაღს.

◆ **შრომის სკოლა.** ფოთის 4-წლიანი შრომის სკოლისთვის აგებულ იქნა ახალი შენობა.

◆ **ერთდროული დახმარების** სახით, სამხრეთოსეთის ცაკმა ცხინვალის საბავშვო ბაღისთვის გადასდო 1000 მანეთი.

◆ **კურსები.** პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო ოზურგეთში ხსნის ქოხ-სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელ 20 დღიან კურსებს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **სახელმწიფო სესხი.** საკავშირო ფინსახკომის დადგენილებით, 1927 წელს სახელმწიფო მომგებიან სესხის გათამაშება დაიწყება 15 მაისს და გასტანს 28 მაისამდე.

◆ **გემთა მიმოსვლა.** განზრახულია დაწესდეს გემთა მუდმივი მიმოსვლა შორეულ აღმოსავლეთისა, ევროპასა და შავი ზღვის შორის.

◆ **აბაშის ჰიდრო-ელსადგურის** საამშენებლო კომიტეტში ამხ. გოგიას და მეგრელიშვილის ნაცვლად არჩეულ იქნენ ფოთის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლომთაძე და ინჟენერი ჯაოშვილი.

◆ **ელსადგური.** შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა ზესტაფონისათვის აგოს 150 ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგური.

◆ **ბათომი ოდესა.** 15 მაისიდან ოდესასა და ბათომს შორის დაიწყება სამგზავრო გემების პირდაპირი მიმოსვლა.

◆ **უმიწაწყლო გლეხები.** ფასანაურის თემის 59 კომლმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მიწის სიმცირისა და სივიწროვის გამო ისინი გადასახლებულნი იქნან თერგის ოლქში.

სხვადასხვა

◆ **კბილის ექიმთა საზ-ში.** 13 მაისს, საღამოს 8 სათზე შესდგება ქართველ კბილის ექიმთა საზოგადოების მორიგი კრება.

მოხსენებებს ავადმყოფების დემონსტრაციებით გააკეთებენ პროფ. **მუხაძე**, კბილის ექიმი **ვ. ჭიჭინაძე** და მკურნალი **ა. ქაჯაია**.

შემდეგ მიმდინარე საკითხები და არჩევნები.

◆ **ინჟენერ ტეხნიკოსთა ბიუროში.** დღეს 12 მაისს, საღ. 7 ს. პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება მოხსენება ინჟ. ვ. კაკაბაძის „მესამე სრულიად. საკავშირო საინჟენერო ყრილობის ანგარიში“.

◆ **„თვითმკვლელობა და მასთან ბრძოლა“.** რედაქციამ მიიღო რომან ფირცხალაურის მიერ შედგენილი ახალი წიგნი „თვითმკვლელობა და მასთან ბრძოლა“ (ფსიქო-სოციოლოგიური მიმოხილვა საზოგადოებათ მეცნიერებიდან).

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

მეექვსე დღე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულების დაკითხვა.

ბრალდებული გრიშაშვილი (მოანგარიშე) თავს სცნობს დამნაშავეთ ავანსების უკანონოდ მიღებაში, ხოლო გაფლანგვაში კი არა.

— მე,—აცხადებს ბრალდებული—გამგის ნებადაურთველად ავანსათ მივიღე 1100 მანეთი. აღნიშნული თანხა დავხარჯე ცოლის ავადმყოფობის გამო;

ხშირი იყო შემთხვევა—განაგრძობს ბრალდებული,—რომ შინაურულად დღეში ხუთჯერ გამქონდა ავანსი.

ბრალდებული სასამართლოში ლაპარაკობს აღელვებით და ნერვიულად. გარდა ამისა, ის ხშირად სცვლის ჩვენებას.

ბრალდებული **მელიავა** (მატერიალური ნაწილის ყოფილი გამგე) ამბობს, რომ დაპატიმრების თანავე,—მე თავი ვსცან დამნაშავედ და გულწრფელად ვაღიარე ყველაფერი. გაფლანგული მაქვს არა 7.000 მანეთი, როგორც საბრალმდებლო ოქმში სწერია—არამედ 2.000 მანეთი. ბოროტმოქმედება კი ჩავიდინე ოჯახური მდგომარეობის გამო.

ბრალდებული მელიავა აღნიშნავს, რომ ემსის უწინდელ გამგეს **აფანასიევს** მართებს მისი 1250 მანეთი სახაზინო ფული, ხოლო გამგის ყოფილ მოადგილე **უნაფქოშვილზე** გაცემული აქვს 1326 მანეთი, რომელიც ამჟამად მასზე ირიცხება.

ბრალდებულს აძლევენ მრავალ შეკითხვებს.

ბრალდებულების დაკითხვის შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

პირველ რიგში დაკითხული იქნა მოწმე **ლეჟავა**.

წალკელ „კოოპერატორების“ საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **მანილოვის** და **აიდანოვის** და პროკურორ **ჯანჯღავას** მონაწილეობით წალკაში გაარჩია **ნიკოლოზ აბუშევის, სპირიდონ მაზმანოვის, ილია აპოსტოლოვის, ალექსანდრე სარიევის, პანტელეი სარიევის, კლიმენტი სურაილოვის** და **ნიკოლოზ მაბეინჯევის** საქმე.

1924 წ. სოფ. ბეშტაშენის (წალკა) საზოგადოებამ გახსნა სარძევე არტელი. გამგეობის წევრებათ აირჩიეს: სარიევი, სურაილოვი და მაბეინჯევი. სარევიზიო კომისიაში კი—მაზმანოვი, აპოსტოლოვი და ა. სარიევი.

არტელი აწარმოებდა რძის პროდუქტების დამზადებას.

გამგეობის წევრები უყაირათობას იჩენდენ საქმისადმი. ქარხანაში ერთხელაც არ შეივლიდენ და მთელი დღეების განმავლობაში ოჯახებში მუშაობდნენ. ამის გამო რძის პროდუქტები ფუჭდებოდა, რითაც არტელმა თვალსაჩინო ზარალი მიიღო.

ბოლოს ერბოს დამამზადებელი ქარხანა დაიხურა.

ქარხნის ლიკვიდაციის დროს მოხდა რევიზია; რევიზიით გამოირკვა, რომ ქარხანაში ერბოს დანაკლისი უდრის 69 ფუთს, ხოლო ყველის 76.

ამის შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი პირები პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლოში ბრალდებულებმა შესცვალეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება და განაცხადეს, რომ დანაკლისი აიხსნება მით, რომ მათ სათანადო გამოცდილება არ ჰქონდათ სავაჭრო დარგში.

ექსპერტების დასკვნით, რძის პროდუქტების დანაკლისი უდრის 78 ფუთს.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულები ანგარიშით არ მოქმედებდნენ.

სასამართლომ სარიევი, სურაილოვი, მაბეინჯევი, მაზმანოვი; აპოსტოლოვი ა. სარიევი და აბუშევი დამნაშავედ სცნო სამსახურისადმი გულგრილობაში, რისთვისაც მიუსაჯა მათ ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით ყველა ბრალდებულებს სასჯელი შეუმცირდათ ერთ წლამდე.

ხელოვნება

მეიერხოლდის სახელობის თეატრის გასტროლები

„ტყე“—ოსტროვსკის. 10 მაისი

„ტყე“ პირველათ დასდგა მეიერხოლდმა 1924 წელს 19 იანვარს. ამ დადგმამ გამოიწვია არაჩვეულებრივი კამათი: მეიერხოლდის დადგმაში დაინახეს ოსტროვსკის „დამახინჯება“. მართლაც „წმინდა“ აკადემიური თეატრების თვალსაზრისით „ტყე“ „დამახინჯებულია“: აქ უარყოფილია ჩვეულებრივი ტრადიციები სცენის დეკორატიული მორთულობისა, უკუგდებულია აგრეთვე პერსონაჟების ტრადიციული გაგება (ტრადიციულათ; გურმიჟსკაია, სათნოების მატარებელი, აქსიუშა—უნებო, მორჩილი, მეორე ხარისხოვანი პიესაში) და ხაზ გასმულია წინააღმდეგობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის. მეიერხოლდის ამოცანაა შექმნას თავის დადგმისაგან პამფლეტური სპექტაკლი და მით გადაარჩინოს ოსტროვსკი აკადემიურ თეატრების ნამდვილ დამახინჯებისაგან.

მე-50 წლებში ოსტროვსკი გამოვიდა როგორც თეატრალური პამფლეტისტი. მისი „ტყე“—ეს ნამდვილი პამფლეტი იყო გადაშენების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ეს ძირითადი, დამახასიათებელი მომენტი ოსტროვსკის შემოქმედებისა წითელ ზოლივითაა გატარებული მეიერხოლდის დადგმაში; ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ „ტყე“ გამოხატავს 70 წლების რევოლიუციონურ განწყობილებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეიერხოლდმა სპექტაკლის ცენტრათ აქცია არა გურმიჟსკაია, და არც ნესჩასტლივცევი, არამედ აქსიუშა, რომლის ხაზგასმული წინააღმდეგობა გურმიჟსკაიასთან (ლირიული კონტრასტი) აუშკარავებს აქსიუშას კლასიურ ხასიათს.

მთელი დადგმა გაკეთებულია კონტრასტებზე (უმთავრესათ ორი კონტრასტია: ლირიული და ტრაგი-კომიკური—ნესჩასტლივცევი) და ძლიერ ტემპზე. პიესა განაწილებულია 29 ეპიზოდათ. თვითეულ ეპიზოდში მოცემულია დინამიკის გაშიშვლება და ნივთების თამაში: განსაკუთრებით მშვენივრათ სჩანს ეს აქსიუშას და გურმიჟსკაიას სცენაში (ნივთები-თეთრეულები) და აქსიუშას და პეტრეს სიყვარულში (სამი გიგანტური გახტომა), მშვენიერია ეპიზოდი „Лунная соната“: აქ ბგერებით გამომჟღავნებულია ულიტას სახეში გურმიჟსკაიას ფარისევლობა, გარყვნილი რომანტიზმი და სიბეცე პრაქტიკულ ცხოვრებაში. დინამიკის გაშლას მშვენივრათ უწყობს ხელს ნესჩასტლივცევის „ტეატრალშჩინა“ (მისი ოინბაზობა ვოსმიბრატოვთან) და გარმონიკის თამაში: გარმონიკის შემოტანით მეიერხოლდმა გაშალა გლეხურ ლირიულ ყოფის დინამიკა.

რეჟისორულათ პიესა იშვიათის მხატვრულობითაა მოცემული: აბსოლიუტური გაუბრალოება დადგმის, ტიპების კლასობრივ სულის გადმოშლა მათ გარეგან მორთულობაში (გურმიჟსკაიას პარიკი ულიტას „ლირიული სოპრანო“, მილონოვის მღვდლათ გამოყვანა და სხ.) და პიესის პამფლეტური ხასიათის კონტრასტებზე აშენების საუკეთესო ცდა;

აქტიორულათ პიესა უფრო სუსტადაა მოცემული; აუცილებლათ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე ნესჩასტლივცევის შემსრულებელი: არ უვარგა დიქცია, ხმაც ხელს ვერ უწყობს (განსაკუთრებით გამომჟღავნდა ეს საფინალო სცენაში შილლერის „ყაჩაღებიდან“ მონოლოგის კითხვის დროს), სჩასტლივცევის შემსრულებელს უფრო ფარსამდე დაჰყავს თავისი როლი და მით ასუსტებს „გროტესკულ დაჭიმვას“. კარგია ზ. რაიხის აქსიუშა, მშვენიერი არიან ულიტას და გურმიჟსკაიას შემსრულებელნი.

ხელოვნების ქრონიკა

სიმფონიური კონცერტები

ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, რომ სახელმწიფო ოპერის ორკესტრანტებისაგან შესდგა შრომის კოლექტივი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში სიმფონიურ კონცერტებს გამართავს მედსანშრომის კავშირის ბაღში („სტელლა“) და პლეხანოვის და ნაძალადევის კლუბებში.

ორკესტრს განზრახვა აქვს „სტელლა“-ში კონცერტები გამართოს 4-ჯერ კვირაში. მოწვეული იქნებიან ახალი დირიჟორები და გასტროლიორ-არტისტები: ინსტრუმენტალისტები და მომღერლები.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შრომის ბირჟის წინაშე, რათა დამტკიცებული იქნეს სიმფონიური ორკესტრის კოლექტივი და მიეცეს მას ერთდროული დახმარების სახით 1.200 მანეთი.

მუშა-მსახიობ მირველოვის იუბილე

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მუშა-მსახიობ **მირველოვისათვის** 10 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გამართვის შესახებ.

საიუბილეო კომისიაში არჩეულია ამხ. შესტოვი, სარქისოვი, და შახიშვილი.

◆ **დიდი კონცერტი.** 24 მაისს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მომღერალ ჭუმსიაშვილის და ვენაძის დიდი კონცერტი.

◆ **ბეთჰოვენის სიმფონიური კონცერტი პროვინციებში.** ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება აწყობს ქართულ მუსიკის და ბეთჰოვენის სიმფონიურ კონცერტებს.

◆ **მომღერალთა გუნდების შეჯიბრი.** ქუთაისში 15 მაისს გაიმართება სახალხო მომღერალთა გუნდების შეჯიბრი. დანიშნულია 4 ჯილდო.

◆ **მსახიობთა კოლექტივი.** შესდგა სომეხ მსახიობთა კოლექტივი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართავს თავის წარმოდგენებს. შემდეგ გაემგზავრება სომხეთში.

◆ **ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება.** დღეს, ხუთშაბათს 12 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათ. **ეგნატე ნინოშვილის** გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, მუშათა ცენტრალურ კლუბში ამხ. რაჟდინ კალაძე წაიკითხავს მოხსენებას: **„ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება“**.

სპეცტანისამოსი

სპეცტანისამოსების ნორმების გადასინჯვა უკვე დაიწყო მთელ საქართველოში. შრომის კომისარიატის დადგენილებით, სპეცტანისამოსების ნორმების გადასინჯვა სწარმოებს 5 ძირითად პროფესიის დარგში: მელითონეთა, სამთომადნო, გემო-კვების, ქიმიკოსთა და ფეიქართა დარგებში.

შრომის კომისარიატი ამ გადასინჯვიდან დაგროვილ მასალებს გადაუგზავნის ა. კ. შრომის კომისარიატს, ხოლო ეს უკანასკნელი ა.-კავკასიის სხვა რესპუბლიკებიდანაც მიღებულ მასალებთან ერთად გადაუგზავნის საკავშირო შრომის კომისარიატს, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გამოიმუშავებს სპეცტანისამოსის ახალ ნორმებს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ცხოველები და მუსიკა

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში მოახდინეს ცდები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ გავლენას ახდენს მუსიკა სხვა და სხვა ცხოველებზე. შედეგები მეტად მოულოდნელი მიიღეს. ასე მაგალითად, აღმოჩნდა, რომ გველებზე მუსიკა არავითარ გავლენას არ ახდენს. ასეთივე გულგრილობა გამოიჩინეს გველებმა, როცა გალიასთან, რომელშიც გველები იყვნენ მოთავსებული, დაუკრა სპეციალურად მოწვეულმა გველების მწვრთნელმა. თუ ამ ცდებს დაადასტურებენ შემდეგი დაკვირვებები, ცხადი შეიქნება, რომ მუსიკას, რომლითაც სარგებლობენ სხვადასხვა „ფაკირები“, მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს — მაყურებლების მოტყუება.

განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს მუსიკისადმი ნიანგებმა და ზღვის ღორებმა. ყველა ცდების დროს ისინი ჭამასაც კი სტოვებდენ და თავს იყრიდენ გალიის კედელთან, სადაც უკრავდა ორკესტრი. მრავალრიცხოვანი ცდებით გამოირკვა, რომ მათ ყველაზე უფრო მოსწონთ მშვიდი მუსიკა. მელოდიები, რომლებიც შეიცავდენ სწრაფ გადასვლებს, მათ აბრაზებდა.

ფრინველებმა სრული გულგრილობა გამოიჩინეს მუსიკისადმი. სამაგიეროთ მრავალმა მწერმა გამოიჩინა უდიდესი სურვილი მიახლოვებოდენ მუსიკის წყაროს. ეს სურვილი განსაკუთრებით ძლიერი იყო ზოგიერთი ნოტების დროს, რომლებიც, ალბათ, წააგავან მამალი ან დედალი მწერების „ძახილის“ ნიშნებს.

სხვათა შორის, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამერიკაში, რამდენიმე თვის წინად ბაზარზე გამოვიდა კოღოების საჭერი სპეციალური აპარატი, რომელიც განსაზღვრული სიმაღლის ნოტას იძლევა. ეს ხმა იპყრობს კოღოების ყურადღებას, რომლებიც უახლოვდებიან აპარატს, და ეცემიან ელექტრონის ჩარჩოზე და იხოცებიან.

თაგვებმაც და ვირთხებმაც გამოიჩინეს ერთგვარი ინტერესი ზოგიერთი მუსიკალური ნოტებისადმი.

ტვინის სიმსივნეთა მკურნალობა

ტვინის სიმსივნე ერთ-ერთ უმძიმეს და განუკურნავ ავათმყოფობათ ითვლებოდა დღემდე. იშვიათია შემთხვევები, როცა შესაძლებელი ხდება მისი განკურნება ოპერაციით ან ავათმყოფის ტანჯვის რამდენიმეთ შემსუბუქება. ამიტომ უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს სკანდინავიის ერთ-ერთ რენტგენოლოგიურ ინსტიტუტში გაკეთებული აღმოჩენა. ამ ინსტიტუტში დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია რენტგენის სხივების წარმატებით გამოყენება ამ სიმსივნეთა სამკურნალოდ. თერთმეტი ავათმყოფიდან, რომლებზეც ცდის სახით გამოიყენეს მკურნალობის ეს ახალი მეთოდი, მხოლოდ ორის მიმართ არ იქნა მიღებული არავითარი შედეგი. სამი — შესამჩნევად გამოკეთდა, ექვსი კი სრულიად განიკურნა. ამ თერთმეტ კაცზე, მკურნალობის შედეგების გამოსარკვევად, მეთვალყურეობა იყო დაწესებული მრავალი თვეების განმავლობაში.

შემთხვევები

მცირე-წლოვანი მკვლელები

10 მაისს, ღამის 12 საათზე, ვერის ხიდის მახლობლად, მტკვრის ნაპირას, იპოვნეს ნახევრად ცოცხალ - მკვდარი მოწაფე ევგენი გაბუნია (14 წლისა).

საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა ამ ამბის შესახებ აცნობა სისხლის სამართლის მილიციას.

შემთხვევის ადგილზე საჩქაროდ გამოცხადდენ ს. ს. მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი გაბუნია გაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავათმყოფოში.

როგორც გამოირკვა ბოროტმოქმედებს განზრახული ჰქონიათ გაბუნიას მოკვლა. გუშინწინ ღამით, ისინი დაუდარაჯდენ გაბუნიას და როცა უკანასკნელი სახლში ბრუნდებოდა, ვერის ხიდის მახლობლად თავს დაესხნენ მას და გაიტაცეს ვერის ბაღში. ბოროტგამზრახველებმა ისარგებლეს რა იმ მდგომარეობით, რომ ბაღში ბნელოდა, ჯერ უზომოდ სცემეს გაბუნიას, დაუსახიჩრეს პირის სახე და ამ წვალების შემდეგ დანით მიაყენეს 12 ჭრილობა. გაბუნია მკვდარი ეგონათ და გადააგდეს მტკვარში. დაჭრილი, მიუხედავათ მძიმე ჭრილობებისა, ცურვით გამოვიდა ნაპირზე.

მკვლელები ს. ს. მილიციამ დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: **ვალიკო შარტავა, ანდრო ციციშვილი, ნიკ. ქარცივაძე და ვასილ ხველიძე.** უკანასკნელები გაბუნიას ამხანაგებია.

ბოროტმოქმედთა შორის ყველაზე უფროსი 16 წლისაა.

მკვლელები გამოტყდენ დანაშაულში და განაცხადეს, რომ ბოროტმოქმედება მათ ჩაიდინეს იმის გამო, რომ გაბუნია კარგ მოწაფეთ ითვლებოდა და მათში ეს გარემოება „შურს“ იწვევდა.

◆ კომუნისტურ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელ ბინიდან სტეფანე გოლოევს, თედორე ამიროვს და სიმონ პლებაკოვს მათთან დროებით მცხოვრებმა ევგენი სუაგმა მოჰპარა 150 მ. ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით არამანცის ყოფ. საავადმყოფოში მცხოვრებ მარიამ დგებუაძეს მოჰპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ **თავის მოწამვლა.** 10 მაისს კუნინის ქ., № 29, ალექსანდრა კოვალენკოვამ თავი მოიწამლა. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **კაცის დაკარგვა.** კახეთის მიმართულებით ღვინის სასყიდლათ 21 აპრილს წასულა ალექსანდრე მოსესძე ნანობაშვილი, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო მეორე დღესვე. მაგრამ ჯერაც არ სჩანს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **თვითმკვლელობა.** 10 მაისს ანდრეევის ქ., № 40, ტატიანა ივანეს ასულ დიმიტრიევისამ მაჯის არტერიების გადაჭრით მოიკლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ქმართან უსიამოვნების** ნიადაგზე 10 მაისს ანა დიმიტრის ასულ ახნაზაროვისამ თავის დედის ბინაზე (ბრიგადირის ქ., № 19), მოიწამლა თავი.

◆ **ტრამვაის რონოდაში** ალექსი ალექსისძე ბულანოვს ჯიბიდან ამოაცალეს 150 მანეთი.

◆ **დაჭრა.** 10 მაისს სოფ. წყნარ-აბანოში ბაგრატ გოცაძემ შაშხანა თოფით დასჭრა თავის მეზობელი გიორგი ძუკაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** 10 მაისს მალაკნის ქ., 27 გაქურდეს ნადია ნადირაშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს მელიქიშვილის ქ., № 9, გაქურდეს ნადია ნადირაშვილის ბინა.

◆ **ფანჯრის მინების** გამოღების საშუალებით, ალექსანდრეპულის ჩიხი, № 5, გაქურდეს გრიგოლ პეტროსოვის ბინა.

◆ ამავე დღეს გრიბოედოვის ქ., № 19, გაქურდეს გიორგი თეოდორესძე თელაძის ბინა.

ბიბლიოგრაფია

ანტონ თვალჭრელიძე. ციტრუსნაირთა კულტურა

სახელგამი. გვ. 72. ფასი 35 კ. თბილისი 1926

საქართველოს ჰავისა და ნიადაგის სიუხვე მრავალ შესაძლებლობას სახავს სოფლის მეურნეობის წინაშე. უდავოა, რომ ზოგიერთი ნაწილების ბუნებრივი პირობები გაცილებით უფრო ხელის შემწყობია, ტრადიციულ ხორბლეულობის სისტემის მაგიერ, უფრო ძვირფას კულტურისათვის, რომლის შემოსავლიანობა რამოდენიმეჯერ გაზრდიდა ჩვენი გლეხის ბიუჯეტს. მხოლოდ მეტად ძნელია სოფ. კონსერვატიული მეურნეობის ახალ ლიანდაგზე შეყენება. ამისათვის არის საჭირო დიდი კულტურა და აგრონომიული და კულტურული ძალების მეტად დიდი ენერგია, რომ ამ საქმეში თვალსაჩინო მიღწევებს დაურჩეს ადგილი.

მაგრამ ეს მაინც აუცილებლად უნდა მოხდეს. მართალია ავტორი: „ჩვენი ქვეყნის მოწინავე ხალხის მოვალეობაა ჩვენი მეურნეობა წაიყვანოს ახალი გზით, გაეცნონ და შეითვისონ ის დიდი ახალი მიღწევანი სოფლის მეურნეობაში, რომელიც შექმნა ამერიკამ და გააცნო მიწის ბაღის და ტყის მუშაკნი ამ ჭეშმარიტად თავბრუდამხვევ წარმატებას, რომელიც მიღწეულია მებაღეობის, მეტყევობისა და მემინდვრეობის დარგში“. (გვ. 5).

ავტორი, სოფლის მეურნეობის ამ ახალი დარგის—ნარინჯოვან (ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი) კულტურის ან, როგორც სხვაგვარად უწოდებენ მას—ციტრუსნაირთა კულტურის ბუნების გარკვევით, სცდილობს დასახოს საქართველოს ზოგიერთ ნაწილების (დასავლეთ საქართველო: შავი ზღვის განაპირა ადგილები, აჭარა, გურია, სამეგრელო) მეურნეობის განვითარების ახალი გზა.

შავი ზღვის სანაპიროების, ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა, არის მსგავსი იაპონიის სამხრეთ ნაწილის ჰავისა. პირველად ეს შეამჩნია ამ კუთხეების მცოდნე პროფესორმა კრასნოვმა, რომელმაც მეცნიერულ წერილებში აღნიშნა, რომ იაპონიის მცენარეები გაიხარებენ სამხრეთ კოლხიდაში, რომლის შემდეგ წარსულ საუკუნეში ბათომის მიდამოებში შესაფერი ცდები იქნა მოხდარი, რომელმაც მცირე დაბრკოლებების შემდეგ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. ხოლო უკანასკნელ წლებში იგი გადატანილ იქნა გურიისა და სამეგრელოს ზოგიერთ რაიონებში.

ამგვარად, ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ახალ ძვირფას მცენარეს.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ, ავტორი, როგორც მცოდნე ამ საქმის, დაწვრილებით გადმოსცემს მცენარეების სახეებს, მათ თვისებებს, სანერგის გაშენებას, ნერგების დამყნის წესებს, მათ გადატანას ბაღებში, მცენარეთა დატერასებას და ყველაფერს იმას, რაც საჭიროა ამ მცენარის მოშენებისა და აღზრდისათვის. იგი დაწვრილებით ჩერდება ამ მცენარეების სხვადასხვა ავადმყოფობაზე, მავნე მწერებსა და სოკოებზე და მიუთითებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველ ზომებზე, იხსენიებს ციტრუსნაირების აყვავების და დამწიფების საკითხს და ნაყოფის გადარჩევის და დახარისხების შემდეგ ნაყოფი მზადდება შორი ტრანსპორტისათვის რომელიც ჩვენს საექსპორტო საგნებში საპატიო ადგილს დაიჭერს.

საერთოდ, ამ მცენარეთა მნიშვნელობისა და მისი შემოსავლიანობის შესახებ, ყველა სხვაგვარ მცენარეთა შედარებით, სასოფლო მეურნეობის არსებულ პირობებში აშკარაა, დამტკიცებულია რომ იგი წინ უსწრებს „ყველაფერს იმას, რაც უთესიათ და ურგიათ ჩვენს მამა-პაპათ“, ყოველგვარ მცენარეს რომელიც ნიადაგზე ხარობს. ამაში ჩვენი გლეხობაც დარწმუნდა, რომელსაც ამ სახის მეურნეობასთან ჰქონდა საქმე. ისინი ხშირად იგონებენ, რომ ერთი ძირი ლიმონის წლიური ნაყოფით, უყიდიათ ერთი უღელი ხარი, ან ერთი ცხენი. ეს საქვეყნოდაც ცნობილია.

წიგნაკის კარგი ენა, სუფთა გამოცემა და იაფი ფასი სახელმძღვანელოს კარგ ხასიათს აძლევს.

ს. მ—ა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 43

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ *)

ინვალიდთა პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) შედგენილება და მათი წევრების უფლება-მოვალეობანი

8. ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთში (არტელში) წევრად შესვლის უფლება ეძლევა ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის უფლება აქვთ:

ა) ყველა ჯგუფისა და კატეგორიის ინვალიდს;

ბ) ფრონტზე და კონტრ - რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ და გარდაცვალებულ სამხედრო მსახურისა, გარდაცვალებული დაზღვეულისა და ომისა და შრომის ინვალიდის ოჯახის წევრს;

9. საინსტრუქტორო მუშაობისა და აგრეთვე ისეთი მუშაობის შესასრულებლად, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ან რის შესრულებას ინვალიდები ვერ შესძლებენ, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანო შეიმუშავებს წესებს არტელში ისეთი პირების მიღების შესახებ, რომელნიც მე-8 მუხ. ნაჩვენები არ არიან, იმ პირობით კი, რომ ეს პირები მშრომელ ელემენტს უნდა ეკუთვნოდნენ. ამ პირთა რიცხვი არტელის წევრ - ინვალიდების საერთო რიცხვის ოცდახუთ პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა. უკეთუ საჭირო იქნება არა-ინვალიდ წევრების რიცხვი არტელში სათანადო სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოს ნებართვით, შეიძლება გადიდებულ იქნეს ორმოცდაათ პროცენტამდე.

10. წევრების უუმცირესი რიცხვი, რომელთა შედგენილობითაც შეიძლება არტელის გახსნა და მოქმედების დაწყება,—არ შეიძლება ხუთზე ნაკლები იყოს.

11. არტელის წევრად შესვლა აგრეთვე არტელიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია.

შენიშვნა. სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს შეიმუშაოს საერთო წესი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ინვალიდს უარი ეთქვას არტელის წევრად მიღებაზე ან არტელიდან გამოსვლაზე; აგრეთვე რა რიგობით უნდა სწარმოებდეს არტელებში წევრად მიღება სხვადასხვა კატეგორიის პირებისა, რომელნიც მე-8 მუხლში არიან აღნიშნულნი.

12. არტელის ყოველი წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს არტელის საქმიანობაში პირადი შრომით. დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება ისეთი სამუშაოსათვის, რის შესრულებაც არტელის წევრებს არ შეუძლიათ; აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს ნებართვით დაქირავებული შრომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი სამუშაოსათვის.

დაქირავებულ პირთა რიცხვი, არტელის არაინვალიდ წევრებთან ერთად, მე-9 მუხლის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს ინვალიდ - წევრების რიცხვის ოცდახუთ პროცენტს, ხოლო სათანადო შემთხვევაში (მე-9 მუხლის შენიშვნა) —ინვალიდთა რიცხვის ორმოცდაათ პროცენტს.

შენიშვნა. ერთდაიმავე დროს ინვალიდთა ორ არტელში წევრად ყოფნა არ შეიძლება.

13. ინვალიდთა არტელის წევრი პასუხისმგებელია არტელის ყველა ვალდებულებისათვის, რაც წარმოიშვა როგორც არტელში წევრად შესვლამდე, ისე შესვლის შემდეგ. ინვალიდთა ყოველი არტელის წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს არტელის წევრების დამატებითი პასუხისმგებლობა არტელის ვალდებულებისათვის.

14. არავითარი გადასახდელი, რაც-კი მიმართულია არტელის წევრისადმი მისი პირადი ვალის გამო, არ შეიძლება მიქცეულ იქნეს არტელში შეტანილ საპაიო თანხაზე. უკეთუ გადასახდელი მიქცეულ იქნა არტელის იმ წევრთა ხელფასზე, რომელნიც მოხსენებულ არიან ამა დებულების მე-9 მუხლში, შეფარდებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლით გათვალისწინებული წესები.

ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთების სახსარი

15. ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიული შენაერთების (არტელების) და მათი კავშირების სახსარს შეადგენს: ა) ის ქონება, რაც გადავიდა ამ ორგანიზაციების საკუთრებად მათი დაარსების დროს; ბ) შესასვლელი და საპაიო გადასახადი; გ) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი.

16. შესასვლელი და საპაიო გადასახადის უდიდესი რაოდენობა განისაზღვრება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს დადგენილებით.—

17. უკეთუ ინვალიდთა შენაერთში წევრად შემსვლელ პირს საამისო სახსარი არა აქვს, შესასვლელი გადასახადი შეიძლება მის ნაცვლად შეიტანოს სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის ორგანომ პენსიის ნაწილობრივი კაპიტალიზაციის წესით, ან და მას საშუალება მიეცემა პაი ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს.

18. არტელში გაერთიანებული ინვალიდების პენსიების კაპიტალიზაციის რაოდენობა და პირობები განისაზღვრება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს დადგენილებებით.

შენიშვნა. გაერთიანებულ შრომის ინვალიდთა პენსიების კაპიტალიზაციის რაოდენობა და პირობები განისაზღვრება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრ. ორგანოს და შრომის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

19. შესასვლელი გადასახადი არ დაიბრუნება

20. არტელის ერთ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ერთ პაიზე მეტი პაი; ამასთანავე არტელის წევრს უფლება არა აქვს სხვა პირს გადასცეს.

ინვალიდთა არტელების შენაერთები (კავშირები).

21. ინვალიდთა პირველ საფეხურის შენაერთებს (არტელებს), მათი მიზნების წარმატებით განსახორციელებლად, შეუძლიათ სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს ნებართვით, ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით, გაერთიანდნენ რესპუბლიკანურ, საოლქო და სამაზრო კავშირად. სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. სოციალური უზრუნველ. განყოფილებასთან მოეწყობა სრულიად საქართველოს ცენტრი ამ შენაერთებისა — სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირი.

22 ინვალიდთა არტელებს შენაერთის (კავშირის) მოსაწყობად საჭიროა მონაწილეობა არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი პირველი საფეხურის არტელისა.

გამგებლობისა, კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოები

23. ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიული შენაერთის (არტელის) გამგებლობის ორგანოები არიან: შენაერთის (არტელის) წევრების საერთო კრება და მისი გამგეობა, ხოლო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო—სარევიზიო კომისია.

შენიშვნა. არტელის წევრების საერთო კრების უფლება - მოვალეობა და აგრეთვე გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების წესი და უფლება - მოვალეობა განისაზღვრება ინვალიდთა შენაერთის (არტელის) წესდებით.

24. ინვალიდთა ზემდგომი შენაერთის (კავშირის) გამგებლობის ორგანოები არიან: რწმუნებულთა კრება და გამგეობა, ხოლო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო — სარევიზიო კომისია.

შენიშვნა. 1. უკეთუ ინვალიდთა შენაერთების უფლება - მოვალეობა და აგრეთვე გამგეო-დიდია, მის წესდებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კავშირის საბჭოს დაარსება.

შენიშვნა. 2. რწმუნებულთა კრებისა, გამგეობისა, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევისა და მოქმედების წესი, აგრეთვე უფლება-მოვალეობა განისაზღვრება კავშირის წესდებით.

25. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთები მოქმედებენ სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს საერთო ხელმძღვანელობით; მასვე ეკუთვნის აგრეთვე უფლება გაუწიოს კონტროლი და ზედამხედველობა ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთების გამგებლობის ორგანოების მოქმედების კანონიერებას ამა დებულებისა და იმ ინსტრუქციების ფარგლებში, რასაც გამოსცემს სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება ამა დებულების შესაფარდებლად.

26. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირს უფლება აქვს შეამოწმოს ინვალიდთა შენაერთების (არტელების) და მათი კავშირის საქმეები და ქონება.

27. სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს:

ა) გასცეს პრინციპიალური ხასიათის ზოგადი დირექტივები;

ბ) მოახდინოს რევიზია და გამოკვლევა, გაეცნოს დადგენილებათა ოქმებს, დოკუმენტებს და ანგარიშებს;

გ) თვალყური ადევნოს ინვალიდთა კოოპერაციის მოქმედების კანონიერებას და მათი საქმიანობის შესახებ გამოცემულ ცირკულიარების, ინსტრუქციების და განკარგულებების შესრულებას;

დ) მისცეს პასუხისგებაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში თანამდებობიდან გადაყენებითაც, როგორც გამგეობის და სარევიზიო კომისიის ცალკე წევრები, ისე მთლად გამგეობისა და კონტროლის ორგანოები [illegible]. რის შემდეგაც მოწვეულ უნდა იქმნეს საერთო კრება გამგებლობისა და რევიზიის ახალი ორგანოების ასარჩევად.

შენიშვნა. სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრ. ორგანოში, სადაც საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

28. ინვალიდთა ყოველი არტელი (ამხანაგობა) მოვალეა წარუდგინოს წლიური ანგარიში და ბალანსი იმ კავშირს, რომლის წევრიც ის არის და აგრეთვე სათანადო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა საერთო კრების მიერ გასული საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცების დღიდან. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირმა თავისი წლიური ანგარიში უნდა წარუდგინოს, ზემდგომი კავშირის გარდა, აგრეთვე სათანადო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულმა სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირმა ასლი თავისი ანგარიშისა — სარევიზიო კომისიის დასკვნითურთ უნდა წარუდგინოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.—

(შემდეგი იქნება)

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ № 104.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. **იოსებ დონ გუზაშვილს** და **შალვა ჭეიშვილს** გამოცხადდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზ. 24, მესამე სართული, ოთახი 12) 14 მაისს დილის 8 საათზე.

— წინადადება ეძლევა ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებს გამოცხადდენ **ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისიაში** (რუსთაველის გამზ., მესამე სართული; ოთახი № 13, იას. ფირცხალავასთან) 25 ამა მაისამდე.

სადაგიშვილი მიხეილი, შავშიშვილი დავითი, კაჭახიძე ონიფანტე, კაკულია მიხეილი (მედსანშრომის პროფკავშირი).

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის **საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 34), ამხ. **კვირიკაძესთან.**

1) აბესალომ ვლადიმერის ძე ფანცულაია, 2) ნესტორ ევგენის ძე გვალია, 3) სერგო უშანგის ძე ნადირაშვილი; 4) აკაკი ფილიპეს ძე ხუფულავა, 5) კონსტანტინე ე. ვაშაძე, 6) ყარამან ალექსანდრეს ძე სირაძე, 7) ვალერიან თედორეს ძე ბარკალაია, 8) იპოლიტე ალექსანდრეს ძე სარია; 9) დომენტი ვლადიმერის ძე აბუთიძე, 10) გრიგოლ ანდრიას ძე შიკვასაია; 11) დავით ილარიონის ძე კალანდაძე, 12 კონსტანტინე გიორგის ძე ყარამაშვილი.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო** იტყობინება ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 12 მაისს საღამოს 6 საათზე **შესდგება ამავე უჯრედის მორიგი კრება.** დასწრება სავალდებულოა ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის.

— **სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო** იტყობინება, რომ დღეს, ხუთშაბათს; საღამოს 7 საათზე; რექტორის კაბინეტში მოწვეულია ცალკე ფაკულტეტების კომ. უჯრედთა ბიუროების, აღმასბიუროს, ადგილკომის, უნივერსიტეტის გამგეობის ფრაქციების და გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიუროს გაერთიანებული არაჩვეულებრივი თათბირი. დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, საღამოს 6 სათზე ჩვეულებრივ ადგილას შესდგება სადელეგატო კრებების კოოპერატიულ და იურიდიულ სექციების (ქართული და რუსული) მორიგი მეცადინეობა.

სავალდებულოა ყველა დელეგატ-ქალების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საკულტო საბჭოს სხდომა შესდგება ხუთშაბათს 12 მაისს, დილის 9 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ვალენტინა სუპატაშვილი, ალექსანდრა გაბრიჩიძე, ირაიდა გაჩეჩილაძე, ბაბუცა ვარდოსანიძე, მანანა ბერეკაშვილი, ნინა გიორგაძე, კალისა თეირაძე, ნინო ბუაჩიძე, ნონა ლეკვეიშვილი, ელპიდა კვინიკაძე და ვალენტინა კვირკველია მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს თავიანთი ბავშვების და სკოლის საუკეთესო ამხანაგის

ქსენია ლოსაბერიძის

უდროოთ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 12 მაისს, სოფ. მანდიგორაში (ქუთაისის მაზრა).

გულდათუთქულნი მშობლები: ნატალია (მაშო) ლეონტის ასული და სოლომონ პორფირის-ძე, ძმა ალექსანდრე (ხუტუ), რძალი პაშა ივანეს ასული და მამიდა სონია ოსიძეები, დისშვილი ოთარი შოთაძე და მამიდაშვილი შალვა ხაინდრავა, სამუდამოდ გულმოკლულნი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ მათი მუდამ დაუვიწყარი და დედმამის ერთადერთი საყვარელი ქალიშვილის

კატუშა (ეკატერინე) სოლომონის ასული ოსიძის

უდროოდ დაკარგვის მეორმოცე დღის აღსანიშნავად, კვირას, 15 ამა მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2721

დიდათ დამწუხრებულნი: დედა მინადორა, ძმები ბესარიონი, პეტრე და გიორგი, რძალი ფროსია, დები იელიტა და ანასტასია გაბუჩიები, ბიძია დიმიტრი ვასილის ძე ცეკვაშვილი და ნათლია ილია ანტონის ძე მელია ოჯახობით, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარი

ალექსანდრა (საშა) ბეროს ასული გაბუჩიას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე; გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე ხვალ, პარასკევს, 13 მაისს, საღამოს 4 საათზე. (3)

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—8 ნ. 1099

მსოფლიოში განთქმული სურათი
„მხდალი“ ჯემს კრიუზეს დადგმა

მერი პიკფორდი მხატვ. შედევრში
„საპნის ქაფი“
ყველგან აუარებელ ხალხს იზიდავს

მხატვრული შედევრი ამერიკული სურათი
„ჯონი—ვეშაპის მკვლელი“
2 სესია ათი ნაწილი ერთად.

„ფოლადის პრესის ქვეშ“
ლესტრის ჯოის მონაწილეობით
პროგრამის გარეშე „Шахматная горячка“

ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმის-ძე“

ცირკი
ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით
ტელ. 16—67
1—1 ნ. 1175

დღეს, 12 მაისს
გამოსათხოვარი სანახაობანი ს.ს.ს.რ. დამსახურებულ არტისტის
ლეო ტანტის საღამო
ლეო ტანტის გამოსვლა თავისი ჟანრით, ჭიდაობის უკანასკნელი დღე ყველა ჭიდაობა გადამწყვეტია. ფრანგული ჭიდაობის მატჩი კ. ბულ—როშჩინ ფრანგული ჭიდაობის მატჩი ბორისოვ—გურსკი. ინგლისური ბოქსი 1) კ. ბულ—სკარბე, 2) სუტიაგინ—იაუნზე. რუსულ-შვეიცარული ჭიდაობა ლეში—ერტნერი.
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი

სახელმწიფო საგამოცდო სესია
კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

კინო-სოლეი დღეს,
კინო-სოლეი და ყოველდღე
პირველათ
თბილისში
მხატვრული შედევრი
ამერიკული
სურათი
„ჯონი--
ვეშაპების მკვლელი“
2 სერია 10 ნაწილი ერთად
ადგილები დანომრულია ფასები დაკლებულია
ნ. 1173

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.)

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი ხისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ქალაქის ლომბარდის საუქციონო კამერა
აცხადებს რომ

საჯარო ვაჭრობა

დანიშნული ა | წ. 12 მაისისათვის პოლიგრაფიული ტრესტის მაღაზიის (რუსთველის გამზირი № 27) ქონების გაყიდვის შესახებ.

გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს

ქალაქის ლომბარდის საუქციონო
ნ. 1174 კამერის გამგე ბაქრაძე

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 16 მაისს 1927 წ. დღის 2 საათ. სახლში № 64 პლეხანოვის გამზირზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ლევან კორსავას მოძრავ ქონებას: რაც შესდგება სასადილო მაგიდები, ფრაჟეულობა და სხვ. სასადილოს მოწყობილობისაგან, შეფასებულს 339 მან. 20 კ. სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლისს 1926 წ. თარიღით № 6974 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1172.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 14 მაისს 1927 წ. დღის 3 საათ. სახლში № 30 რუსთველის პროსპექტზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანდრო ქავთარაძის მოძრავ ქონებას ბუფეტის შკაფებს, სავარძლებს, ნოხებს შეფასებულს 2300 მან., სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 3 მაისს 1927 წ. თარიღით, № 1463 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1172

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართ. აღმასრულებ.
გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ 16 მაისს 1927 წ. 12 საათზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე, № 4 მეორეთ შემოძლეულ ფასიდან **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება იასონ გაბილაიას 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 7 ოთახი და 2 სამზარეულო, სახლი ეს შეფასებულია 1500 მან., რომელი თანხიდანაც ან შემოძლეულ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა, გაყიდვა დანიშნულია „ზაკსოიუზი“-ს და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 4256 მ. და 15 კ. ზემოაღნიშნული სახლი დაგირავებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში 1781 მანეთში. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები. გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც. ე. ი. 150 მ. 2713

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

დაიკარგა აღმასკომის პირველი სტამბის საანგარიშო წიგნაკი №68. ილია ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. უ.

დაიკარგა რკინის გზის ბილეთები 2 ცალი, („პროვიზონკა“) მუშკოოპის წიგნაკი, პირადობის მოწმობა და ლომბარდის ქვითარი № 15309, ელენე მუხიგულის სახელზე, ჩ. გ. 2714

დაიკარგა საწევრო წიგნაკი გიორგი ნახუცრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2715

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა გრიგოლ მამაჯანოვის სახელზე, ჩ. გ. 2701

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი ალმასხან ურუშაძეს სახელზე, ჩ. გ. 2718

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი შალვა ალექსის-ძე ფორჩხიძეს სახელზე, ჩ. გ. 2717

დაიკარგა რკინის გზის სასურსათო ბარათი № 502481, ვლადიმერ ივანესძე ხარატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 271

დაიკარგა რეგისტრაციის ბარათ № 1472, გიგა ფირცხალაურის სახელზე, ჩ. გ. 2720

დაიკარგა საწინდრის მოწმობა № 1078, გაცემული თბილ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნატარიუსის მიერ 1908 წ. 9 ივნისს ნინა ავეტიკოვის სახელზე, ჩ. გ. 2716

დაიკარგა: მოწმობა № 67, მიცემული სახკინმრეწვიდან ანდრია დოლიძის სახელზე კინო-თეატრში შესვლის უფლების შესახებ, ჩ. გ. უ.

დაიკარგა ერთიანი პარტ-ბილეთი № 491195, მოცემული გორის სამაზრო პარტკომიდან ნიკოლა გიორგის-ძე გოგოლაძის სახელზე, ჩ. გ. 2725

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2703 ერმალო სტეფანეს-ძე რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. 2724

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1367 | 381, ვარლამ იოსების-ძე ინჯგიას სახელზე, ჩ. გ. 2623

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 306, მიხეილ მურუსიძის სახელზე, ჩ. გ. 2723

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 645, იოსებ ფხიკიძის სახელზე, ჩ. გ. 2723

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 132, სიმონ ჯიოშვილის სახელზე, ჩ. გ. 2723

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123, გაცემული ქუთ. მაზრ. გამოჩინებულის თემ-აღმასკომის მიერ და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 227, მოცემული სამტრედიის სამხედრო მაგიდის მიერ ვლადიმერ ღირდალაძეს სახელზე, ჩ. გ. 2723

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 290, მარო მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2723

ომის სტამბა, კამოს ქ. 68.